

აღმოსავლეთისოდნა გიორგი ნეჩეთელი

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი — სოფიო გველესიანი ავტორია მთელი რიგი ნარკვევებისა, რომლებიც ქართველ მეცნიერებს ეძღვნება („ჩვენ ვეძებთ ხელნაწერს...“, „ქსენია ბახტაძე“, „ელეფთერ ანდრონიკაშვილი“, „ცხოვრება და მეცნიერება“). წინამდებარე ნარკვევში მოთხრობილია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნის გიორგი წერეთლის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

შთარგმნელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დ. ხტურუა

70202 —

Г _____ 157—84

М—602(08)—83

© Издательство «Мерани», 1976

© გამომცემლობა „ვანათლება“, 1984

ბიოგრაფი წმინთი მისა და წიგნის მის შესახებ

(წინასიტყვაობის მაგიერ)

საქმად ფართოდაა გავრცელებული და თითქმის დამკვიდრდა აზრი, რომ შემოქმედის, მეცნიერის სრული აღიარებისათვის გარკვეული დროა საჭირო, რომ თანამედროვენი ხშირად არ არიან ობიექტურნი — ისინი აზვიადებენ ან ამცირებენ ამა თუ იმ პიროვნების დამსახურებას. რა თქმა უნდა, დრო პირუთვნელი გამომცდელია; მომავალი თაობები უფრო დინჯად და მიუკერძოებლად ეკიდებიან საბოლოო განაჩენის გამოტანას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის მათ უნდა დაეუთმოთ თანამედროვეთა ქეშმარიტი დაფასება — აკი მიუზღო დღევანდელობამ დიდ გალაკტიონს მისი შესაფერი საყოველთაო-სახალხო აღიარება და სიყვარული. ამიტომ ყურადღებისა და თანაგრძნობის ღირსია ყოველი ავტორიტეტული სიტყვა მათზე, ვინც იღვწოდა და ქმნიდა ჩვენს თვალწინ, მით უმეტეს გამოკვლევა ან პუბლიცისტური ნარკვევი მათ შესახებ.

ცნობილი ჟურნალისტის სოფიო გველესიანის ამ ხასიათის წიგნი თავიდანვე გვიზიდავს თავისი უბრალო, უპრეტენზიო სათაურით: „აღმოსავლეთმცოდნე გიორგი წერეთელი“. ქართველი მკითხველი პირდაპირ გაბრუებულია ავტორებისაგან ეპითეტების არარაციონალური მომარჯვებით, ამიტომ სათაურის სისადავე უნებლიედ განაწყობს გაზვიადებებისაგან გაბეზრებულ მკითხველს წიგნის სასარგებლოდ; მით უმეტეს, რომ იგი ეძღვნება დიდ ქართველ მეცნიერს, მეტად საინტერესო და რთულ პიროვნებას — გიორგი წერეთელს.

ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა ბედნიერება გიორგი წერეთელთან ახლო ურთიერთობისა და თანამშრომლობისა, ამიტომაც მისთვის ძნელია კანონიზებული წინასიტყვაობის დაწერა; რამდენიმე შენიშვნა მხოლოდ შთაბეჭდილების გაზიარებასთან ერთად.

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის შემქმნელი და მამამთავარი, მაღალი რანგის თანამედროვე ლინგვისტი, ისტორიისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, გიორგი წერეთელი გახლდათ საერთაშორისო კლასის მეცნიერის ტიპური ნიმუში. მისი მეცნიერული ინტერესების ფართო დიაპაზონი შორს იყო გარეგნულად ეფექტური დილექტანტური უნივერსალიზმისაგან, ხოლო მისი პატრიოტიზმი არასოდეს დაპირისპირებია მეცნიერულ კეთილსინდისიერებას (ჩვენში, სანაწესაროდ. ხშირად პოპულარულია მეცნიერების ნიღაბს ამოფარებული კვაზიპატრიოტული მეზღაპრეობა, რაც პროვინციალიზმის კაონისაკენ ეწევა ჩვენს საზოგადოებას). რაფინირებული ინტელიგენტი, ერთდროულად უბრალოცა და ამაყიც, ღირსეულებთან მიმნდობი და გულგახსნილი, პატარა, სულით ღარიბ ადამიანთათვის შეუვალი და თითქმის გოროზი, გიორგი წერეთელი თანამედროვეობის რაღაც ერთიანი, დაკანონებული მსჯავრის მიღმა დარჩა.

სოფიო გველესიანის წიგნის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ მან წარუდგინა მკითხველს არა დაშტამპული ფოტოპირი ტრადიციული „სასიქადულო მამულიშვილისა“, რომელსაც არც სახე გააჩნია, არც თავისებურება, არც ენებები. არც ადამიანური სისუსტე, არამედ მოვცა თავისი ეული პორტრეტი მეცნიერისა და ადამიანისა, რომლისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ არის. შეიძლება შტამპებისა და კალკების თაყვანისმცემელმა უსაყვედუროს წიგნის ავტორს: რა საჭირო იყო იმის წერა, რომ გიორგი წერეთელი ზოგჯერ გადამეტებულ იქვიანობას ავლენდა, ან „ფეტქებადი“ იყო, რაც ყოველთვის საქმისა და თვით მის სასარგებლოდ არ თავდებოდაო, მაგრამ ასეთი საყვედურები იმ შენიშვნების რიგს ეკუთვნის, რომლებიც უნდა მოისმინო, მაგრამ რომელთა გათვალისწინება სრულიად არ არის აუცილებელი.

სოფიო გველესიანის წიგნის ღირსებად მიმაჩნია ისიც, რომ გიორგი წერეთლის მეცნიერული მემკვიდრეობის მთავარი მხარეები გადმოცემულია სადად, გასაგებად და ამავე დროს პროფესიული სიღრმით. ამას უნდა დავემატოთ, რომ მეცნიერის თხრობას მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებზე ნათელი პოეტურობის ბეჭედი აზის (ნარკვევი არმაზის ბილინგვის შესახებ).

მთავარი ღირსება კი სოფიო გველესიანის ნიჭიერად დაწერილი
არქივებისა არის გიორგი წერეთლის ქართული მეცნიერებისა და
ულტურის დიდი სიყვარული. ეს წიგნი ბევრ რამეს ეუბნება არა მარ-
ო მკითხველის გონებას, არამედ მოქმედებს მის გრძნობებზე, ემო-
ციებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიზანი მიღწეულია, რადგან დადები-
ის, მნიშვნელოვანის, მოწინავეის, ნამდვილის პროპაგანდა მაშინაა.
ოცა ერთდროულად გჭერა და გიყვარს, როცა ერთდროულად გეს-
ის და გწამს.

არ დადუმდება ეს სამრეკლო გრძნეულ სიტყვათა

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი-ორმოციანი წლების შესაყარზე საქართველოს სამეცნიერო სამყარო შეძრა უაღრესად მნიშვნელოვანმა ცნობამ: ახალგაზრდა ლინგვისტმა გიორგი წერეთელმა, სემიტოლოგიის დარგს რომ მისდევდა და იმთავითვე ცნობილი იყო როგორც ეგნატე ივლიანეს ძე კრაჩკოვსკის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფე, გაშიფრა წარწერა ქვაზე, რომელიც საქართველოს უძველესი დედაქალაქის — მცხეთის მახლობლად, არმაზის ხევში სამარხის გათხრისას ნახეს. წარწერის წაკითხვამ მიიყვანა ახალგაზრდა მეცნიერი ისეთ დასკვნებამდე, რომლებმაც ზუჭი მოჰფინეს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიის მრავალ ძირეულ საკითხს.

ამ აღმოჩენამ დიდად ააღელვა საქართველოს მთელი საზოგადოებრიობა. მშობლიური ერის ისტორიით ცხოვლად დაინტერესებული, იგი მამულიშვილური აღტყინებით ხვდებოდა ნებისმიერ ცნობას (მით უმეტეს ყოველ მნიშვნელოვან ფაქტს), რაც ქართული კულტურის სიძველეს ადასტურებდა, რაც ამკვიდრებდა საუკუნეებში გამოტარებული სულიერი ცხოვრების საფუძვლების უცვლელობას (ბევრი თვლის, რომ სწორედ ამაშია სამყაროს აღქმის მოუშლელი ოპტიმიზმი, განსაცდელის ჟამს სიმტკიცის უშრეტი წყარო), ტრადიციებისა და ჩვეულებათა არც თუ მცირე რაოდენობის სიძველეს.

და ალბათ იმიტომ, რომ ქართველთა ისტორია იმ ხალხის ისტორიაა, რომელმაც უმძიმეს განსაცდელს გაუძლო, დაიცვა თავისი ენა, კულტურა, თავისი უდიდესი სულიერი საგანძური — ზოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და მოახერხა ეს მიუხედავად წარმოუდგენელი ძნელებელობისა. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ ქართველ კაცს ასე სათუთად, ასე განუმეორებლად ეამაყება თავისი ქვეყნის წარსული და არ ემეტება იგი მისაღიწყებლად.

იმ დასკვნების მნიშვნელობა, რომლებიც არმაზის ორივე არამე-
ული წარწერის გაშიფვრასა და შესწავლაზე იყო დაფუძნებული
(ერთ-ერთი მათგანი — ორენოვან სტელაზე მოცემული, ცნობილია
დღეს როგორც არმაზის ბილინგვა), შორს სცილდებოდა ადგილობრივ
სამეცნიერო ინტერესებს. გიორგი წერეთლის აღმოჩენას თან მოჰყვა
წინა აზიის ქვეყნების სახელმწიფოებრიობისა და კულტურის რიგი
საკვანძო საკითხის გადასინჯვა და ხელახალი გაშუქება. როგორც
ცნობილია, ამ სახელმწიფოთა შორის საპატიო ადგილი ეკავა საქარ-
თველოს, უფრო ზუსტად, მის აღმოსავლეთ სამეფოს — იბერიას,
რომელიც „თავისი ეკონომიკური და კულტურული დონით არ ჩამორ-
ჩებოდა ყველაზე უფრო მოწინავე ელინისტურ სახელმწიფოებს“¹.

არმაზის ბილინგვა გახდა სადისერტაციო თემა ახალგაზრდა
მეცნიერისა, რომელმაც წარწერის არამეული ტექსტი გაშიფრა. ამ
მეცნიერს — გიორგი ვასილის ძე წერეთელს — შემდგომში საბჭოთა
კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, დიდი ბრიტანეთისა
და ირლანდიის სამეფო აზიური საზოგადოებისა და პოლონეთის
ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრს, საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ამ აკადემიის აღმოსავ-
ლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დამაარსებელსა და მის სიცოცხლეში
შეცვლელ ხელმძღვანელს, საბჭოთა სემიტოლოგიის სკოლის აღიარე-
ბულ მეთაურს — ეძღვნება წინამდებარე წიგნი.

მ ა მ ა

ქუთაისში, ქალაქის ცენტრისაგან არცთუ მოშორებით, ყოფილ
სახაზინო შესახვევში, იდგა ექიმ ვასილ გიორგის ძე წერეთლის
ერთსართულიანი სახლი.

საუკუნის დასაწყისში ქუთაისს, ასე ვთქვათ. „კეთილშობილი
პროვინციის“ ელფერი დაჰკრავდა, თუმცა ამავე დროს იგი დასავლეთ
საქართველოს ცენტრის დანიშნულებას არ სჯერდებოდა და ხშირად,
არცთუ წარუმატებლად, საქართველოს მეორე დედაქალაქის როლს
იქმეებდა... აქ ვითარდებოდა მრეწველობა, ვაჭრობა, ხელოსნობა,

¹ „საქართველოს ისტორიის ფურცლები“, გამოც. „ლიტერატურა და ხელო-
ნება“, 1965, გვ. 13.

იკრებდა ძალებს პროლეტარიატი. ქუთაისში მრავალი ქართველი ინტელიგენტის ოჯახი იყო დაფუძნებული, რომელთა სულიერ განწყობას საუკეთესო ეროვნული ტრადიციები და ღრმად შეთვისებული მოწინავე რუსული კულტურა განაპირობებდა. ასეთ ოჯახებში დიდად აფასებდნენ ლიტერატურას, განსაკუთრებით პოეზიას, რომელიც მუსიკასთან, ხალხურ სიმღერასთან ერთად განუყოფელი კომპონენტი იყო ყოველი სუფრისა. ასეთი ოჯახის თავკაცი, როგორც წესი, რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ღებულობდა განათლებას და თანაკურსელთა მეხსიერებაში რჩებოდა კეთილ, მხიარულ მეგობრად, რომლისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ იყო. ბევრი მათგანი მისაბამ მაგალითად დარჩა თავისი კეთილშობილებით, კაცურკაცობით, სტუდენტობის პოლიტიკურ მოძრაობაში თავდადებული მონაწილეობით. სწორედ ასეთ ოჯახებს. გამსჭვალულთ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, მეფის რეჟიმისადმი სიძულვილით, კულტურული ინტერესების სიფართოვით, მიეკუთვნებოდა ვასილ წერეთლის ოჯახი. ვასილ წერეთელი გამოირჩეოდა პოლიტიკური მოღვაწეობისადმი ცხოველი ინტერესით, პიროვნების მთლიანობით. ხშირად უთქვამთ, რომ მისი სახით ბუნებამ წარმოგვიდგინა ადამიანის ერთ-ერთი ოპტიმალური ვარიანტი. რადგან მასში შერწყმული იყო გონება, მიმზიდველი გარეგნობა. იკვეთიარდ გამოხატული ხასიათი. მაღალი, ტანადი. შავთმიანი და ცისფერთვალა, სიკეთისა და გულწრფელობის გამომსახველი — ასეთად ახსოვთ იგი. როგორი სიყვარულითა და სინაზით იხსენებდა მას პატივცემული გიორგი! ჩვეულებრივ ასე იგონებს ხოლმე ჯერ კიდევ ჭარმაგ მამას ჭაბუკი შვილი. გიორგი კი ამ დროს 70 წელს უახლოვდებოდა. ხოლო მისი მამის გარდაცვალებიდან არა ერთმა ათეულმა წელიც გავლო.

ვასილ წერეთელი დაიბადა ღარიბი აზნაურის ოჯახში, რომელიც გლეხურ ცხოვრებას ეწეოდა. მას ჩვილმეტი წელი შეუსრულდა, როცა მამა გარდაეცვალა. მისმა დედამ — მაიამ, იაშვილის ქალმა, გადაჭრით უარი თქვა შვილის გიმნაზიიდან გამოყვანაზე და მის მოწყობაზე „კანცელარიაში“ სამუშაოდ. თვით ვასილსაც, რომელიც ხარბად ეწაფებოდა სწავლას, ამის გაგონებაც კი არ უნდოდა და ნათესავებს პირდებოდა, რომ არაფრით შეაწუხებდა, თვით გაეძღოდა ფონს ვაკეთილებით. მის მაღალ ნიჭიერებას მოწმობს ფაქტი, ჩვენთვის მით უფრო საყურადღებო, რომ იგი ენას ეხება... გიმნაზიაში შესვლისას

ვასილმა სრულებით არ იცოდა რუსული ენა, მაგრამ შემდეგში ისე სწრაფად და ამაყ დროს საუფლებლიანად დაეუფლა რუსულ ზეპირ და წერით მეტყველებას, რომ... მასწავლებლის გულისწყრომა გამოიწვია: მან ცემა მოწაფეს, რადგან ვერ დაიჯერა, რომ ნაკარნახევი დექსტი გადაწერილი არ იყო. ასე განმეორდა ორჯერ თუ სამჯერ. და როდესაც დარწმუნდა იმაში, რომ მისი მოწაფე არ ტყუის, მასწავლებელმა რისხვა წყალობით შეცვალა და, თქვენ წარმოიდგინეთ, უკანასკნელი მერხიდან პირველზე გადასვა. საინტერესოა, რომ შემდგომში ვ. წერეთელი ბათუმში სწორედ რუსულ გაზეთებს „ჩერნომორსკი ვესტნიკს“ („შავი ზღვის მოამბე“) და „ჩერნომორსკი გოლოსს“ („შავი ზღვის ხმა“) რედაქტორობდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვასილი ნოვოროსიის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობს (1884-1887), სადაც სხვა პროფესორებთან ერთად მას ლექციებს ცნობილი ქიმიკოსი ვ. პეტრიაშვილი უკითხავდა. ამ წლებში ქართველი სტუდენტების ნაწილი ხალხოსნურმა იდეებმა გაცთვია. ვასილ წერეთელიც ვერ ასცდა ხალხოსნობის გავლენას, თუმცა მან სწრაფად აიყარა გული ამ მიმდინარეობაზე და მარქსიზმით დაინტერესდა. იგი რევოლუციური მოძრაობაში იღებს მონაწილეობას, უახლოვდება მომავალში ცნობილ შლისელბურგელს, მოროზოვს და ფანატიკურად ეწაფება მარქსიზმს. ეს ფანატიზმი იმაშიც გამოიხატა, რომ ვასილმა წვერ-ულ-ეაშიც მოუშვა პროლეტარიატის რევოლუციური თეორიის მამამთავრის მიბაძვით, თითქმის იმდაგვარადვე, როგორც მას ჰქონდა. იმისათვის, რომ უკეთ დაუფლებოდა ფილოსოფიას, ვასილ წერეთელი გალადის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც ეს საგანი ფართოდ ისწავლებოდა. თანდათანობით იგი უნივერსიტეტის რევოლუციურად განწყობილი სტუდენტების აღიარებული ლიდერი ხდება.

ამას მოჰყვა მისი დაპატიმრება და უნივერსიტეტიდან გარიცხვა „მგლის ბაღეთით“; ვასილს აეკრძალა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება და ღიდ ქალაქებში ცხოვრება. უნივერსიტეტიდან გარიცხულ გიორგი ლასხიშვილთან და კოტე მესხიან ერთად ვასილ წერეთელი ეტაბიო გამოამგზავრეს საქართველოში... იმისათვის, რომ ულუკმაპუროდ არ დარჩენილიყო, მან მონაწილეობა მიიღო ფილოქსერას საწინააღმდეგო ღონისძიებათა ექსპედიციასში, იმ რაზმის შემადგენლობაში, სადაც ირიცხებოდა მისა ცხაკაია. ამავე დროს იგი თანამშრომლობს

გაზეთ „ივერიასა“ და ჟურნალ „თეატრში“. 1892 წელს პეტრიაშვილის შუამდგომლობით ვასილ წერეთელი იღებს სწავლის გაგრძელების უფლებას და 1893 წელს შედის კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ექიმის დიპლომის მიღების შემდეგ იგი სხვადასხვა ქალაქში მკურნალის პრაქტიკას ეწევა (კიათურიდან, ვიდრე თბილისამდე). შემდეგ კი საბოლოოდ სახლდება ქუთაისში.

მოწიფულობის ხანაში ვასილ წერეთელი ძველი ყაიდის ინტელიგენტ-ს დასრულებულ ტიპს წარმოადგენდა, იგი დარბაისლობის ცნების ჭეშმარიტი ხორცშესხმა გახლდათ. ვასილი იყო მოუღლე და უანგარო მშრომელი. იგი განაგებდა ქუთაისის პირველ უფასო ამპულატორიას, სადაც დილის რვა საათიდან დღის სამ საათამდე ზუზუნობდა: შემდეგ შინ ისადილებდა, დაისვენებდა და კვლავ ამპულატორიას მიაშურებდა. იღებდა ავადმყოფებს, ხშირად ღამეც კი უხდებოდა მათთან მისვლა.

ვასილ წერეთლის პაციენტებში ღარიბები სჭარბობდნენ. მედიკოსის პროფესიამ კიდევ უფრო დაახლოვა იგი ხალხის ცხოვრებასთან. ახალგაზრდა ექიმი კვლავ ძველებური გატაცებით ეუფლება სოციალურ მეცნიერებებს, თვითაც აქვეყნებს გამოკვლევებს საზოგადოებრივი ცხოვრების საპირბოროტო საკითხებზე, მათ შორის სტატიებს ეკონომიკისა და კულტურის შესახებ, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. ყველაფერი ეს წარმოადგენდა მისი ცხოვრების მთავარ შინაარსს. ამას მოწმობს გამოქვეყნებულ ნაშრომთა ნოცულობაც, რაც რამდენიმე ტომს შეადგენს.

მოგონებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი ხასიათის მთავარი თვისება თავის თავში ჩაღრმავება, თვითდაკვირვება იყო. კითხვა და წერა მას დაუსრულებლად შეეძლო.

გიორგი ლასხიშვილს თავის „მოგონებებში“ საინტერესო ფაქტი მოჰყავს. როცა უნივერსიტეტიდან გარიცხულნი ეტაპის წესით ბრუნდებოდნენ საქართველოში, ყველა მძიმე საგონებელში იყო ჩავარდნილი — დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, სახელმწიფო სამსახურის აკრძალვა, მშობლების განაწყენება და სხვ. უეცრად ვასილმა ჰკითხა გიორგი ლასხიშვილს: „როგორ გგონია, გიორგი, ადამ სმიტი სიმართლეს ქადაგებს?“. ლასხიშვილი ჯერ გაშრა მოულოდნელობისაგან, ხოლო შემდეგ მეგობარს შეუტია: „ადამ სმიტი-

სათვის გცხელა ახლა? მე კი მეცოდებოდი, ვფიქრობდი, რომ შენს მძიმე სვედრს მისტირი, შენ კი თურმე აი რისთვის მოგიცლია!“

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი იურისკონსულტი მიხეილ ქორქაშვილი, რომელიც ოდესაში ვ. წერეთელთან ერთად ცხოვრობდა, ერთ ზამთრის დღეს ასეთ სურათს წააწყდა: ვასილი მაგიდას უჯდა და გატაცებით კითხულობდა, ღია სარკმლიდან კი თოვლი და სუსხი შემოდრიოდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ამას ვერ ამჩნევდა.

ფიქრებში ჩაძირვა სრულ გათიშვამდე ვ. წერეთელს სიცოცხლის ბოლო დღეებამდე გაჰყვა, როგორც ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება. ამით აიხსნებოდა მისი საოცარი დაბნეულობაც. მისი შვილები ფიქრებით გართულ მამას რომ შეხვდებოდნენ, განზრახ, როგორც უცხოს, ისე მიესალმებოდნენ ხოლმე. პატივცემული ვასილიც ზრდილობიანი სალმით უპასუხებდა, უცებ სიცილს გაიგონებდა, გამოერკვეოდა და მაშინლა მიხვდებოდა, რომ მის წინ საკუთარი შვილები იდგნენ. შეცბუნებული, დამნაშავესავით გაიღიმებდა და ბავშვებს რბილად დატუქსავდა, თუმცა ეს უფრო მოფერება იყო, ვიდრე დატუქსვა.

ვასილ წერეთელს სერიოზული მკვლევარის ყველა მონაცემი ჰქონდა (ცნობილია, რომ იგი საფუძვლიანად დაეუფლა ქიმიას და პეტრიაშვილის უსაყვარლესი მოწაფეც გახდა), მაგრამ მას, როგორც ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ სოციალურ უსამართლობას, ძალიან იტაცებდა პოლიტიკა.

ამ ადამიანის კიდევ ერთი თვისება უნდა აღინიშნოს საგანგებოდ — ეს არის საოცარი მიმნდობელობა, რაც ხშირად ბავშვურ გულუბრყვილობაში გადადიოდა, მისი სულიერი სიწმინდე და სიფაქიზე ორგანულად ერწყმოდა მძაფრ შეურიგებლობას უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ, რასაც ის დაუყოვნებლივ ეხმაურებოდა (საგაზეთო წერილით ან საჯარო გამოსვლით) მისთვის ჩვეული გზებით.

— ის არასოდეს აუმაღლებდა ხმას, არც შინ, და არც სამსახურში. — იგონებს ვასილ წერეთლის ქალიშვილი, ცნობილი ქართველი იურისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ წერეთელი, — მიუხედავად ამისა, ჩვენ, მის შვილებს მისი დიდი რიდი გვქონდა, როცა ის მუშაობდა, მის კაბინეტში ვერა-

ვინ შეებღავდა შესვლას. შენიშვნების მიცემა არ უყვარდა და ამის აუცილებლობა არც იყო. ჩვენ ჩინებულად ვიცოდით, რა ახარებდა, რა ღონებდა, ამიტომაც ყოველნაირად ვცდილობდით მისი გულის-ტკენა არ გამოგვეწვია. მამასთან ჩვენს ასეთ დამოკიდებულებას დიდად უწყობდა ხელს დედა, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა თავისი მეუღლე და უაღრესად პატივს სცემდა მას.

სკოლის მასწავლებელმა ქეთევან გიორგის ასულმა ჩიქოვანმა, რომელზეც ეასილ წერეთელმა ჯვარი დაიწერა ქუთაისში, გათხოვების შემდეგ მთლიანად ოჯახს მიუძღვნა თავისი ნიჭი და ახალგაზრდობა. აი, ვის არ ახასიათებდა სიმშვიდე! თუმცა, ძნელია ეს მოსთხოვო მრავალშვილიან დედას; იგი იყო მეტად ენერგიული, მომთხოვნი, ამავე დროს რბილი, საოცრად უბრალო და მომხიბვლელი ქალი.

— დედა არ იყო მკაცრი, თუმცა ხშირად დაგვიცაცხანებდა ზოლზე, — იგონებს ქალბატონი თინათინი, — იყო ლამაზი, მხიარული, სიცოცხლით აღსავსე, ხალისით მონაწილეობდა საზოგადოებრივ (საქელმოკმედო) საქმიანობაში, უყვარდა კონტად ჩაცმა (მდიდრულად — ვერა, გმუდმებული უსახსრობის გამო).

ხასიათის ერთგვარი სიფიცხე მან დაუშეკვიდრა თავის ერთადერთ ვაჟს გიორგის, რომელიც 1904 წლის 21 ოქტომბერს დაიბადა და რომელსაც ეროვნული და საოჯახო ტრადიციის მიხედვით. პაპის — მამის მხრიდან — გიორგი შეარქვეს.

მშობლები ბავშვებს ცოდნისა და შრომის სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდნენ. შვიდი შვილიდან სამი ადრევე გარდაიცვალა. ცოცხლად დარჩენილ ოთხ შვილთაგან უფროსმა — ბარბალემ ისტორია აირჩია, თინათინმა — იურისპრუდენცია, გიორგიმ — ფილოლოგია, ხოლო სულ უმცროსმა ელენემ — ბაქტერიოლოგია. საოჯახო ინტერესების სიფართოვემ საშუალება მისცა თითოეულს თავისი მოწოდების შესატყვისი და შესაფერისი პროფესია აერჩია, განეგრძო და გაეღრმავებინა ოჯახის შრომითი ტრადიციები. ბავშვები მამას ყოველთვის საქმით გართულს ხედავდნენ, თვით სუფრაზეც კი, სტუმრიანობის დროს, იგი მეგობრებსა და ამხანაგებს ესაუბრებოდა პოლიტიკურ, სოციალურ, ლიტერატურულ და სამედიცინო თემებზე.

1926 წელს, როცა გიორგი უნივერსიტეტის კურსს ამთავრებდა, ვასილ წერეთელი ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებ-

ლად. 1928 წლამდე იგი რედაქტორობდა ჟურნალ „ჯანსაღკომის
ზოამბეს“, ხოლო შემდეგ პენსიაზე გავიდა. გარდაიცვალა 1937 წელს.

მე ბამიტაცა ბგერებრისა და ხმების სამყაროში...

წერეთლების ოჯახში, ლინგვისტური ნიჭი მხოლოდ მამაკაცებს
გადეცემოდათ თაობიდან თაობაში, — რატომღაც ასე გვარჯმუნებს
ჭალბატონი თინათინი, თუქცელა თორთონ შექანაწნაქად ფლობს რამ-
დენრმე ენას. თარგმნის ქართულ ენაზე რუსულიდან, გერმანულიდან,
ფრანგულიდან...

ბედის ტრიალმა ვინ არ ჩამოიყვანა ქუთაისში. აქ იყრიდნენ თავს
ტანწერილი, მალარიისაგან გაყვითლებული კოლხები, რომლებიც მე-
გობრულად საუბრობდნენ და ხალისიანად უხსნიდნენ პატარა გოგის.
რომ დედა მეგრულად „დიდაა“, მამა — „მუმა“, ხოლო დათვლა ასე
ფრანგულიდან...

მიუღვრელი კიუხებიდან სამუშაოს საშოვნელად ჩაპოდი-
ოდა სვანი, რომელსაც „ვარსკვლავებისაგან ბევრჯერ ჰქონდა
ხელი დამწვარი“ (როგორც მოგვიანებით რტყვის პოეტი რევაზ მარ-
გიანი), თან ჩამოჰქონდა ლეგენდისდარი ნამდვილი ამბები უფროსე-
ბის ძალაუფლებაზე, სისხლის აღებაზე, იმაზე, თუ რა ძვირად ფასობს
მთაში მარლი, იარაღი, ნამდვილი მეგობარი. სვანები მღეროდნენ
თავის გაწუმეორებელ „ლილეოს“, მზის ჰიმნს და ამ სიმღერაში
მძლავრად ჰქუხდა სიცოცხლისა და ბრძოლის უკიდევანო სიყვარუ-
ლი...

მთის ეს ამაყი და ამავე დროს ღარიბი შვილები ჩინებული ტყის
მჭრელები იყვნენ, ხოლო ქუთაისში შეშას ხერხავდნენ.

პატივცემულ ჩასილს ეხალისებოდა პათთან ურთიერთობა და პა-
ტარა გიორგიც ხშირად ერთვოდა საუბარში. ასე გაიგო მან, რომ
სვანურად დედა „დედეა“, მამა — „მუ“, „ბაბა“, ხოლო დათვლა ასე
უნდა...

მოგვიანებით, როცა სპეციალური ლინგვისტური განათლება მიი-
ღო, გიორგის ყოველთვის აოცებდა ქართული დიალექტების სიცოც-

ზღისუწარიალობა და ცხოველმყოფელობა. ახლა კი მას უბრალოდ სიამოვნებს ახალი, მისთვის უცხო სიტყვების წარმოთქმა. იგი თითქოს კანონებს უსინჯავს ამ სიტყვებს, სწავდება მათ ყდერადობას, მუსიკალურსა და ვაჟიკატურს ერთდროულად. ასე შეისწავლა მან მეგრული და სვანური. ქართულსა და რუსულს ხომ ბავშვობიდან ფლობდა. ამ ენებზე საუბრობდნენ მისი ოჯახის წევრები. ეს ენები ისწავლებოდა და გიმნაზიაში.

შვილის ლინგვისტური გატაცება მამამ უმაღლეს შეამჩნია. ის ჯერ თვითონ ამეცადინებს გიორგის, ასწავლს ლათინურსა და ბერძნულს, ხოლო შემდეგ ურჩევდება იმდროინდელ ცნობილ ლათინისტს — მოხაკო ჩინჩალარეს კერძო გავევითლებს თაობაზე, ვინაიდან ეს საგანი უკვე აღარ ისწავლებოდა.

1914 წელს ქუთაისში გაჩნდნენ გერმანელი სამხედრო ტყვეები, რომლებიც ქალაქის ფარგლებში სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. ერთსელ მასწავლებლებმა, რომელთაც ერთად გიორგი გიმნაზიიდან შინ ბრუნდებოდა, გაანერა ქუჩაში ტყვეები და კერძო სულად გამოეცაუბრა მათ.

ბავშვი, რომელსაც გერმანული სიტყვებისა არა გაეგებოდა, რა, დაქვეითებული სპირის მქონე მგლომანის დაძაბულობით ცდილობდა საუბრის შინაარსს ჩაეგდეროდა. გამაზნელებულმა ლინგვისტურმა აღიღო საშუალება მისი მას ერთგვარად გაეგებებოდა მისთვის უცხო ენაში. ამის წიგნი გიმნაზიის ლინგვისტურ შემოწმებებს ეწერა. შენახვევითი როდია, რომ ეს შესვენება გიორგი წერეთელს, სანუღმოდ დამასსოვრდა.

ერთ-ერთი ტყვე სტუდენტი აღმოჩნდა და იგი მიიწვიეს წერეთლებს სახლში გიორგის მაწავლებლად. სტუდენტი როგორც წესი, მუცადინობაზე თავისი მეგობრებთან ერთად უბრუნდებოდა და ამიტომ იყო, რომ გიორგი აღვიღ დიდი იმედოვნა ცოცხალ, სალაპარაკო ენას.

დასლოებით იმ თვეში იგი საცმარ სად გაეუფლა, რომ იტყვიან „საფეილბურთ“ გერმანულს. სოლიათოც ვინა იქნა შიშის გერმანულის წავლებამ ნიდეგა, მან უკვე ბევრი რამ იცოდა, მათ შორის გრამ ტიკიფანაც. მაგრამ გერმანულის გავევითლებზე დროს უშვებო არ ჰქარავდა. ენის, იქნებ სწორედ ამ გავევითლებზე გამოიჩინა მისი მოწოდება ლინგვისტიკისადმი? ის არ შეადგენდა მარც ტენის გმირის მსგავსად გერმანული ზმნის დაუფლებისას, მას აინტერესებოდა.

და ეს. მისი ცოდნა მასში ბადებდა სურვილს შეედარებინა სხვადასხვა
ენის ცალკეული სიტყვები, გრამატიკული ფორმები, ჩნდებოდნენ
ფიქრები ლინგვისტურ თემებზე. ეს წვრთნაც იყო და დიდი სიამოვნებაც
მომავალი აკადემიკოსისათვის.

საინტერესოა, რომ რუსული „მამა“, გერმანული „მუტერ“ ფრანგული
„მამან“ (ფრანგულს ბავშვებს ჯერ დედა ასწავლის, ხოლო შემდეგ
მასწავლებელი — მამაშენი დაბლო) გამოხატავს ერთსა და იმავე
არსებას, მსოფლიოში ყველაზე ლამაზს, ყველაზე კეთილს, რომელიც
ყოველთვის ელოდება მას შინ, ყოველთვის ეღერება, თუნცა
ზოგჯერ უწყრება კიდევ. ქართულად მას დედა ჰქვია, და რატომღაც,
რომ ეს სიტყვა იმიჯება ყველა დანარჩენს, იგი უფრო თბილი, უფრო
სანუკვარი, მშობლიური და განუმეორებელია.

საღმრთო სჯულის გაქვეითლებზე კითხულობდნენ სახარებას
(ქართულ ენაზე: მეცნიერთა აზრით. იგი ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში
ითარგმნა). სახარებას რელიგიური ექსტაზი არ გამოუწვევია გიმნაზიკაში.
მან მხოლოდ ახალი საკვები მისცა მომავალი პეცნიერის ფალოლოგიურ
ვარჯიშს. „მე ბავშვობაში გადაწყვეტიტე ლინგვისტიკაზემდარიყავი,
— მითხრა ერთხელ გიორგი წერეთელმა, — ამიტომაც განსაკუთრებული
სიბეჯითაა გიუფლებოდი ენებს“.

გიმნაზიაში იგი სწავლობდა და მეგობრობდა ვალერიან გამყრელიძესა
(ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის
დირექტორი) და ილია ფანკხავა თან (ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი: პროფესორი) ერთად. სამივემ ერთდროულად დაამთავრა
გიმნაზია.

1923 წელს გიორგი წერეთელი შედის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამით მან იმ კიბის პირველ
საღვთურზე შედგა ფესი, რომელმაც იგი თანამედროვე ენათმეცნიერების
მწვერვალამდე მიიყვანა.

გიმნაზიის წლებში დაუმეგობრდა გიორგი წერეთელი ბე' არიონ
ქლდუტას. გიორგი ბე' თქვით ერთი წლით უმცროსი იყო ისინი ხელ-
ბოდნენ ერთმანეთს ლიტერატურის წრეში, რომლის მუშაობაში
მონაწილეობას იღებდნენ განსხვავებული მიზნებით.

— ჩვენ ყველანი ლექსებს ვწერდით, ის კი თავს იკავებდა. —
ყვებოდა ბესო ქლდუტი და ღიმილით განავრცობდა, — გიორგი ჩვენზე
გაცილებით უფრო სერიოზული იყო. ჩვენ ყველა ანგარიშს ვუწევ-

დით მას, თვით მასწავლებლებიც კი. გიმნაზია ერთდროულად დაემა-
თავრეთ.

გიორგი წერეთლის ღრმა ინტერესი ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი შეიძლება შევადაროთ ოკეანის მთაგრეხილს, რომლის მხოლოდ ცალკეული მწვერვალები ჩანს ტალღებს ზემოთ, თვით ქედი კი — ამ მოვლენის უწყვეტი მთლიანობა — მიუწვდომელია თვალთახედვისათვის. ჩვეულებრივ ხელავდნენ ოკეანის სივრცეში გაბნეულ კუნძულებს — მის ცალკეულ გამოვლენებსა და წერტილებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და ასე იყო იმ მომენტამდე, როცა მან, უკვე ხანდაზმულმა, დაასრულა კლასიკური ნაშრომი „პეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“.

1957 წელს გიორგი წერეთელი და ბესო ჟღენტი ერევანში გამართულ ამერიკაეკასიის ლიტერატორთა სამეცნიერო სესიის მუშაობაში იღებდნენ მონაწილეობას. ეს სესია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს ეძღვნებოდა. სწორედ იმ დღეებში გარდაიცვალა დიდი სომეხი პოეტი ავეტის აივაკიანი. საბჭოთაპრომიტინგზე გამოვიდნენ ბესო ჟღენტი — საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით და გიორგი წერეთელი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისაგან. ბესო ჟღენტის სიტყვა, როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა თავისი ფართო ერუდიციით, ორატორული ხელოვნების ბრწყინვალეობით, ხოლო გიორგი წერეთლისა — ტედაობითა და გულითადობით, რასაც მისი ოღნავ ყრუ, მოღუღიაციმოკლებული ხმა თითქოს უწყობდა კიდევ ხელს. ამ სიტყვის სიღრმემ და გულითადობამ მსმენელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ამას ადასტურებდა ბესო ჟღენტი, რომელმაც თვით აღიარა გიორგი წერეთლის გამოცდილის დიდი რეზონანსი და ამასთან ერთად დაამოწმა უცხოეთიდან ჩამოსული სომეხი მეცნიერი ჭაღის სიტყვები: „ეს გამოსცლა ყველაზე უფრო ღრმა და შთაბეჭდილი იყო“.

ცნობილია, რომ გიორგი წერეთელი დიდ დახმარებას უწევდა კონსტანტინე გამსახურდიას ქართულ და უცხოურ წყაროებზე მუშაობისას. იგი მეგობრობდა გიორგი ლეონიძესთან, ირაკლი აბაშიძესთან. ქართული ლიტერატურა მისთვის საზოგადოებრივი და პირადი საქმეც იყო. შემთხვევითი როდია, რომ მისი უკანასკნელი შრომა დიდი რუსთაველის პოემას მიეძღვნა.

ოციან წლებში საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოება მაღალ რანგს მიეკუთვნებოდა როგორც მასში თავმოყრილი მეცნიერული ძალებით, ისე თავისი ავტორიტეტით სამეცნიერო ინტელექტუალური წრეებში. ამ საზოგადოებას სამართლიანად მიიჩნევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ წინამორბედად, მის ბირთვად.

1925 წელს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს — გიორგი წერეთელს დიდი პატივი ხვდა წილად: მას სთხოვეს გაეკეთებინა მოხსენება საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე. ეს იყო მისი ხელმძღვანელის გიორგი ახვლედიანის მიერ მოწონებული რეფერატი: „არაბული „აინ-ს“ გადმოცემისათვის ქართულ ენაში“.

მეცნიერთა სინკლიტმა მოხსენება დიდის გულისწყურით მოისმინა და მოიწონა იგი. სტუდენტი სიხარულს ვერ ღარაუდა (მხოლოდ მოგვიანებით დაეუფლა გიორგი წერეთელი გარეგნული აუზღვრელობის ხელოვნებას. ამიტომ იყო, რომ ისინი, ვისაც წილად ხვდა მეცნიერთან ურთიერთობის სიხარული მისი დაბრძენების წლებში, ამ თვისებას თანდაყოლილად მიიჩნევენ). მასთან ერთად ხარობდნენ მშობლები, დები. სტუდენტი კი განაკრძობდა სწავლას, ისმენდა ლექციებს, ბევრს მუშაობდა შინაც. ამასთან ერთად ის რჩებოდა ადამიანად, რომლისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ იყო.

უნივერსიტეტში სწავლების პირველ წლებში გიორგი წერეთელი გაიტაცა სანსკრიტმა — ძველმა ინდურმა ენამ. მეცნიერებაში საკუთარი თემის ზოძიების შემდეგი ეტაპი არმენოლოგია იყო. ის ბევრს მუშაობდა, რომ სომხური ენა აეთვისებინა, სწავლობდა ტექსტებს: ბევრსაც მიაღწია, მაგრამ ამ მიმართულებით საქართველოში, და განსაკუთრებით მეზობელ სომხეთში, არა ერთი გამოცდილი სპეციალისტი მუშაობდა. აქედან სტუდენტს მართებული დასკვნის გამოტანა შეეძლო: მინდორი საფუძვლიანად გადასულა... საუნივერსიტეტო პროგრამა კი ამ დროს მას არაბულ ენას სთავაზობს. ასე აღმოცენდება ახალი გატაცება, რომელიც შემდგომ მთელი სიცოცხლის საქმედ იქცევა. ამ არჩევანში დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ თბილისის უნივერსიტეტის არც ერთი პროფესორი არაბის-

ტიკას თავის ძირითად სპეციალობად არ თვლიდა. აკაკი შანიძე ასწავლიდა სტუდენტებს არაბულ ენას, მაგრამ ძირითადად მაინც ქართველოლოგიისა და არწენოლოგიის პრობლემებით იფარგლებოდა. გიორგი წერეთლის მკვლევარად ჩამოყალიბებაში აკაკი შანიძის გარდადიდი როლი შეასრულეს გიორგი ახვლედიანმა, რომელიც საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოებას ხელმძღვანელობდა და უნივერსიტეტში კითხულობდა ზოგადი ენათმეცნიერებისა და სასწავლო კურსებს, და დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა.

ეს ზემოთხსენებული მკვლევარები თავის შოღვაწეობაში ხელმძღვანელობდნენ იმ იდეით, რომელიც ასე ზუსტად და სხარტადაა განოთქმული ქართულ ლექსში: „ის ურჩევნია მამულსა,

რომ შეილი სჯობდეს მამასა“.

ისინი მუდამ ეძებდნენ ახალგაზრდა, მომავალ ნიჭიერ მკვლევარებს, ნამაწვილურად ზრდიდნენ და წვრთნიდნენ მათ. დიდმა ნეცნ-ერებმა და მოქალაქეებმა უმაღლესი შეიცნეს გიორგი წერეთლის მძლავრი ლინგვისტური ტალანტი და მოიზიდეს ქაბუჯი საუნივერსიტეტო კომპლექსურ ექსპედიციებში. 1925-1927 წლებში მან მოიარა სევ ურეთი. ახალქალაქის რაიონი, ზემო იმერეთი, რამდენიმე ხანი დაჰყო სომხეთშიც. სწორედ ამ დროს შეიძინა გ. წერეთელმა ლინგვისტის ტიკის სფეროში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები.

დაცულია გიორგი წერეთლის დღიური, სადაც ასახულია ექსპედიციის ზემო იმერეთში 1926 წ. აგვისტო-სექტემბერში. ესაა სასკოლო რეგული. რეგულიც საგულდაგულოდაა შევსებული ჩანაწერებით. იგი მოქმედებს მისი მფლობელის მეთოდურობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ზემოთხსენებული მეცნიერი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტის მოხვედრა შეგუძლია მთელი სისრულით წარმოვიდგინოთ დამწერები მკვლევარის მძლავრი მეცნიერული პოტენცია, ეს მაინც გასულს რჩეულია. დეტალებსადმი განსაკუთრებულ ყურადღებაში იკითხება ენერგია ენათუბიკატისა, დავალებას რომ იღებს უფროსისაგან. თანაც ისეთი უფროსისაგან, რომელიც უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას აქვს ურჩებს. ამ დავალების შესრულებისას გიორგი სოფელ გველადერი მნიშვნელოვანია და ძვირფასია.

მას დავალება ჩაეწერა ზემო იმერეთის ზღაპრები და დაეწესებინა ცნობები აქ დაცული ხელნაწერების შესახებ. შორაპანში გიორგი წერეთელს ადგილობრივ ხელისუფალთაგან სპეციალური ქაღალდი მიუღია, რომელიც ავალდებულებდა რაიონულ აღმასკომებს ყოველ-

გარა დახმარება ვაეწიათ ახალგაზრდა მეცნიერისათვის. გ. წერეთელს სანახევრო მიემგზავრება. სადაც მას მისცეს ცენი და გამყოლიც სოუჩინეს გრუქში ასახვლეღად. გამყოლი მლიციელი აღმოჩნდა. აქეთ ს მონასტერში ერთადერთი ცოცხალი არსება აღმოჩნდა ბერი. იგივე ყარაული. ეს ბერი თუ ყარაული მლიციელის დანახვანე იმ-
დენად შეშინდა, რომ, როცა დარწმუნდა — ეს ხალხი სამშვიდობო-
დაა მოსულიო, აღელვებისაგან გიორგი წერეთელს... ხელზე ემთხვია. მაშინდელმა ფოტოებმა, რომლებიც ინახება გიორგის ოჯახში, აღზექ-
დეს ახალგაზრდა მეცნიერის ნებისყოფით აღსაცე შენართული მზე-
რა. და მაინც — „მე შეეცბი“, — ჩაიწერა ზომავალმა დიდმა მკვლე-
ვარმა ამ ეპიზოდთან დაკავშირებით.

„შიგ მონასტერში, — ჯეითხულობთ ამავე დღიურში, — საყუ-
რადლებო ხელნაწერები აღარაფერია. არის მხოლოდ სახარება და
ლოცვანები სრულიად ასლები. ხელნაწერი ორის ნეტი ვერ ვიპოვე
(მეთვრამეტე საუკუნის ლოცვანები). საყურადღებოა წარწერები
კედლებზე. ამას გარდა, საცხეა მონასტერი საფლავის ქვების წარწე-
რებით. უმთავრესი მათგანი მოთავსებულია შიგნით, აღსავლის
კარების წინ. სამწუხაროდ, დრო არა მაქვს მათი გადმოწერისა: ამ
საღამოს უნდა დავბრუნდე საჩხერეში“.

„...დაცემშიდობე ბერს. ძალიან გული კი დამწყდა ამ დიადი მო-
ნასტრის ციტოვებაზე: ეინ იესო, მოცენწერები კიდევ ამ ძვირფასი
საგანსტრის ნახვას? მაგრამ თავი იმით დავიიშედე, რომ ტფილისის
საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ. მუზეუმის... ერთ-ერთი უძველესი
ხელნაწერი, განთქმული „გრუქის სასტრების“ სახელით, ხანდახან
მაინც მომცემდა საშუალებას აღმედვინა იესო მცხსიერებაში წარმო-
დგენა გრუქის მოსადტრის შესახებ. ეს სახარება ჩემთვის მეტრსმეტად
ძვირფასია. მე პალეოგრაფიაში ვარჯიშის დროს მასზე დავიწყე პირ-
ველად მუშაობა ჟერ კიდევ პირველი სემესტრის სტუდენტმა, და მან
პირველმა მაგობნობინა თუ რა სხარულს განიცდიდა ამდენი, რიდე-
საც მისთვის სრულიად მოულოდნელად შეტრსმეტად საინტერესო
ფორმებს აღმოაჩინეს. თუმცა პირველად სკორედ ამ ხელნაწერმა
მომატყუა“.

გადამწერის უჩებლიე ლაფსუმა შეცდომაში შეიყვანა პირველ-
კურსელი, მაგრამ მას პროფესორმა აკაკი შანიძემ დროზე უშველა
და გაუსწორა.

დღიურში ჩაწერილი ეპიზოდი დიდად საინტერესოა როგორც ლიტერატორის, ისე ფსიქოლოგისთვისაც. გიორგი წერეთელმა ზემო იტყუებოდა ყოფნასას მ. ბინაძე 140 წლის მოხუცი — ძველი ზღაპრების ჩანებული მცოდნე. მაგრამ მოხუცს ლაპარაკი აღარ შეეძლო, მისი ზავიერობა გიორგისათვის უკვე ნაცნობმა სპირიტონმა გასწია. მოგუშმინათ თვით გიორგი წერეთელს:

„...კალმის ხელში აღებისთანავე ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წავაწყდი. მოხუცი ჩვეულებრივ კი არ ლაპარაკობდა, არამედ ცდილობდა „ენა გაესწორებინა“ და შეძლებისდა გვარად ლიტერატურული ქართულით ელაპარაკა. ბევრი ჩიჩინის შემდეგ სპირიტონი დარწმუნდა, რომ ჩემთვის საჭირო იყო მისი ჩვეულებრივი, შესისხლ-ხორცებული მეტყველება. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო ხეცსურეთშიც. საკმარისი იყო კალმის ხელში აღება, რომ ხეცსურს თავისი კილო შეეცვალა და „ბარის კილოზე“ გადასულიყო. იმათაც, რა თქმა უნდა, თავისდაუნებურად მოსდიოდათ, ეს, უბრალო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მორცხვობის გამო“.

მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ საქმე მორცხვობაში როდია; ყველაფერი ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ იმ ხეცსურს, იმ იმერელსაც და, საერთოდ, ბევრ სხვას გულწრფელად სჯერა და სწამს, რომ მწიგნობარს უნდა ელაპარაკო მისივე ენით, იმ ენით, რომელსაც ჰქვია საგაზეთო ენა, ან ისე, როგორც ეს რადიოთი და ტელევიზიითაა მიღებული. მეტად ძნელია გადაარწმუნო ასეთი თანამოსაუბრე.

„ნორე დაბრკოლება, — წერს გიორგი წერეთელი, — ეს უკვე პირადად ჩემგან გამომდინარეობდა: ჩემი ყური ხშირად ვერ იჭერდა ზოგიერთ ბგერას და ამიტომ ვამეორებინებდი ხოლმე სიტყვებს, მაგრამ ამ განმეორების დროს ჩემი მოსაუბრე ხშირად სცვლიდა სიტყვას და სხვანაირად ამზადდა“.

ნუ გიოცებ, მკითხველო, მაშინ ხომ სახსენებელიც არ იყო მაგნიტოფონისა და სხვა ჩამწერი ტექნიკის, ურომლისოდაც დღეს წარმოუდგენელია ლინგვისტური კვლევა.

ასე მოგზაურობდა სოფელ-სოფელ ახალგაზრდა მეცნიერი, ავსებდა დღიურს ჩანაწერებით თავის გამყოლ მილიციელზე (რომელიც შემდეგ უნივერსიტეტის მსმენელი გახდა, — აი, დროის დამახასიათებელი ნიშანი), XVI-XVII საუკუნის ტაძარზე, კედლებზე დაზიანებული ფრესკები და წარწერები რომ შერჩენია, კრიმსკის წიგნზე

„არაბული ლიტერატურა ნარკვევებსა და სახეებში“ („ის არ შედის ჩემს გეგმებში, თავშესაქცევად ჯკრთულობ“), მოულოდნელ ავად-
მყოფობაზე, რომელმაც ლოგინს მიაჯაჰვა და, თქვენ წარმოიდგინეთ,
იმაზეც, რომ მახსოვრის ეკლესიაში არის ქართული წარწერა, სადაც
სამი არაბული სიტყვა ამოიკითხება.

ტყუილად კი არ ანობენ — წვრთნითა მოკირწყლული გზა ოს-
ტატობისკენო. გაუა მრავალი წელი, მაგრამ სწორედ ამ პირველ ექს-
პერიცებში მიღებული გამოცდილება გაუკაფავს ახალგაზრდა
მეცნიერს უმოკლეს შარაგზას წარმატებისაკენ, რომელიც დაკავში-
რებული იყო არაბული ენის შუაჯიურ დილეგტებისადმი მიძღვნილ
ფუნდამენტურ კვლევასაც. ეს ნაშრომი უნელ იქცა არაბისტების
სამაგიდო წიგნად.

1927 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრე-
ბის შემდეგ, გიორგი წერეთელი რჩება, უფრო სწორად, მას ტოვებენ
ფაკულტეტზე მეცნიერული მუშაობისათვის მოსამზადებლად.

შემდეგ მოღვწეები ისე განვითარდა, რომ ახალგაზრდა მეცნიერი
სამუდამოდ დაუკავშირდა აკადემიკოს ეგნატე ივლიანეს ძე კრაჩკოვ-
სკის საქვეყნოდ აღიარებულ არაბისტთა სკოლას.

1928 წელს თბილისის უნივერსიტეტმა თავისი გაზრდილი ლენინ-
გრადში მიაღწინა. აქ უნდა თხრობას ოდნავ გადაუხვიოთ. საქმე ის
გახლავთ, რომ ოცინი წლების მიწურული და ოცდაათიანი წლების
დასაწყისი ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული გამოკვლევებისადმი უდი-
დესი დაზნტერესებით ხასიათდებოდა. შესაბამისად ამისა, მიღებულ
იქნა პარტიისა და მთავრობის მრავალი დადგენილება. სახელმწიფო
ამ მიზნებისთვის, მიუხედავად წარმოუდგენელი სიძნელეებისა, იღე-
ბდა დიდ სახსრებს. ახორციელებდა ჰმედით ღონისძიებებს. 1929
წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა მაღა-
ლი ტიპის ასპირანტურა, რომელშიც ჩვეულებრივი ასპირანტურის
ორწლიან სტაჟის მქონე პირები რიცხვდებოდნენ. სწორედ მაშინ წა-
რიგზანენ ამ ასპირანტურაში მათემატიკოსები ილია ეიკუა, ვიქტორ
კუპრადე, ასტროფიზიკოსი ევგენი ხარაძე, ლინგვისტები გიორგი
წერეთელი, სერგი ჯიქია, შოთა ძიძიგური და სხვ. ამ პირთა შემ-
დგომმა მეცნიერულმა, ორგანიზატორულმა და საზოგადოებრივმა
მოღვაწეობამ გაამართლა ეს არჩევანი.

ლენინგრადში რომ ჩამოვიდა, გიორგი წერეთელმა თავის მოგვარეს, ცნობილ მეცნიერ-ელინისტს, პროფესორს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გრიგოლ წერეთელს მიაწერა, რომლის ოჯახი სულიერად მისთვის ახლობელი იყო. გრიგოლ წერეთლის მეუღლე — ფილოსოფოსი სოფიო ივანეს ასული მაჭსიმოვა იმ დროს თბილისში იმყოფებოდა. ლენინგრადის ბინაში ცხოვრობდნენ მისი და — მარიამ მაჭსიმოვა. ერშიტაეის თანამშრომელი, ბერძნული და რომაული ენების ჩინებული მცოდნე, კრაჩკოვსკის ოჯახის დიდი სწავლუი მეგობარი და მისი ძმა, უცხო ენების მასწავლებელი. ამ ბინაში (რილეევის ქუჩაზე) ხშირად იკრიბებოდნენ ფილოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები. გულისა მასპინძლებმა გიორგის გამოუყვეს ერთი დიდი ოთახი, რომელშიც ძველებური ქურკლით სავსე რამდენიმე უზარმაზარი კარადა იდგა, რითაც სუფრიაწობის დროს ერთობოდნენ. სუფრა კი ხან ძალიან ღარიბული იყო, ხანაც, როცა საქართველოდან ამანათი მოაღწედა, იმ დროისათვის საკმაოდ უხვი (1928 წელი ძნელი გამოდგა). ერთი კი იყო — ეს თავყრილობები მუდამ სილალისა და მხიარულების ვითარებაში ჩაივლიდა ხოლმე, ვინაიდან მათი მონაწილენი ახალგაზრდები იყვნენ, რომეცალს იმედიანად და შეუპოვრად რომ ეგებებოდნენ. რა სიბოროტი და სიამცბილობით იგონებდა ამ შეხვედრებს უკვე ხანდაზმული მეცნიერი: აქ გაიცნო მან მომავალში მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, ბუნებისაგან ნიჭით უხვად დაჯილდოებული ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბოლდირევი. იგი, როგორც ეს აღმოსავლეთმცოდნეს შეჰფერის. რამდენიმე უცხოურ ენას ფლობდა, იყო მეტად სანდოპირანი და განსაკუთრებული იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული. ქართველები მას „სანდრიკს“ ეძახდნენ. აქ დაიწყო მათი მეგობრობა, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გააყვათ.

გიორგის დიდხანს არ უცხოვრია რილეევის ქუჩაზე, ვინაიდან, რარიგ სტუმართმოყვარეც არ უნდა ყოფილიყო ეს ოჯახი. მას ბაინც დამოუკიდებელი ცხოვრება იზიდავდა. მალე ის მეცნიერთა სახლის საერთო საცხოვრებელში გადაბარგდა და კვლავ თანატოლთა, თანამემამულეთა წრეში აღმოჩნდა.

თანდათანობით სტიპენდიის საკითხიც მოგვარდა, თუმცა ახალ-

გაზრდა მეცნიერი ამ მხრივ დალხინებული იშვიათად იყო. ის ჯერ წიგნებს ყიდულობდა, ხოლო შემდეგ კვებასა და საერთო საცხოვრებლით სარგებლობისათვის ფულის შეტანაზე ფიქრობდა. ყველაფერში — უსასტკესი ეკონომია. სახლში წერილებსაც კი ხშირად უმარკოდ აგზავნიდა, იქნებ იმიტომაც ხშირად აგვიანებდნენ ისინი. „წერილებს ჯიბით დავატარებ, დრო არა მაქვს საფოსტო ყუთში ჩავეუშვა ისინი“, — თავს იმართლებდა გიორგი შემოფოთებული მშობლების წინაშე.

გიორგი წერეთლის წერილები ლენინგრადიდან სავსეა უდიდესი სიყვარულითა და სითბოთი ნათესავებისადმი. მაქლობებისადმი. გიორგი ხშირად მიმართავს სხვადასხვა თხოვნით თავის დას — თინათინს, თიკოს, როგორც მას შინაურები ეძახდნენ. დის აღტაცება ერთადერთი, უაღრესად ნიჭიერი ძმით. ერთგვარ დედურ სინაზესაც მოიცავს. თინათინი ყოველთვის ცდილობდა „შეემციკრებინა მანძილი ცხოვრებასა და ოცნებას შორის“. თიკო მისი ერთგული „საქმისმწარმოებელი“ ხდება — უგზავნის საჭირო ცნობებს, წიგნებს, ფულს...

„ზამთრისათვის სრულიად მოუწყობელი ვარ. ნაცნობები გაცვირვებით მეკითხებიან, რატომ საზამთრო პალტოს არ იცვამთო?.. მეც ვპასუხობ, „ჯერ არა მცივა-მეთქი“. პატარა დრამა: ძველ ღუბსაცმელზე მორგებული კალოშები ახლებზე არ ჩაიცმის: „საჭიროა ახლის ყიდვა“. ფართოდ რომ გავიაზროთ ეგზიუპერიის ცნობილი გამონათქვამი: „ჩვენ ყველანი წარმოშობით ბავშვები ვართო“ და დავადგინოთ განცდილისაგან პიროვნების დამოკიდებულება. აუცილებლად მივაგნებთ გიორგი წერეთლის მოგვიანებულ „პობის“ ფესვებს. ეს „პობი“ კოსტიუმები იყო. მას მეტად უყვარდა თავისი გარდერობის განახლება და როგორადაც არ უნდა ყოფილიყო დაკავებული აკადემიაში. ინსტიტუტში, უნივერსიტეტში, აუცილებლად გამონახავდა დროს მკერავეთან მისასვლელად. ახალ კოსტიუმს ბავშვიური სიხალისით ეკებებოდა და უყვარდა ამ სიახლის დემონსტრირება ნაცნობ-ნათესავებთან. .

„ცოტაოდენი ფული მეხარჯება აგრეთვე წიგნებზე“, — იტყობინებოდა გიორგი იმ ხანებში ლენინგრადიდან. ეს „ცოტაოდენი“ მისი სტაპენდიის თითქმის ნახევარია.

„ამას გარდა, — წერს გიორგი წერეთელი ერთ-ერთ ბარათში, —

ერთი ისლამის წინა ხანის არაბი პოეტის — შანფარას პოემის IV სა-
უკუნის ხელნაწერის ფოტოპირი მინდა გამოვიწერო ბრიტანეთის
მუზეუმიდან, ლონდონიდან.. დაახლოებით 15 მანეთი ელირება...
შესაძლებელია ამ შანფარას სპეციალურად ჩაუჯდეს. მაშინ საჭირო
იქნება ყველა ხელნაწერის (ბერლინის, ჰაიდელბერგის, ლონდონის,
პეტერბურგის) შესწავლა და ყველა მათგანის ფოტოპირის შეძენა, და
ეს, რასაკვირველია, ჩემს ხარჯზე უნდა მოხდეს“.

თქვენ გრძნობთ, მკითხველო, ამ „საჭირო იქნება“-ში მოზღვავე-
ბულ სინარულს? ძლიერ ნაკადად მიედინება იგი იმ სტრიქონებში.
ის ყიდულობდა წიგნებს და მკაცრად ზღუდავდა საკუთარ თავს, რაც
მისთვის — სამხრეთელი-ისთვის, ლენინგრადის მძიმე ჰავის პირობებში
არც თუ უსაფრთხო იყო. ასეთი გახლდათ ცოდნის დაუფლების
გრავეიტაციული არის ძალა. ახალგაზრდა მეცნიერს რომ დაეუფლა.

ბევრისმთქმელია ამ წლების ერთ-ერთი მისი წერილის (1928 წ.
28 სექტემბრისა) დასაწყისი: „მივიღე ფული, ცხრამეტი მანეთი, მაგ-
რამ ფულის შესახებ ბოლოს. ახლა ჩემი რეცადინეობის ამბავს მოგი-
ყვებით. ერთი კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე დავდიოდი
აკადემიაში. რომ მენახა კრაჩკოვსკი, მაგრამ არ იქნა, ვერ ველირსე
მის წახვას: აკადემიის მუდმივი მდივნის მოადგილეა და იმის სანახა-
ვად ყოველდღე რიგებია. პროფესორებიც კი ძლივს ახერხებენ მის
წახვას“.

ყველაფერი, რასაც შემდეგ წერს გ. წერეთელი, ახასიათებს არა
მხოლოდ მას, არამედ იმ გარემოსაც, რომელშიც იგი აღმოჩნდა,
გადმოგვცემს ახალგაზრდა მკვლევარის გულწრფელ აღტაცებას იმ
ადამიანებით, რომელთა სამეცნიერო დიდება ჩვენი ქვეყნის ფარ-
გლებს შორს გასცდა. ეს იყო ეგნატე იელიანეს ძე კრაჩკოვსკი.
ასეთები იყვნენ „პეტერბურგის სკოლის“ სხვა გამოჩენილი აკადემი-
კოსები, რომლებთანაც გიორგი წერეთლის დამოკიდებულება
თანდათანობით უმაღლეს ზღვარს აღწევდა. ეს გახლდათ კოლეგებ-
თან ურთიერთობა. მაგრამ ამაზე ოდნავ ქვემოთ. ახლა დაეუბრუნ-
დეთ ახალგაზრდა ასპირანტის წერილს.

„ბოლოს, როგორც იქნა, მომიწია რიგმა. წინდაწინ შევეუთვალე,
ტფილისიდან წერილი მაქვს-მეთქი. კაბინეტში რომ შევედი, მომეგე-
ბა წინ და მკითხა: ტფილისიდან ხართ? რამდენი ხნით ჩამოხვედით,
რისთვის? მე გადავეცი აკაკი შანიძის წერილი. წაიკითხა და გამოი-

კითხა, თუ რა წამიკითხავს არაბულში. მე ეუბასუხე, როდესაც გაიგო, რა ვიცი, ასეთი გეგმა დამისახა: ჩემს მოწაფესთან, დოც. ებერმანთან გაიარე ისტორიკოსი ტაბარი, რომელსაც მეოთხე კურსზე კითხულობენ. მაგრამ ისინი წელს მთელი ტექსტის შესწავლას ვერ მოასწრებენ (ვევებერთელა ტექსტია), შენ კი სულ უნდა წაიკითხო. ჩემთან შემდეგ საგნებს მოისმენო: 1. არაბული მეტრიკის სპეციალური კურსი, 2. არაბისტიკის ისტორია, 3. ყურანის სპეციალური კურსი (ნეღინის სურებს გაარჩევთ) და 4. ძველი არაბული პოეზია“.

კრაჩკოვსკიმ შესთავაზა წერეთელს არაბული პოეზიის სემინარში მონაწილეობა (ეს სემინარი ასლად იქცეებდა ზუშაობას) და დამშვიდობებისას, თავისი სადარბაზო ბარათი გადასცა, თანაც მისამართი გამოჰკითხა. რამდენიმე დღის შემდეგ წერეთელმა კრაჩკოვსკისაგან წერილი მიიღო. ამ წერილმა, როგორც ჩანს, ახალგაზრდა ასპირანტზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან შინ გაგზავნილ ბარათში, როგორც თვითონ წერს, „სიტყვა-სიტყვით“ მოიყვანა იგი თარიღისა და მისამართის მითითებით.

„დიდად პატივცემულო გიორგი ვასილის ძე. თუ თქვენ ოცდაოთხში, ორშაბათს თავისუფალი ბრძანდებით, გთხოვთ, საღამოს რვა საათისათვის შემოიაროთ ჩემთან, მოვისაუბროთ სხვადასხვა არაბისტულ სიუჟეტებზე. თუ ამას ვერ მოახერხებთ, იქონიეთ მხედველობაში, რომ ხუთშაბათს, 27-ში, 8 საათზე შედგება აღმოსავლეთმცოდნეთა კოლეგიის სხდომა (მდივნის მოადგილის კაბინეტში, სადაც თქვენ უკვე იყავით ჩემთან), მე წაეიკითხავ მოხსენებას ერთი არაბის შესახებ რუსეთში.“

თქვენი პატივისმცემელი ე. კრაჩკოვსკი“.

გიორგი ატყობინებს მშობლებს: „მეც, რა თქმა უნდა, ავდექი და წავედი ორშაბათს“. კრაჩკოვსკიმ თვითონ გაულო კარი და მიიწვია კაბინეტში. ბევრი ესაუბრა არაბული ენის შესახებ, არაბულ ისტორიასა და პოეზიაზე. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ საქართველოში ძველთაგანვე დაცული იყო საკმაო რაოდენობით არაბული ხელნაწერები (მათი რიცხვი მომავალში საგრძნობლად გაიზარდა ქართველი მეცნიერების, პირველ რიგში გიორგი წერეთლის მეცადინეობით). შემთხვევითი როდი იყო, რომ გ. წერეთელი არაბული ენის შესწავ-

ლას ქართულთან ურთიერთკავშირში აპირებდა. მან უთხრა ამის შესახებ კრაჩკოვსკის და ასეთი პასუხი მიიღო: წერეთელი უნდა გაეცნოს არაბულ ქრისტიანულ ლიტერატურას და შეისწავლოს არაბული დიალექტები. გაეცნოს არაბ გრამატიკოსებს (არაბებს მერვე საუკუნიდან მოყოლებული ბევრი ფილოლოგი ჰყოლიათ), მაგრამ ეს მომავალში, ახლა კი მან უნდა გაიაროს ის პროგრამა, რომელიც დასახა პირველი შეხვედრის დროს.

ამის შემდეგ კრაჩკოვსკიმ გამოჰკითხა სტუმარს, რა სამუშაოს ეწეოდა იგი არაბული ენის შესწავლასთან დაკავშირებით, რა საკითხებს აქცევდა ყურადღებას.

— საინტერესოა, საინტერესოა. — დასძინა კრაჩკოვსკიმ. როცა გაიგო, რომ გიორგი წერეთელს ძირითადად იზიდავდა ფონეტიკის საკითხები. კერძოდ. არაბული ბგერების გადმოცემა ქართულში.

..შემდეგ მკითხა, თქვენ ლინგვისტი ხართ. თუ ფილოლოგი. მე ვუპასუხე, ლინგვისტი-მეთქი, და როგორც შევატყე, არ ესიამოვნა (როგორც აკ. შანიძისაგან გამიგონია, ლინგვისტები არ უყვარს), მაგრამ რომ დანემშვიდებინა, ვუთხარი, რომ წელს არაბულ ფილოლოგიაში სპეციალურად უნდა ვიმუშავო-მეთქი, შემდეგ პროფესორმა გამაჩვენა, რომ ზეთშაბათს ჩემი მოხსენებაა (ერთი არაბის შესახებ რუსეთში) და თუ გაინტერესებთ, დაესწარიეთ. მე ვკითხე, ალბათ შეიხ ტანტაჟის განიხილავთ. არა? — თქვენ საიდან იცითო, გაუკვირდა. ჩე ოდნავ გათამამებულმა ვუპასუხე, რამდენადაც ვიცი, შეიხ ტანტაჟი ერსადერთი არაბია, რომელიც რუსეთში მოღვაწეობდა (პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორია) და რომელმაც კვალი დასტოვა ლიტერატურაში-მეთქი. მართალია, დამემოწმა და შემდეგ დაიწყო ამ შეიხის შესახებ საუბარი. დიდი ხნის მუსაიფის შემდეგ მითხრა, რომ თვეში ორჯერ, ე. ი. ყოველ ორ კვირაში ჩემს ბინაზე იკრიბებიან ლენინგრადელი არაბისტები: პროფესორები, დოცენტები, ასისტენტები (უმთავესგარდა კრაჩკოვსკის მოწაფეები) და გვაქვს ხოლმე საუბარი ახალი წიგნების, ან სხვადასხვა საკითხის შესახებ და, თუ გნებავთ, თქვენც იარეთ ხოლმეო. მე დიდი სიამოვნებით განეუცხადე თანხმობა. დასასრულ მაჩუქა თავისი ნაშრომები და წამოვედი.

ხუთშაბათს (გუშინ) წავედი აკადემიაში აღმოსავლეთმცოდნეთა კოლეგიის სხდომაზე. დერეფანში შემხვდა თვითონ კრაჩკოვსკი და

შემიყვანა კაბინეტში. იქ იდგა მისი ცოლი და ერთი ასისტენტთაგანი. გამაცნო თავისი ცოლი და ასისტენტი. თვითონ კი სხვა ოთახში გავიდა. ცოლმა გამომკითხა ტფილისის ამბები (შარშანწინ ყოფილან ტფილისში), ჩემი ამბები და სხვა. ამასობაში ოთახში შემოვიდა „ვილაცა“ ზებერ-პეპერი ხალხი, რომელთაც შემოჰყვა კრაჩკოვსკი, წამოვიდა ჩემსკენ და მითხრა: „ნება მიბოძეთ, ჩვენი თავმჯდომარე გაგაცნოთ, და მიმიყვანა „ვილაცა“ თავმოტვლებილ. მოხუცებულ და ენაბლუ კაცთან. დამიწყო ამ კაცმა კითხვების მოცემა, რისთვის ჩამოვედი, რას ვსწავლობ და სხვ. რამდენიმე სიტყვის შემდეგ მიბრუნდა და ვილაცას დაუწყო საუბარი.

მე მივედი ჩემს ახალ ნაცნობ ახალგაზრდა არაბისტთან, კრაჩკოვსკის ასისტენტთან. და ვკითხე. ვინ იყო ეს კაცი, ახლა რომ მელაპარაკებოდა-მეთქი. იმან მოკლედ მიპასუხა: ბარტოლდი. მე ვერც მოვასწარი გამოვრკვეულიყავი, რომ დავინახე ჩემსკენ მომავალი კრაჩკოვსკი, რომელსაც თან მოჰყავდა ჭაღარა, დაბალი კაცი, ესეც თავმოტვლებილი, მაგრამ არა ბარტოლდივით. მე გავიჭიმე. კრაჩკოვსკიმ წარმადგინა: ტფილისის უნივერსიტეტის კანდიდატი, ჩვენთან მოავლინეს სემიტურ ენებში სამეცადინოდ. სასიამოვნოა, სასიამოვნოა, იძახდა ის. როდესაც მომშორდნენ, მე ისევ იმ ასისტენტს მივუბრუნდი და ვკითხე: ეს ვილა არის მეთქი? იმან ისევ ისე მოკლედ მიპასუხა: ოლდენბურგი. წარმოგიდგენიათ პატარა კაბინეტი, რომელშიც ოცამდე სავარძელი ძლივს ეტევა და რომელშიც გადი-გამოდიან აკადემიკოსები, პროფესორები: ბარტოლდი, ოლდენბურგი, კრაჩკოვსკი, კოკოვცოვი (მარი არ იყო, და როგორც მითხრეს, არასდროს არ დადის). სამოილოვიჩი, ბერტელსი, სოკოლოვი და სხვ. და ამ ხალხში ვარ მე და ხან ერთ აკადემიკოსს გამაცნობს კრაჩკოვსკი, ხან მეორეს და სხვ. პირველად ავიწურე. მერე გავთამამდი და ხან ერთს ვემუხსაიფებოდი, ხან მეორეს. ბოლოს გაიხსნა სხდომა და პირველად ბარტოლდმა წაიკითხა მოხსენება ერთი მეჩეთის შესახებ თურქმენისტანში, მაგრამ შენი მტერია, როგორც თქვენ არაბული არ გესმით. ისე მე იმის ლაპარაკი არ მესმოდა და ვეჭვობ, რომ ვინმემ გაიგო. პირველად ასე მეგონა, ინგლისურად ლაპარაკობს ან იაპონურად-მეთქი. ძალიან ბლუ არის და ზოგიერთი სიტყვის თქმას რომ ვერ ახერხებს ხოლმე. სულ გამოუშვებს და სხვა სიტყვაზე გადადის. მაგალითად, ვერაფრით ვერ თქვა «ნახა» სიტყვა და დიდი წვალეზის

შემდეგ თავი დაანება. სამაგიეროდ. კარგად ლაპარაკობს კრაჩკოვსკი და საინტერესო მოხსენებაც წაიკითხა შეიხ ტანტავის მოღვაწეობის შესახებ. მოხსენების დამთავრების შემდეგ გამოვემშვიდობე ჩემს ახალ „ნაცნობ“ აკადემიკოსებს, კრაჩკოვსკის ცოლმა მთხოვა, ჩვენთან მოდიო და წამოვედი. დღეს მივიღე კრაჩკოვსკის წერილი, რომელშიც მატყობინებს, რომ ორშაბათს, 1 ოქტომბერს, ჩემთან ზეკრძნებრიან არაბისტები და მობრძანდითო. ლექციებს იწყებს 1 ოქტომბრიდან და დაიწყებ სიარულს. ვიყავი მარის ლექციაზე (ზოგადი ენათმეცნიერების კურსს კითხულობს იაფეტური მეცნიერების თეალსაზრისით). 2 ოქტომბერს ჩემი სპეციალური კურსი იწყება და უნდა მოვსმინო, თუმცა ძალიან ცოტა დრო მაქვს. სოკოლოვიც საშაბათს იწყებს ლექციებს ებრაულში“.

ასპირანტებს იმხანად შელავათს არ აძლევდნენ. უკიდურესად დატვირთული პროგრამა და მუშაობის დამატებული რიტმი არავის უჯერდა. სასწავლებლად ჩამობრძანდით? ინებეთ და ისწავლეთ!

აკადემიკოსი ე. კრაჩკოვსკი კითხულობდა არაბული ენის, არაბული პოეზიის და არაბული პალეოგრაფიის კურსებს: აკადემიკოსი პაქლე კოკოვცოვი — ასურულ-ბაბილონურ ენასა და სემიტური ენების გრამატიკას, აკადემიკოსი ნიკოლოზ იაკობის ძე მარი, იმხანად საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტის ხანდაზმულობის გამო აკადემიის ფაქტიური ხელმძღვანელი, — ახალ მოძღვრებას ენის შესახებ.

პროფესორ მიხეილ სოკოლოვისაგან ქართული ასპირანტი ისმენდა ძველი ებრაული და სირიული ენების კურსს, პროფესორ ნიკოლოზ იუშმანოვისაგან — არაბულ დიალექტოლოგიას, აკადემიკოსი ვასილ ბარტოლდი კითხულობდა აღმოსავლეთის ისტორიის კურსს.

ისინი მხოლოდ ლექციებს კი არ კითხულობდნენ, არამედ საბურველს ხდიდნენ მეცნიერების მწვერვალებს, სტუდენტებსა და ასპირანტებში ამ მწვერვალების დაპყრობის სურვილსა და ნებისყოფას აღვიძებდნენ. ამას გარდა იყო აღმოსავლური ხელნაწერების საგანძური, იყო ფასდაუდებელი დოკუმენტები, დაცული ექსპოზიციებსა და საცავებში, დაბოლოს, იყო თვით ქალაქი დიდებული შენობებით. წყნარი ქუჩებით, ლამაზი პარკებითა და სანაპიროებით.

— განა ბევრია ქვეყნად ეგზომ მშვენიერი ქალაქი? — უთქვამს გიორგი წერეთელს ლენინგრადის შესახებ.

აკადემიკოსი ნ. კონრადი, იმოწმებს რა ე. კრაჩკოვსკის ერთ-ერთ შრომას, აღნიშნავს: „სტატიაში „ალ-ანდალუსი და ლენინგრადი“ იგი ჩამოთვლის იმ ენებს, რომლებსაც უნდა ფლობდეს თანამედროვე არაბისტი-ფილოლოგი. ესენია: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური, პოლანდიური, დანიური, შვედური, ჩეხური, პოლონური, სერბიული, ბულგარული, უკრაინული. აუცილებელი ენების სია სულ უფრო იზრდება და იზრდება. თუკი ერთბაშად წაშოყენებ ზოგ ამ ფალანგას, მან შეიძლება შეგვკარტოს, მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე, მას რაღაცნაირად შეუძმჩნევლად ეუფლებიან, -- ამშვიდებდა იგი ახალგაზრდა არაბისტს. ამას უნდა დავუმატო შემდეგი: არაბისტი კრაჩკოვსკი დამატებით ფლობდა სპარსულს, თურქულსა და ეთიოპურს“.

იოლია განა, აღმოჩნდე ამ მაღალ მოთხოვნათა დონეზე? ცოდნის დაუფლების დაუშრეტელი წყურვილი, განსაკუთრებული ნიჭი ეხმარებოდათ ახალგაზრდა ასპირანტებს მეცნიერების რთული, კლდოვანი მწვერვალების დაპყრობაში. ბუნებით მონიჭებული სიცოცხლისუნარიანობა, სასიხარულო ემოციები აქარწყლებდნენ დაძაბულობას. წიგნებში ჩაფლობამ რომ იცის ხოლმე. ამ სასიხარულო ემოციებიდან ყველაზე ეფექტური მაინც ის იყო, რომელიც უხვად იფრქვეოდა აუდიტორიების კათედრებიდან, რომლებზედაც ასტრონომიული სიზუსტით ყოველი საათისა და ორმოცი წუთის შემდეგ ადიოდნენ რუსული და მსოფლიო ფილოლოგიის ვარსკვლავები. ეს სასიხარულო ემოციები წარმოადგენდნენ რთულ კომპლექსს, დიდი ცოდნისა და უწყვეტი ძიების სინთეზს, სიბრძნისა და ადამიანურობის დუღაბს...

არჩეულმა სპეციალობამ (არაბული ენა) დაასლოვა გიორგი წერეთელი და ეგნატე კრაჩკოვსკი. თუმცა დიდი მეცნიერის ძირითადი ინტერესები არაბული ლიტერატურის სფეროში იყრიდა თავს. მისი გამოძახებითა ან წინასწარი შეტყობინებით წერეთელი, ხან მარტო, ხანაც სხვა ასპირანტებთან ერთად მიემგზავრებოდა კრაჩკოვსკის აგარაკზე კომაროვოში საბეცადინოდ, ანგარიშის ჩასაბარებლად. საერთო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

კარგა ხნის მოგვიანებით, ეგნატე კრაჩკოვსკის გარდაცვალების შემდეგ (აღმოსავლეთში ამბობენ — სიკვდილი ის აქლემია, რომელიც ყოველი სახლის ზღურბლთან წამოწვებაო) საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დანიშნა კრაჩკოვსკის ორი

მოწაფე, ლინგვისტი პროფესორი გიორგი წერეთელი და ლიტერატურათმცოდნე ვიქტორ ბელიაევი მისი რჩეული შრომების (რვატომეულის) რედაქტორებად.

1932 წელს გიორგი წერეთელი ამთავრებს ასპირანტურას პირველი თანრიგის მეცნიერ-თანამშრომლის წოდებითა და ა. ენუქიძის სახელობის ლენინგრადის აღმოსავლეთის ინსტიტუტის არაბული ენის დოცენტად ინიშნება. აქ იგი უკითხავს არაბული ენის კურსს ასპირანტებს, რომელთაგან ბევრი მომავალში ცნობილი მეცნიერი გახდა.

გამოვლილია კარგი სკოლა. სამეცნიერო მუშაობა ფართოდ იშლება.

1933 წლის მიწურულს გიორგი წერეთელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად იწვევენ და ისიც სიხარულით ბრუნდება საქართველოში. ამავე დროს იგი ჩაირიცხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებაში სწავლულ სპეციალისტად (რომელიც 1935 წელს გადაკეთდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალად). ამავე წელს იგი ინიშნება ასეო აღმოსავლეთის ენების განყოფილების ხელმძღვანელად.

ამ დროისათვის გიორგი წერეთელი უკვე დაქორწინებულია. ქალბატონი დორა — ინგლისელი ქალია, ინგლისური ენის მასწავლებელი. ლენინგრადში გიორგიმ პირველად მისი და — მერი გაიცნო. ფიზიკოსი, როპელიც ლონდონიდან ლენინგრადს ჩამოვიდა აკადემიკოს იოფესთან სამუშაოდ. გიორგი წერეთელთან ნაცნობობის შედეგად თბილისი იმ ქალაქთა სიაში მოხვდა, რომელიც მერის თავის დისათვის უნდა ეჩვენებინა. გიორგიმ და დორამ ერთმანეთი თბილისში გაიცნეს 1933 წელს. 1934 წელს ისინი დაქორწინდნენ.

ალმოჩენა ხელნაწერის ძიებისას

კრაჩკოვსკისთან ერთ-ერთი ვიზიტის დროს წერეთელი დიდხანს ესაუბრა აღმოსავლეთმცოდნე იუშმანოვს, რომელიც ფონეტიკის სპეციალისტი გახლდათ. სწორედ ეს განაპირობებდა ამ საუბრის დიდ

ინტერესს ახალგაზრდა ქართველი მკვლევარისათვის. წერეთელმა მოუთხრო იუშმანოვს არაბული ენის ზოგიერთი ფონეტიკური მოვლენისა, ასევე ეგრეთწოდებული ემფატიკური ბგერების შესახებ, რომლებიც თავისებურად ჟღერენ არაბულიდან ნასესხებ ქართულ სიტყვებში. ამ საუბარს, რომლის ცხოველი ინტერესი იმითაც იყო გაპჩრობებული, რომ ეს საკითხები არავის ჰქონდა მეცნიერულად დანუშაგებული, შეუერთდა თვით კრაჩკოვსკი. მეცნიერები მალე ქართული და სხვა კავკასიური ენების ბგერებზე გადავიდნენ.

არ არის გამორიცხული, რომ უკვე იმ საღამოზე იუშმანოვსა და კრაჩკოვსკის დაებადათ აზრი, რომ გიორგი წერეთლის სახით მეცნიერებაში მოვიდა მეტად სერიოზული მკვლევარი, რომელსაც ძალა შესწევს ნომავალში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საბჭოთა არაბისტიკის განვითარებაში.

...ოღითგანვე ორ საბჭოთა რესპუბლიკაში — ტაჯიკეთსა და უზბეკეთში — არაბული მოსახლეობის ორი პატარა კუნძული არსებობს. რომელთა შესახებ სწავლულმა სამყარომ არაფერი იცოდა 1931 წლამდე, ვიდრე ორმა ლენინგრადელმა ეთნოგრაფმა ნ. ნ. ბურიკინამ და მ. მ. იზმაილოვამ არ აღნიშნეს ეს კუნძულები მეცნიერების რუკაზე. ახალი მიწის აღმოჩენას, როგორც წესი, მისი ათვისება მოსდევს. ეს ამოცანა, რა თქმა უნდა, ლინგვისტს, სემიტური ენების სპეციალისტს უნდა გადაეწყვიტა, რამდენადაც, როგორც ცნობილია, არაბული ენა სემიტურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება.

იმ წლებში, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, გიორგი წერეთელი სემიტოლოგიის პრობლემებით იყო გატაცებული და თავის ცოდნას ამ მიმართულებით ასპირანტურაში სრულყოფდა. ახალგაზრდა ეთნოგრაფების აღმოჩენით გ. წერეთლის ცხოველი დაინტერესება თბილისში დაბრუნების შემდეგაც არ განელებულა. 1935 წელს მან ბოლოს და ბოლოს გამოიკვლია ეს „უცნობი კუნძულები“ იმ მიზნით, რომ მათი კონტურული რუკები ჩვეულებრივ ფიზიკურ რუკებად გადაეკცია, სადაც მითითებული იქნებოდა ყველა მონაცემი და პარამეტრი.

„ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო კომიტეტის წევრებმა გადაწყვიტეს კიდევ ერთხელ შეეცადათ მოეძებნათ რუსთაველის გენიალური პოემის დედანი, ან თუნდაც ადრეული ხელნაწერი. ოპტიმიზმისათვის ღიდი საფუძველი არ იყო,

ვინაიდან მონღოლებისა და სხვა დამპყრობლების თარეშმა, საკუთარი რეტროგრადების ბარბაროსობამ გაანადგურა ეს გენიალური თხზულება. მაგრამ ფილოლოგებს არ გაემტყუნებათ — მათში ნიადაგ ლევის რწმენა ბედნიერი შემთხვევისა, რომ კვლავ გამოჩნდება დაკარგული მანუსკრიპტი, რასაც განამტკიცებს სინამდვილეში ხშირად აღმოჩენილი ძვირფასი ხელნაწერები, რომლებიც აქამდე უინედოდ დაკარგული ეგონათ. ეს ერთი. მეორე ის გახლავთ, რომ საიუბილეო კომიტეტის წევრების ოპტიმიზმი დაფუძნებული იყო საკმაოდ მყარ ნიადაგზე. ისტორიული წყაროების მიხედვით თემურლენგმა საქართველოდან გაზიდა მრავალი ხელნაწერი, მათ შორის „გეფხისტყაოსანიც“. განა შეიძლებოდა ამ ცნობის უგულებელყოფა და ზომების არ მიღება მაშინ, როცა პირველად 750 წლის მანძილზე, ამგვარ თაოსნობას მხარი დაუჭირა სახელმწიფომ? და აი, ახალგაზრდა მეცნიერმა გიორგი წერეთელმა და ცნობილმა ქართველმა პოეტმა — მკვლევარმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით შუა აზიას მიაშურეს. გიორგი წერეთელს დამატებითი მისიაც აკისრია — მან უნდა შეიძინოს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის არაბული, თურქული, სპარსული ხელნაწერები და მოინახულოს ორივე „არაბული კუნძული“.

...დგას დალოცვილი, შუაზიური ოქტომბერი. აღმოსავლური ხეატი არ აწუხებს მოგზაურს. სურნელს აფრქვევს ხრისი, ბოსტნეულისა და ხორცის მწკრივები. აქვეა საძველმანო: საკმაოდ გაცვეთილი ფეხსაცმელი მყუდროდ მიბჯენია მოკიაფე სპილენძის ტაშტს, თეთრი აბრეშუმის ნაჭერზე კი ფაიფურის კატა ნებივრობს.

თავდავიწყებული მწეველი (რაც საბედისწერო აღმოჩნდება გიორგი წერეთლისათვის) მიიზიდა ქარვის მოწითალო მუნდშტუკებმა, რომლებიც დღის სინათლეზეც არ კარგავდნენ თავის რბილ, კეთილშობილ ფერს. იგრძნო რა საქმეში ჩახედული კაცი, გამყიდველი თავზიანი სიდინჯით აკვირდებოდა ახალგაზრდას, რომელიც ათვალიერებდა ქარვის წვეთს და მასში მილიონი წლების წინათ მოხვედრილ მუმლს. „ო, ლაპარაკი რომ შეგეძლოს შენ, პატარა მუმლო“, რამდენად შეიცვლებოდა ჩვენი შეხედულება სამყაროს წარსულზე, — გაახსენდა წერეთელს კანტის გამონათქვამი, გაახსენდა პლინიუსიც, რომელიც აღშფოთებული იყო იმის გაზე, რომ რომში ქარვის პატარა ფიგურა მონაზე ძვირად ფასობდა.

ქარვის წვეთმა თითქოს მონუსხა იგი, წარსულში ჩაახედა... გაიგლის რამდენიმე წელი და მისი თითები კვლავ შეეხება ქარვას — მოწითალო კრიალოსანს არმაზის გათხრებიდან. და მაშინ კვლავ გაიხსენებს მზის სხივის ციაგს ამ ქვაზე, რომელიც ფილოლოგის განსჯით იმითაა შესანიშნავი, რომ ფერადი ქვებიდან ერთადერთია მოხსენიებული ჰომეროსის „ოდისეაში“.

მეცნიერმა იყიდა მუნდშტუკი (ახლაც ნახავთ ამ ნივთს მის ბინაში) და ბაზრის რიგებს გაჰყვა. ხშირად ხვდებოდა ხელნაწერები: არაბული, სპარსული, უზბეკური, ქართული კი არ ჩანდა.

სასტუმროში მოდიოდნენ იმათი წარგზავნილები, ვისაც დახმარება სთხოვეს ქართველმა მეცნიერებმა, მაგრამ ვერც უმძიმეს ფოლიანტებში, ვერც ცალკეულ სპილოსძვლისფერ ფურცლებზე, რომლებიც მათთვის მოჰქონდათ, ქართულ ასოებს ვერ ნახავდით. შუააზიური ხელნაწერების ერთ-ერთმა ზედმიწევნით ღეოტონმა შეატყობინა მათ, რომ სამოცი წლის მანძილზე მის ხელში ათათასობით ხელნაწერმა გაიარა, მაგრამ ქართულს — მხოლოდ ერთხელ შეხვდა — ოციან წლებში. მას დაამახსოვრა ყვითელი პერგამენტი და მრგვლოვანი ქარგა ქართული ასოებისა. მაღაზიაში ხელმეორედ მისვლისას ხელნაწერი აღარ დახვდა...

აშხაბადი, მერვი, სამარყანდი, ტაშკენტი, ბუხარა, — ერთი თვის განმავლობაში გიორგი წერეთელმა და კონსტანტინე ჭიჭინაძემ მრავალი შუააზიური კულტურის ცენტრი მოიარეს, მაგრამ მათმა გულმოდგინებამ სასურველი ნაყოფი მაინც ვერ გამოიღო. მიუხედავად ამისა, ექსპედიცია უშედეგო არ იყო. თბილისში დაბრუნებისას მათ დასვეს თურქული და არაბული ხელნაწერების შესყიდვის საკითხი.

გიორგი წერეთელი ხელშეორედ მიემგზავრება შუა აზიაში, ამჯერად ახალგაზრდა ქართველოლოგთან — სტეფანე ჩხენკელთან ერთად. მათ შეისყიდეს ათასასამდე მანუსკრიპტი, რომლებიც ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმანური ფონდის (2500 ცალი) თითქმის ნახევარს შეადგენენ. ინსტიტუტის თანამშრომლები ამზადებენ ხელნაწერებს კვლევისათვის: აღწერენ მათ, აზუსტებენ შინაარსს. ამ ხელნაწერების შესასწავლად აქ ჩამოდის მრავალი მკვლევარი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკიდან.

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ლაშა ჯანაშიამ გვითხრა,

რომ ინსტიტუტში დაცული უძველესი არაბული ხელნაწერი XIII-XIV საუკუნეს განეკუთვნება. ხოლო უახლესი — XIX საუკუნის ნიჭურულს.

მაგრამ დაუფლებრუნდეთ გიორგი წერეთლის შუა აზიაში ხუთგზის მოგზაურობის მთავარ შედეგს.

ყივლაღში. სადაც არაბები ცხოვრობდნენ, კოლმეურნეობის თავ-ჩკლომარემ კითხვაზე. --- ფლობს თუ არა იგი არაბულ ენას, დადებითად უპასუხა. მაგრამ წერეთელი და თავმჯდომარე ერთმანეთს ცუდად უგებდნენ ამ ენაზე. პირველი კლასიკური არაბულით მეტყველებდა. სოლო მეორე -- მკვლევარისათვის უცნობ დიალექტზე. რამაც გიორგი წერეთელი თავისებურად გაახარა კიდევ. ოქტომბერი იწურებოდა. საშემოდგომო ციებ-ცხელება მიწელდა და თავმჯდომარე. ჭაღარაშერეული. შავთზიანი ჭარმაგი არაბი ხალისით დაეთანხმა ქართველ მეცნიერს მასთან ერთად ბუხარაში გამგზავრებაზე და ყოველ-ნაირი დახმარება აღუთქვა. ბუხარისკენ ცხენებით გასწიეს. ზოგჯერ მათი ლინგვისტური დუეტი კაცობრიობის უძველეს ენაზე -- ეესტების ენაზე მიმდინარეობდა. ერთი მხედართაგანი მალიმალ ბლოკ-ოტში უცხო სიტყვებს, უცნობ გრამატიკულ ფორმებს იწერდა, აღნიშნავდა სიტყვის ზედს დიალექტში. ერთკვირიანი გზის დასასრულს მკვლევარი დაეუფლა მეცნიერებისათვის უცნობი დიალექტის ძირითად კანონზომიერებებსა და ენაწყლიან თავმჯდომარესთან სრული ურთიერთგაგება დაამყარა.

სწორედ ამ თავმჯდომარემ უამბო გიორგი წერეთელს ზღაპარი, რომელიც მოგვიანებით სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის შრომებში გამოქვეყნდა და არაბული ენის ბუხარული დიალექტის პირველ წერილობით ძეგლად მოგვევლინა.

მეცნიერსა და თავმჯდომარეს შორის თანდათანობით თბილი, თითქმის ნათესაური ურთიერთობა დამყარდა. „ნათესავი, ნათესავი ჩამოვიდა!“ — ასე გაიძახოდნენ ბავშვები. გიორგი წერეთლის მობრძანებას რომ ატყობინებდნენ უფროსებს.

კაშკადარიიდან გიორგი წერეთელი თბილისს დაბრუნდა ერთ ბიჭთან ერთად, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის წრეში მეცადინეობდა. ბიჭი, რომელმაც იცოდა უზბეკური, არაბული და რუსულს წარმატებით ეუფლებოდა, მეცნიერის თანაშემწის ფუნ-

ქციებს ჩინებულად ართმევდა თავს. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ახსოვდა გიორგი წერეთელს თავისი ძოხალისე თანაშემწეები. ბევრი მათგანი ცხოვრობდა მეცნიერის სახლში, ბევრს დაეხმარა სწავლა-განათლების მიღებაში. ახსოვდა ის მწყემსიც, რომელიც შესანიშნავად მოვლილ კრაველის ცხვრებს დასდევდა. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ აქაური არაბები კრაველის საუკეთესო ოსტატებად ითვლებოდნენ. არსებობს აზრი, რომ სწორედ დღევანდელი კაშკადარიელი და ბუხარელი არაბების წინაპრებმა დააფუძნეს აქ კრაველის ცხვარი. გიორგი წერეთელი საათობით ესაუბრებოდა მწყემსს და არაბიც ამ ცხოვრების ფაციფუცს მოშორებული ადამიანის სიღინჯითა და ღირსებით სიხარულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მოძმე ქვეყნის მეცნიერს ეხმარებოდა.

ერთხელ, როცა ქართველი მკვლევარის ერთ-ერთი მეგობარი მას არაბულ ზღაპარს უყვებოდა, მოულოდნელად გაისმა ნესტან-დარეჯანის მომაჯადოებელი სახელი. ეს სრულიად მოულოდნელი იყო არაბული ფოლკლორის მცოდნისათვის. ამ გარემოებამ (არასპეციალისტს შეიძლება ყურადღებაც არ მიექცია) წერეთელი მრავალ საინტერესო დასკვნებამდე მიიყვანა.

„თქვენი სტატია ზღაპრითურთ, — სწერდა დოცენტ გიორგი წერეთელს აკადემიკოსი ეგნატე კრაჩოვსკი, — გამოქვეყნდება „მომაბეში“ ტ. VII. მე ყოველნაირად ვუწყებ ზელს, რომ თქვენი წერილი მაღე დაიბეჭდოს. ყველა აღიარებს მის მნიშვნელობას.

ერთი შეიძლება ითქვას ღაბღავითებით: გავლის კიდევ ორი-სამი წელიწადი და ვერც ერთი სემიტოლოგიური მიმოხილვა გვერდს ვერ აუვლის შუააზიელი არაბების დიალექტს, არაბული დიალექტოლოგიის ვერც ერთი მიმოხილვა ამქვეყნად თქვენს სახელს გვერდს ვერ აუვლის“.

მაინც რაშია გიორგი წერეთლის აღმოჩენის არსი ამ დარგში?

შუა აზიის არაბული დიალექტები რომ გამოიკვლია, მეცნიერმა დაასკვნა: ბუხარელი და კაშკადარიელი არაბები იმ არაბთა ტომების ნაშთია, რომელიც ერთ დროს შუა აზიაში დაფუძნდნენ. ტერიტორიულად ერთმანეთს დაშორებულნი, ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებულად ვითარდებოდნენ. თითოეული ჯგუფის ენა განიცდიდა მისი ენობრივი გარემოს გარკვეულ გავლენას, — ერთ შემთხვევაში უზბეკურის. ზოლო მეორე შემთხვევაში — ტაჯიკურისა. არაბულში იჭრე-

ბოდა ახალი სიტყვები და ზოგჯერ იცვლებოდა გრამატიკული ფორმებიც.

მოხსენება ამ თემაზე ქართველმა მეცნიერმა გააკეთა 1937 წლის ოქტომბერში არაბისტების ასოციაციის მეორე საკავშირო სესიაზე. სესიის „შრომებში“, 1941 წელს, გამოქვეყნდა მისი გამოკვლევა „შუააზიელი არაბების ენის დახასიათებისათვის“ (რომელშიც განხილულია დიალექტების ზგერითი შემადგენლობა, ფონეტიკური მოვლენები და მორფოლოგიური სისტემა).

გიორგი წერეთლის აღმოჩენამ დიდად დააინტერესა არაბულ დიალექტოლოგიის საკითხებზე მომუშავე მეცნიერები.

აი რას წერდა ამ შრომის შესახებ ჩვენი ქვეყნის დიდი არაბისტი ეგნატე კრაჩკოვსკი: „შუა აზიის არაბული დიალექტების აღმოჩენა და შესწავლა სახელსა და დიდებს მათებს ჩვენს მეცნიერებას, ჩვენს ქვეყანას, ღირს მსოფლიო მეცნიერებაც ჰი ეს ერთგვარად მთელ გადართილებას მოასწავებს“.

გიორგი წერეთლის არქივში დაცული წერილებიდან დიდ ინტერესს იწვევს ნიკოლოზ იუშმანოვის ბარათები (მკითხველს, რა თქმა უნდა, ახსოვს, რომ ნ. იუშმანოვი უკითხავდა გიორგი წერეთელს კუროს „არაბული დიალექტები“).

თბილისში დაბრუნების შემდეგ გიორგი წერეთელი არ წყვეტს მჭიდრო კონტაქტებს თავის ყოფილ პასწავლებლებთან. 1936 წლის 27 თებერვლით დათარიღებულ წერილში თავის მოწაფისადმი ნ. იუშმანოვი აღნიშნავს:

„ძვირფასო გიორგი ვასილის ძე! ძალიან გამახარა 16 თებერვალს გამოგზავნილმა თქვენმა წერილმა. მხურვალედ მოგილოცავთ დიდ წარმატებას არაბული დიალექტოლოგიის დარგში: ბოლოს და ბოლოს თქვენ შესძელით ყიშლალ ჯაგარაში ჩასვლა და ძვირფასი მასალის ჩაწერა... როცა ჩვენ არაბული დიალექტოლოგიის საკითხებზე ვმსჯელობთ, თქვენ ალბათ არ გამოგებარათ ჩემი განსაკუთრებული ყურადღება პერიფერიული არაბული დიალექტების მიმართ. რომლებიც ბედის ქარტეხილმა უიმედოდ შორს გადაისროლა საკუთრივ არაბული კულტურის ცენტრებისაგან: ბეტყველებისადმი დიალექტიკურად მდგომისას ჩვენ უნდა მოველოდეთ უძველესი ფორმების შენარჩუნებას (და ამ ფორმების განვითარების ტენდენციას) სწორედ იქ, სადაც ბეტყველება არ ითვლება „წმინდად“, „სანიმუშოდ“, რაღაც

ერთხელ აღიარებული სტანდარტის მიხედვით: ახალარაბული ენისთვის ასეთ სტანდარტად ჩაითვლება, რაგორც ჩანს, სირიული დიალექტი... ამ თვალსაზრისით, თქვენი მდიდარი ნანადირევი უდავოდ მეცნიერების დიდი შენაძენია, თავი დაეანებოთ იმას, რომ ყოველი ახლადღწერილი არაბული დიალექტი არაბისტებისა და სემიტოლოგების უდიდეს ინტერესს იწვევს.

ნათელია, რომ თქვენი მასალა უნდა გამოქვეყნდეს. საქმე ის არის, სად და როდის. ჩვენი აკადემიის ინსტიტუტებში (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ენისა და აზროვნების ინსტიტუტში) თქვენი მასალა სიამოვნებით იქნება მიღებული და თქვენს მიერ შეთავაზებული ტრანსკრიპციით დასტამბული, — აკადემიის ტიპოგრაფია მონოპოლისტია ამ დარგში. მაგრამ გამოცემის ტემპები აქ მომაკვდინებლად დაბალია და არ შეეფერება ამ დიდი ხნის ნანატრ მასალას. როგორ არის ეს საქმე დაყენებული თბილისში, არ ვიცი, ვფიქრობ, ფულადი სახსრები იქ უფრო უხვია, ვიდრე ტიპოგრაფიული, ამას კი თქვენი შრომისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საჭირო იქნება ორიენტაცია ლენინგრადზე. რა სახით იქნება წარმოდგენილი მასალა — ეს თქვენი სურვილებისა და შესაძლებლობების საქმეა. რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთესი იქნებოდა მონოგრაფია (მოდური სიტყვა დღესდღეობით შესავლითა და საკითხის ისტორიით, გრამატიკული ნარკვევით, ტექსტებითა და ლექსიკონით). ტექსტების ჩრანზეხული (ან საერთოდ უჩვეულო არაბისტებისათვის) სინტაქსის გამო უნდა დაერთოს ბწყარედი, თუმცა, ერთი ნიმუშიც კმარა გრამატიკული მიმოხილვის საილუსტრაციოდ: ეს სამუშაო ავტორისათვის ხომ მეტად შრომატევადი. დამქანცველი იქნება, ამავე დროს საკმარისია მასალას დაერთოს ლიტერატურული თარგმანი, რომლის დაბეჭდვა უფრო იოლია და რომელიც გამოადგება ფოლკლორისტებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც არ ფლობს არაბულ ენას. მონოგრაფიის გაუმჯობესების ყოველი ცდა თქვენგან მოითხოვს შრომას და დროს. იქნებ შემოიფარგლოთ მხოლოდ ტექსტებისა და თარგმანის გამოცემით!..

შემდეგ ნ იუშმანოვი წერს იმის შესახებ. თუ გიორგი წერეთლის მიერ გამოგზავნილმა რომელმა ნიმუშმა მიიპყრო მისი განსაკუთრებული ყურადღება, მოჰყავს ქართველი მეცნიერებისათვის საჭირო ლიტერატურის სია (9 დასახელება) და ასე ამთავრებს წერილს:

„ს. ს. ჯიქია ცდილობს ამ მასალების აქ მოძიებას, იმისათვის, რომ თქვენ გაზოგოგზავნოთ. გულითადი სალმით თქვენი ნ. იუშმანოვი“.

განვლო ერთ წელზე მეტმა ხანმა. ნ. იუშმანოვი კვლავ წერს გ. წერეთელს:

„1937 წლის 12 მაისი. .

ძვირფასო გიორგი ვასილის ძე! დიდი ხანია თქვენგან არავითარი ცნობა არ მძმილია. როგორ მიდის თქვენი მუშაობა შუააზიელი არაბების დიალექტებზე? მანდაურმა მაძიებლებმა... ზრავალგზის მომმართეს დახმარებისათვის — მათ ჩაიწერეს ტექსტები, მაგრამ ვერ გაერკნენ მათში.. მიმაჩნია, რომ შუააზიელი არაბების დიალექტებზე მუშაობა თქვენი ღვიწლი საქმეა, რისთვისაც თქვენ შესაბამისად მომზადებული ხართ. თავისთავად ცხადია, რომ მე სიამოვნებით დაგეხმარებით, თუკი ეს თქვენ დაგჭირდებათ, მაგრამ ვგრძნობ რომ ცოტა დრო გრჩებათ ჩვენთვის საინტერესო შრომისათვის, ვინაიდან დაკავებული ხართ ლექციებითა და სხვა საქმეებით. როგორც ჩანს, ეგნატე ივლიანეს ძე მალე დარწმუნდება. თუ უკვე არ დარწმუნდა იმაში, რომ ჩანაწერები „ქართული თვალთახედვით“ გაცილებით უფრო ზუსტი და უკეთესია...

არაბისტების მეორე სესია ოქტომბრისთვისაა გადატანილი. გნახავთ თუ არა მანამდე? მეონი, ზაფხულობით თქვენ ჩვეულებრივად გარკვეული ხნით ჩამოდიხართ ხოლმე ლენინგრადში. დასვენებას ვაპირებ სესტრორეცკში, მაგრამ ჯერჯერობით აგარაკი არ დაგვიქირავებია. ახლახან გამოცემულ „არაბისტების პირველი სესიის შრომებში“ დიდი ინტერესით წავეკითხე თქვენი მოხსენება..

მომზადებულია გამოსაქვეყნებლად (ვფიქრობ ივნისში იქნება) „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. მე-2 გამოცემა, რომელსაც დართული აქვს უცხო სიტყვათა ჩემი გრამატიკა. თბილისში ბევრსა აქვს სურვილი შეიძინოს ეს წიგნი. შოთა ძიძიგური სამაგიეროდ მთავაზობს შოთა რუსთაფელის ძვირფას გამოცემას. არ იქნებოდა ურიგო, თუ უცხო სიტყვათა ქართული ლექსიკონების შემდგენლები, ჩემი გრამატიკის დარად, შეადგენენ უცხო სიტყვათა ქართულ გრამატიკას — საერთაშორისო ტერმინოლოგია ჩვენში თითქმის ერთნაირია, ქართულებს დასჭირდებათ მხოლოდ სპარსული და ზოგიერთი ჩვენთვის უცნობი ტერმინის დამატება. ეს იქნება დიდი დახმარება იმათთვის, ვინც სწავლობს და ვინც ასწავლის.

მზადდება გამოსაცემად ჩემი ნაშრომი „არაბული ენის სტრუქტურა (3 საავტორო თაბახი) „ენათა სტრუქტურის“ სერიიში. იცინათუ არა რაიმე თბილისში ყოველი ლინგვისტიკოსის ეგზომ სასარგებლო სერიის შესახებ?“.

...გაგიდა წლები. გიორგი წერეთელი გახდა ერთ-ერთი უთვალსა-ჩინოესი მეცნიერი ჩვენი ქვეყნის სემიტოლოგთა შორის, რომლებიც არაბული ენის დარგში დახელოვნდნენ, საბჭოთა სემიტოლოგიური სკოლის აღიარებული მეთაური.

ერთხელ გიორგი წერეთელმა ბარათი მიიღო ინგლისიდან. მას წერდა პროფესორი ჯლადიმერ მინორსკი -- ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტთაგანი აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში. მოგვყავს რუსულ ენაზე დაწერილი ეს საინტერესო დოკუმენტი უმნიშვნელო შეწყობებით:

„დიდად პატივცემულო გიორგი ვასილის ძე! ამ დღეებში ლენინ-გრადიდან მივიღე თქვენი ახალი წივნი „შუა აზიის არაბული დიალექტები“ და იმ ადამიანის გრძნობით, რომელსაც 80 წელი შერუსულდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგესალმოდ როგორც ნეცნიერს, ვის სელშიკაა არაბისტიკის „გარდამავალი თასი“. ქართული კრებულების დასათაურებიდანაც ჩანს თქვენი მაორგანიზებელი როლი თქვენი კოლეგებისა და მოწაფეების მუშაობაში. ძალზე მახარია, რომ თქვენ უშუალო მონაწილეობა მიიღეთ დაუვიწყარი ე. ი. კრასნოვსკის შრომების გამოცემაში. მათი შენახვა — საპატიო ამოცანაა. ოქსფორდში ერთი ყოფილი რედაქტორი... რუსული ენის შესწავლას შეუდგა იმისათვის, რომ დედანში წაეკითხა კრასნოვსკი. ახალგაზრდა ედინბურგელი დოქტორი, რომელმაც ტაპა ჰუსეინზე წიგნი დაწერა, მადლობას მითვლის იმისათვის, რომ მე გავამახვილე მისი ყურადღება ეგნატე ივლიანეს ძის სტატიასზე. ყველაფერი რაც კი საინტერესოა, რა ენაზეც არ უნდა იყოს დაწერილი, მაინც აღწევს იქ. სადაც საჭიროა, ნაგრამ დახმარება მაინც სასარგებლოა.

მე დაუღალავად „ვაშრომებ“ მთელ რიგ შრომებს. როგორც ამბობდა ჩემი მეგობარი ვილიამ მარსე (ენის უდიდესი მცოდნე). „მცდრებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ცოცხლებს მუშაობაში...“ მე ვეპყრობ. რომ მიუხედავად გავემგზავრო კონგრესზე; ეს მავნე ბუდე უსიამოვნებებითაა გაჟღენთილი. გულწრფელი საღმით ვ. მინორსკი.

თქვენც მინდა მოგწეროთ იმის შესახებ, თუ რაოდენ აუცილებელია „ქართლის ცხოვრების“ რუსული თარგმანი!“

...როცა თბილისში პირველად უნდა ჩამოსულიყვნენ სტუმრები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან, ჟურნალისტები დაიძრნენ გიორგი წერეთლის საძებნელად. მეორე დღეს გაზეთები გამოვიდნენ არაბულ ენაზე დაწერილი მისაღმებებით.

ამ სტუმრობის შემდეგ, 1956 წელს გიორგი წერეთელი პირველად გაემგზავრა არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში გამოჩენილ რუს საბჭოთა პოეტთან ნიკოლოზ ტიხონოვთან, ერთად, რომელიც ოდითგანვე პეგობრობდა ქართული კულტურის მოღვაწეებთან, თარგმნიდა რუსულ ენაზე გიორგი ლეონიძისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსებს.

როგორი იყო შეხვედრა აღმოსავლეთთან? სიტყვა დავუთმოთ თვით ნიკოლოზ ტიხონოვს, რომელმაც ეს სტუმრობა ასახა დოკუმენტურ ნოველაში „ალ-კადრის ღამე“. სადაც მთავარ მოქმედ პირად გიორგი წერეთელია გამოყვანილი. აი, პატარა ნაწყვეტი ამ ნოველიდან:

„მრავალი წლის მანძილზე პირველად იყო რომ ბეირუთში საბჭოთა პროფესორი კითხულობდა ლექციას არაბულ ენაზე. განათლების სამინისტროს კონფერენც-დარბაზში ისხდნენ შეიხები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, პოეტები და მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, ლიბანის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორები, ლიბანის კაზმული ხელოვნების აკადემიის სწავლულები, ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები, წმინდა იოსების უნივერსიტეტის გეოლოგები, სიძველეთა მოყვარულები საფრანგეთის არქეოლოგიის ინსტიტუტიდან, მუზეუმის თანამშრომლები, პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრები, საგანმანათლებლო საზოგადოება „სენაკლის“ ლექტორები, სტუდენტები, უბრალო ცნობისმოყვარენი, რომ არაფერი ვთქვათ ჟურნალისტებზე.

სხვადასხვაგვარად უსმენდნენ პროფესორს: ზოგი ღრმად დაფიქრებული იჯდა, ზოგიც გამკრიახი მზერით თითქოს სწავლობდა ორატორის სახეს და მთელ მის ფიგურას. სხვანაირად უსმენდნენ გაფაციცებით, რამე არ გამოგვრჩესო. იყო უნდობლობის გამომხატველი ღიმილიც. დროდადრო ვინმე ვერ შეიკავებდა ხოლმე მოზღვავენულ

გრძნობას, წამოხტებოდა და ტაშს შემოჰკრავდა. მას სხვებიც აპყებოდნენ.

პროფესორი -- დაძაბული, გამხდარი. ბედუინივით მაღალი, მაგრამ ვიწრო მხრებით, დახეწილი სახის ნაკეთებით, სათვალთ -- თავდაპირველად ღელავდა. ეს შესამჩნევი იყო. მისი ხმა ყრულ გაისმოდა, ჩქარობდა კიდეც. მაგრამ თანდათანობით, დარბაზის დიდი კეთილგანწყობილი ყურადღებით გამსჭვალულმა. მან უფრო ღინჯად წარმართა საუბარი, ზმაც დაიოკა და მღვნელები უკვე დაუფარავი სიამოვნებითა და აღტაცებითაც კი შესცქეროდნენ თავიანთ სწავლულ მეგობარს, რომელიც არაბული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა, იგონებდა იმ ლეგენდარულ დროს, როცა არაბული ცივილიზაცია მეცნიერული აღმოჩენების საგანძური იყო. ავითარებდა მრავალ მეცნიერებასა და ხელს უწყობდა ცოდნის გავრცელებასა და აყვავებას. ის საუბრობდა დიდ არაბ მეცნიერებსა და მწერლებზე, ძველი რუსეთის შესანიშნავ არაბისტებზე. გამოჩენილ საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეებზე, არაბული კულტურის ღრმად შესწავლა რომ განახორციელეს, თანამედროვე ახალგაზრდა ორიენტალისტებზე, აღმოსავლეთის სიბრძნის დაუფლება რომ დაისახეს მიზნად.

თვითონაც ხომ დიდი ამაგი დასდო ამ სანუკვარ მეცნიერებას!

დამსწრენი ნასიამოვნები დარჩნენ იმით, რომ თურმე საბჭოთა კავშირში ასე ფართოდ სწავლობენ არაბულ ენას, ფლობენ ისეთ მასალებსაც, რომელიც უცნობია არაბი მეცნიერებისათვის. თვით მომხსენებელი არაერთგზის ყოფილა შუააზიის არაბებთან, რომლებიც ბუხარაში და კაშგადარიის ოლქში ცხოვრობენ. აქ მან აღმოაჩინა და შეისწავლა ზოგიერთი არაბული ზმნური ფორმის წარმოშობის თავისებურებანი.

მან დაწვრილებით მოუთხრო მსმენელებს საბჭოთა ინსტიტუტებსა და მუზეუმებში დაცულ არაბულ ხელნაწერებზე.

...პროფესორი გიორგი წერეთელი... გახარებული იყო იმით, რომ მისი მოხსენება მოეწონათ სწავლულებს, რომლებიც კარგად იცნობენ მშობელი ქვეყნის წარსულს, ეჭვის თვალთ უყურებენ მას, ვინც მათივე ენაზე უცნობ სიახლეს სთავაზობს მათ. მაგრამ დღეს იმდენი რამ ახალი მოისმინეს, რომ თვით უკიდურესზე სკეპტიკოსებმაც კი აღიარეს: მართლაცდა, ძალზე უნდა გიყვარდეს მეცნიერება, დიდ

პატივს სცემდე არაბებს, რომ ასე ღრმად და თბილად ილაპარაკო არაბულ ენულტურაზე.

მისეილ ნუაიმე მივიდა და მაგრად ჩაშოართვა ხელი პროფესორს. მისეილ ნუაიმე, არაბული ლიტერატურის პატივცემული კლასიკოსი...

ძვის ფურცლები

ემრავლელობა ურარტული ლურსმული (სოლისებრი) წარწერებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, დაცულია მუზეუმებში. მეცნიერებისათვის არა ნაკლებ საინტერესოა კლდეებზე შესრულებული წარწერები, თუმცა ბევრი მათგანი ისეთ ციკაპაზეა, რომ მხოლოდ უმამაცესნი თუ ახერხებენ ამ ღებრთებისათვის განკუთვნილი მიმართვების (როგორც ამას ტექსტების შინაარსი მოწმობს) ხილვას. კლდეზე შესრულებული წარწერებიდან ესტანაჟები კეთდებოდა. გეგმაზონიერი ექსპედიციების წუადრ ბოთა და ცალკეული ენთუზიასტების დაუცხრომელი მეცადინეობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ლურსმული წარწერების საქმით რაოდენობამ მოიყარა თავი. ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრისათვის ამ კოლექციის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო შესწავლილი. გიორგი წერეთელმა გადაწყვიტა ხელახლა და მთლიანად შეესწავლა ეს წარწერები. 1939 წელს გამოდის მისი წიგნი „საქართველოს მუზეუმის ურარტული წარწერები“, რომელშიც მოთავსებულია ოცდამდე ეპიგრაფიკული ძეგლის ფოტოპირი, მათი ტრანსკრიპცია და თარგმანი, კომენტარები და საბეჭდო. თითოეული ძეგლის დაწვრილებითი აღწერილობა და ავტორის მიერ წამოყენებული ძირითადი უებულებები მოცემულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მთელი რიგი სპეციალისტების აზრით, თავის ნაშრომში გიორგი წერეთელმა შეუქი მოჰყენა მრავალ მანამდე აუხსნელ მოვლენას, დაასაბუთა მთლიანობა ორი წარწერისა, რომლებიც ადრე სხვადასხვა ეგონათ, დაამტკიცა სტრუქტურულ ასპექტში ურარტული ენის ტიპოლოგიური მსგავსება ქართულ და სხვა კავკასიურ ენებთან.

აკადემიკოსმა ივანე მეშჩანინოვმა, რომელიც ცნობილია თავისი ზომებით ურარტულ წარწერებზე, ეურნალში „ვესტნიკ დრევნი ისტორიი“ („ძველი ისტორიის მოაზრებები“) გამოაქვეყნა სტატია, სადაც გიორგი წერეთლის ნაშრომს უწოდა „სამაგიდო წიგნი ყველა იმართვის, ვინც ძველი ვანის ენას სწავლობს“. ამ წერილში ნათქვამია: „ეს ნაშრომი მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ურარტუს ძეგლების ენის შემდგომ ათვისებას. იმ ძეგლებისა, რომლებიც იძლევიან უძველეს წერილობით ცნობებს ჩვენი ამიერკავკასიის შესახებ. ეს ნაშრომი მიიზიდავს როგორც ამიერკავკასიის ძველი ისტორიით დაინტერესებულთ, ისე იმათაც, ვინც ღრმად ეუფლება კავკასიისა და წინა აზიის თანამედროვე და ძველ ენებს“.

გაივლეს კიდევ ოცი წელი. გამოქვეყნდება ახალი ზომები, აღმოაჩენენ ახალ ურარტულ წარწერებს. ახალ უფრო მაღალ დონეს მიაღწევს ურარტოლოგია. გიორგი წერეთლის მოწაფე გიორგი მელიქიშვილი, ავტორი ნაშრომისა „ურარტუს ლუარსმული წარწერები“, რომელიც ლენინურ პრემიას დაიმსახურებს, თავისი მასწავლებლის ნაშრომს „სამაგალითო გამოცემას“ უწოდებს.

*

•

•

უმოწყალოდ აცხუნებს მზე. ზოგჯერ გათხრების თავზე მტვრის სვეტი აღიმართება, შემდეგ კი ეშვება არქეოლოგების ხელებსა და ტანისამოსზე. შეიძლება შეწყდეს მუშაობა, მაგრამ გათხრები, მეცნიერის აზრით, ისედაც ნელი ტენზით მიმდინარეობს: ივანე ჯავახიშვილი მოუთმენლობას ამელავნებს. წანდაუწუმ ბარსაც კიდებს ხელს, ეხმარება არქეოლოგებს. მას, ექსპედიციის ხელმძღვანელს, ეჭვიც არ ეპარება, რომ არმაზის გათხრების შედეგი საყურადღებო და ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. ამ რწმენით ღირსეულ მან ეს სამუშაო, რომლის ორგანიზაცია მეტად რთული იყო. სახსრები, ხალხი, ამინდი... ადრე გახსნილმა სამარხებმა არ მოიტანეს სასურველი შედეგი. ახლა?

აღბათ დროთა განმავლობაში მეცნიერება ზუსტად განმარტავს იმ წინათგარძნობის ფენონებს, რომლის მეოხებით ჩვენ ვგარძნობთ ადამიანის ყოფნას გარინდულ, კარგამოკეტილ ბინაში, ან ხშირ ბუჩქნარ-

ში. როცა არქეოლოგები მეოთხე სამარხს მიაღწენ, მათ წარმატების რწმენა დაეუფლათ. თუმცაღა ხმამაღლა არაფერი თქმულა.

სარკოფაგის ზედა ფილა აიხადა. მის შიდა კედელზე შენიშნეს წარწერა, სწორედ ის წარწერა, რომელსაც წილად ხედა განსაკუთრებული როლის შესრულება საქართველოს უძველესი ისტორიის უნნიშვნელოვანესი საკითხების გაშუქებაში...

ეს უდავოდ ეპიტაფიაა. ორ ენაზე. ერთი მოკლე — ბერძნულად დაწერილი. სოლო მეორე უფრო ვრცელი, არქეოლოგებისათვის უცნობ ენაზე. წარწერა მყისვე ფოტოფირზე აღბეჭდეს, რომ სპეციალისტებისათვის გადაეცათ განოსაკუთრებად. ბაზალტის ფილა, რომელიც მოუხედავად იმისა, ან სწორედ იმის გამო, რომ ჩვიდმეტი საუკუნე მიწის ქვეშ იძყოფებოდა, ჩინებულად შეინახა. იგი აზომეს: 192 სანტიმეტრი სიგრძე და 64-66 სიგანე.

ბილინგვის ბერძნული ტექსტის წაკითხვა და ქართულად თარგმნა სთხოვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს სიმონ ყაუხჩიშვილს. აი მისი შინაარსი:

„სერაფიტი. ასული ზევან მკირისა პიტიახშისა, მეუღლე პუბლიკოს აგრიპა პიტიახშის ძის იოდმანგანისა, ივერთა დიდი მეფის ქსედარნუგის მრავალთა გმარჯვებათა მომპოვებელი ეპიტროპისა. გარდაიცვალა ახალგაზრდა. 21 წლისა, მკონებელი შეუღარებელი სილამაზისა“.

ნაგრამ როგორ იკითხება მეორე ტექსტი, რომელიც არამეული დამწერლობის დღემდე უცნობ ნაირსახეობას წარმოადგენს? რა დასკვნების გაკეთება შეიძლება მის გაშიფვრის აგან?

აი, რას მოგვითხრობს ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯების შესახებ გიორგი წერეთელი თავის წიგნში „არმაზის ბილინგვა“:

„ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მე წარწერებს ენახავდი, იმ პირებისაგან, რომლებიც ძეგლების აღმოჩენას დაესწრნენ, მოაღწია ჩემამდე ცნობამ, რომ ბილინგვის ბერძნულ ტექსტში მოხსენებულია საკუთარი სახელები „ქსე ფარნუგ მეფისა, ზევან და პუბლიკოს აგრიპა პიტიახშებისა, იოდმანგან ეპიტროპისა და დედაკაცის საკუთარი სახელი სერაფიტი. ცოტა ხნის შემდეგ მე საშუალება მომეცა მესარგებლა წარწერის ფოტოგრაფიით მცირე დროის განმავლობაში. მე მოვასწარი მხოლოდ პარალელური ტექსტის პირის გადმოღება და მთელი წინასწარი მუშაობა წარწერის

ამოსაშიფრავად ჩავატარე ჩემ მიერ ხელით შესრულებული პირის მიხედვით.

ფოტოგრაფიის უკვე პირველ დანახვისთანავე აშკარა იყო ჩემთვის დამწერლობის არამეული ხასიათი“.

ასე. მისთვის ჩვეული თავდაპერილობითა და სიზუსტით გიორგი წერეთელი აგვიწერს პირველ შეხვედრას ბილინგვასთან. მხოლოდ ამ სიტყვების ქვეტექსტში, თითქოს შენელებული რიტმით იგრძნობა მოვლენის დრამატიზმი, მისი უდიდესი მნიშვნელობის წინათგრძნობა.

ამრიგად, მეცნიერი დარწმუნდა წარწერის დამწერლობის არამეულ ხასიათში. მაგრამ ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ შესაძლებელი იყო ამ ტექსტის დაუყოვნებლივ თარგმნა ქართულ, რუსულ, ან ნებისმიერ ცოცხალ ენაზე? სამწუხაროდ, არა. რატომ?

იმიტომ, რომ მეცნიერს ხელთ ჰქონდა, როგორც უკვე იყო ნათქვამი. არამეული დამწერლობის დღემდე უცნობი ნაირსახეობა. თანაც გაურკვეველი იყო, რომელ ენაზეა გაკეთებული წარწერა, საშუალო ირანულზე (ფალაური) თუ არამეულზე. საქმე ის არის, რომ ირანელები იმხანად იყენებდნენ არამეულ დამწერლობას, როგორც იდეოგრაფიკულს, ესე იგი ირანულ სიტყვებს გადმოსცემდნენ არამეული ასოების საშუალებით.

გიორგი წერეთლის სასარგებლოდ აღმოჩნდა შემდეგი გარემოება: ბერძნული წარწერა თუ მთლიანად არ ემთხვეოდა, ყოველ შემთხვევაში შინაარსით ენათესავებოდა არამეულს; მრავალი წლის განმავლობაში გიორგი წერეთელი ღრმად სწავლობდა საქართველოს ისტორიას, ქართულ კულტურას. დამწერლობას. არმაზულ ბილინგვას მეცნიერი დახვდა საიმედოდ შეიარაღებული ცოდნით, გამოცდილებით, სიყვარულით. ეს კი გამარჯვების საწინდარი გახლდათ.

როგორც უკვე ითქვა, გიორგი წერეთელი იმთავითვე დარწმუნდა დამწერლობის არამეულ ხასიათში. მან გამოჰყო ასოები, რომელთა ელერადობა საგარაუდოდ შეიძლება დამთხვევოდა უკვე ცნობილ არამეულ ასოებს. პირველად ამოკითხულ იქნა სიტყვა „წელი“, წარწერის ბოლო სტრიქონში. შემდეგ მან გააჩნია პირველი სტრიქონის ბოლოდან მეორე სიტყვა, რის შემდეგაც, როგორც წერს მკვლევარი, „ძნელი არ იყო მიხედვრა, რომ ზის წინ მოთავსებულია დედაკაცის აკუთარი სახელი სერაფიტი. ხოლო შემდეგ — მამამისის, ზევახის ახელი. ამგვარად ამოცნობილ იქნა ასოების დიდი ნაწილი“. ოთხმა

ნიშანმა გამოიწვია შეფერხება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათი გა-
შიფრვაც მოხერხდა, რის შემდეგაც მეცნიერმა შეძლო არმაზული
ნიშნების ტაბულის შედგენა.

ოცდაათი წლით ადრე იმ დღემდე, ვიდრე ნასავდნენ სტელებსა
და სამკაულებს არმაზული წარწერებით, დასავლეთ საქართველოს
ერთ-ერთ სოფელში, ბორში იპოვეს ეერცხლის პინაკი არმაზული
წარწერით. ბილინგვის გაშიფრვის შემდეგ შესაძლებელი გახდა ეერ-
ცხლის პინაკზე შესრულებული წარწერის წაკითხვა. ასეთია
პრობლემის ლინგვისტური ასპექტი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია
ისტორიულ-ფილოლოგიური და საკუთრივ ისტორიული ასპექტები...
საქმე ის არის, რომ ზოგიერთი არმაზული ნიშანი, გიორგი წერეთ-
ლის აზრით „გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს ქართულ ასოებ-
თან“... რომ, ქართულ ასოებში, რომლებიც გაცილებით უფრო გვიან-
დელ ძეგლებშია ფიქსირებული, ვიდრე არმაზის წარწერაა. ზოგჯერ
უფრო მეტი არქაულობა იჩენს თავს, ვიდრე არმაზის სათანადო ნიშ-
ნებში“. ამიტომაც ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ ქართული დამ-
წერლობა — ხუცური, როგორც არმაზის ასოების მერმინდელი
განვითარება. „უფრო საფიქრებელია, რომ ერთიცა და მეორეც ერთი
საერთო წყაროსაგან, ფინიკიურისა და ძველი არამეულისაგან წარ-
მოდგება, როგორც ამას ჯერ კიდევ განსვენებული აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილი ჰფიქრობდა“, — ასკენის მეცნიერი.

მაგრამ სად არის ეს უძველესი წყარო?

იოლია ამ საკითხის დასმა, ხოლო პასუხის გაცემა?..

გულგრილი დრო განუჩივლად ინელებს ფაქტებსა და მოვლე-
ებს მითიური ქრონოსის მსგავსად, რომელმაც შეიტყო რა მისნისა-
გან. რომ ერთ-ერთი მისი ნაშეიერი აღმატება მას სიმძლავრით და
დამახობს საბერძნეთის ღმერთებს, მიჰყო ხელი საკუთარი შვილების
შთანთქმას. რეამ მოახერხა მხოლოდ პაწია ზეცის გადარჩენა იმით,
რომ მის ნაცვლად მეუღლეს ჩვარში გახვეული ქვა შეაჩეჩა. დავაჟ-
კაცებულმა ზეცმა ბართლაც დაამხო ქრონოსი, აიძულა ამოენთხია
გადაყლაპული დაძმები, რომლებიც ოლიმპოს ღმერთებად მოველი-
ნენ...

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართული დამწერლობის
დასაბამი მეშვიდე-მეექვსე საუკუნეა ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

უძველესი ქართული წარწერა ბოლნისის სიონზე დათარიღებუ-

ლია ჩვენი წელთაღრიცხვის 492-493 წლებით. მაგრამ „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ იქამე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართლის მეფემ ფარნაოზმა, დაამარცხა რა ალექსანდრე მაკედონელის მრისხანე სატრაპი აზო, იპყო ხელი საშინაო საქმეების მოგვარებას. მან შემოიღო ქართული ანბანი. „შეკმნა დამწერლობა ქართული“ (ამ ასოების მოხაზულობა. რა თქმა უნდა, უცნობი იყო ეამთააღმწერელ ლეონტი მროველისათვის), გაავრცელა წიგნიერება თავის ქვეყანაში.

დრო, ვითარება, მეცნიერება გამოიტანენ საბოლოო განაჩენს ქართული დამწერლობის წარმოქმნის შესახებ. ქრონოსმა ამოანთხია საკუთარი შეილება. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ უცნობს რასმე იგულებს თავის წიაღში მიწა. ვის ერგება წილად ზევსის ბრწყინვალე ხედრი?



მაგრამ დაცუბრუნდეთ გიორგი წერეთლის მიერ გაშიფრულ ტექსტს. აი მისი ბჭკარედული თარგმანი:

1. მე (ვარ) სერაფიტი, ასული
2. ზევასისა. მცირისა პიტიახშისა ფარსმან
3. მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა — ძლევაბოსილისა
4. და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოის
5. მოძღურისა ქსეფარნუგ მეფისა — ძისა
6. აგრიბა ეზოის მოძღურისა
4. და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოის
8. რაც (-ის ვინც) იყო არა დასრულებული (ე. ი. ახალგაზრდა?) და რმდენად
9. კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არა —
10. ვინ იყო (მისი) მსგავსი
11. სილამაზით. და გარდაიცვალა 21 წლისა.

სულ თერთმეტი სტრიქონი! გადაიკითხეთ კიდევ ერთხელ ეს სევდიანი მოთხრობა უღროოდ გარდაცვლილ მზეთუნახავზე. „ვაება ვაებისა“ — ასე წერს ეპიტაფიის ავტორი. მაგრამ დინჯი ისტორიკოსი დიდხანს ვერ იგლოვებს მის მწარე ბედს. მაი. არ აუძგერდება გუ-

ლი სერაფიტის ზღაპრულ სილამაზეზე. ყველაფერს ამას მკვლევარი პოეტებს გადაუღოცავს.

მეცნიერს. რომელიც შეპყრობილია წარსულის ამოკითხვის უშრეტეს ენით, განუსაზღვრელად გაახარებს მოულოდნელი საჩუქარი — ბაზალტის სტელა ისეთი წარწერით, საქართველოს ისტორიას რომ შეეხება. ის მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ სერაფიტი პიტიახში ასულია, თანაც მცირე პიტიახში (დასკვნა: იმ პერიოდში საქართველოში უკვე არსებობდა პიტიახშების ინსტიტუტი), რომელიც ემსახურებოდა მეფე ფარსმანს. ამ მეფეს ჰყოლია ეზოსმოძღვრები — ეპიტროპები და მხედართმთავრები (რაც საბოლოოდ ასაბუთებდა „ძირითადად ლიტერატურულ წყაროებზე“ დაფუძნებულ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დებულებას იმის შესახებ, რომ: „საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში არსებობდა საკმაოდ განვითარებული სახელმწიფო სისტემა მეფითა და ხელისუფლების სხვა ატრიბუტებით“). რა ლიტერატურული წყაროებია ეს? ესაა „ქართლის ცხოვრება“ (რომლის პირველმა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია XV საუკუნის ხელნაწერში, ხოლო მეორე შედგენილი იყო მეფერამეტე საუკუნის დასაწყისში, მეფე ვახტანგ VI მიერ) და XI საუკუნის ისტორიკოსის — ლეონტი-მროველის ჩანაწერები, რომლებმაც, იმის გამო, რომ საქართველოს ისტორიის უძველეს ხანას შეეხებოდნენ, გვიანდელი ისტორიკოსების ერთგვარი უნდობლობა დაიმსახურეს.

არმაზის სტელა ორენოვანი წარწერით ზუქს ჰფენდა სინამდვილეს და, რა თქმა უნდა, აძლიერებდა ლეონტი მროველის, როგორც ქადაგებულების ავტორიტეტს. ასეთია ბილინგვის შესწავლის ერთ-ერთი არაპირდაპირი შედეგი. მთავარი კი ის იყო, რომ არმაზის ბილინგვამ დაადასტურა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის საქართველოში არსებობა პიტიახშების ინსტიტუტისა, ე. ი. ცალკეული მმართველებისა. რომლებიც იბერიის მეფეს ემორჩილებოდნენ. ადრე ფიქრობდნენ, რომ პიტიახშები საქართველოში მეოთხე საუკუნის მიწურულს ან მეხუთე საუკუნის დასაწყისში გაჩნდნენ, როცა იბერია სასანური სპარსეთის ვასალი გახდა. გამოირკვა აგრეთვე, რომ არსებობდა დიდი (ანუ უფროსი) და მცირე პიტიახშები. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ იმ დროს საქართველო განვითარებული კლასობრივი სახელმწიფო იყო.

დისერტანტმა სასტიკად აუკრძალა დებს დაცვაზე დასწრება. რატომ? ეს დღესაც გაუგებარია, — შეიძლება უფრთხილდებოდა მათ, — ილელეებენო, ან იქნებ ფიქრობდა, რომ მათი დასწრება შეუშლიდა მას ხელს ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციაში. დისერტანტის დაპურება პაექრობის წინ (დაცვა უმძიმეს — 1942 წელს შედგა) და მეთვალყურის მისია დაეკისრა თინათინ წერეთლის მეუღლეს იურისტ-მეცნიერს ვლადიმერ მაყაშვილს, რომელიც გიორგის არა მარტო ნათესავი იყო, ან საინტერესო თანამოსაუბრე, არამედ ნამდვილი ძმა და მეგობარი.

კათედრასთან მივიდა გიორგი წერეთელი, მაღალი, „ტანადი ვითარცა ბედუინი“, ოდნავ ასკეტური გამომეტყველებით, როგორც ყოველთვის დასვეწილი და რაფინირებული. სამეცნიერო საბჭო და დამსწრენი სმენად იქცნენ. მან დაიწყო მისეული, ოდნავ ყრუ ხმით. შეეხო საკითხის წინაისტორიას, შემდეგ გააშუქა ბილინგვის გაშიფვრის მეთოდები და ჩამოაყალიბა მკითხველისათვის უკვე ცნობილი დასკვნები როგორც ლოგიკური შედეგი დასაბუთებისა; როცა დაამთავრა, გაისმა აპლოდისმენტები, რასაც დაცვის წესი ჩვეულებრივ არ ითვალისწინებს. ამას მოჰყვა შეკითხვები. ოპონენტთა გამოსვლები. პაექრობის ატმოსფერო მთლიანად გამსჭვალული იყო მკვლევარის აღმოჩენის უდიდესი მნიშვნელობის სრული გაგებით. და როცა ჯერი ენკისყარაზე მიდგა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ, კვლავ მიღებული წესის საწინააღმდეგოდ, მას ერთხმად მიანიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, რაც მალე დაადასტურა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ.

გადის წლები. 1944 წელს გიორგი წერეთელს ირჩევნ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო ორი წლის შემდეგ — 1946 წელს — საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1945 წელს თბილისის უნივერსიტეტში მისი ინიციატივით იქმნება აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სადაც იგი სათავეში უდგება მის მიერვე ჩამოყალიბებულ სემიოლოგიის კათედრას.

საქართველოს გეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით „არმაზის ბილინგვა“ გამოდის ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ბაზალტის სტელას, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ეძღვნება ვრცელი ლიტერატურა. „არმაზის ბილინგვის“ ავტორს მხურვალედ მხარს უჭერენ. მაგრამ ამავე დროს ედავებიან კიდეც.

რალა მოუვიდა სერაფიტს?

სერაფიტის სამკაულები საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებშია დაცული. ხოლო თვით სერაფიტი ეკლრეთით აღსდგა პოეტის სტრიქონებში, — სიმონ ჩიქივანმა უძღვნა მას ლექსი, მხატვრის ტილოზე. — ლადო გულიაშვილმა დახატა იგი კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ შექმნა ბალეტი პრტიანშის უდროოდ გარდაცვლილ მშვენიერ ასულზე.



რამდენიმე წლის შემდეგ გიორგი წერეთელი კვლავ უბრუნდება ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხსა და 1960 წელს აქვეყნებს შრომას „ქართული წარწერები პალესტინაში“.

— ქართული წარწერები პალესტინაში?

— სწორედ ასე. პალესტინაში, სირიაში, ეგვიპტეში გამოვლენილ იქნა ქართული ხუროთმოძღვრების არა ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომლებიც მეტყველებენ ქართველი ხალხის კულტურულ-შემოქმედებითს ბოლშაწეობაზე აღმოსავლეთის „წმიდა ადგილებში“.

1890 წელს კიევის სასულიერო აკადემიის „შრომებში“ გამოქვეყნდა ა. დმიტრიევსკის ნაშრომი „კურთხეული ღირსი საბას კინოვილური წესები, რომლებიც მან სიკვდილის წინ თავის მემკვიდრეს მელიტს უბოძა“. საბა 524 წელს გარდაიცვალა, რითაც ჩვენთვის საინტერესო მისი დარიგებანი მელიტისათვის? საქმე იმაშია, რომ მასში პირდაპირაა ნათქვამი, რომ პალესტინის უდიდეს ლავრაში ქართველებს ნება დაერთოთ „უამთა გალობა, ასევე მოციქულისა და სახარების კითხვა მათ ზუგებრივ ენაზე“.

თვით ეს „ნება დაერთოს“ ფაქტი არ ადასტურებს განა მეხუთე საუკუნის პალესტინაში მრავალრიცხოვანი ქართველების ყოფნას?

დრო — მეხუთე საუკუნე, ადგილამყოფელი — იუდას უდაბნო ბეთლემის მახლობლად, შენობა — მონასტერი ქართული წარწერებით, აღმშენებელი — პეტრე იბერი. მონასტერი აღმოაჩინა 1954 წელს და შეისწავლა იტალიელი არქეოლოგების ექიპედიციამ. რომელსაც ვირჯილიო კორბო ხელმძღვანელობდა.

მოგზაურნი, ბერები. ვაჰრები, გლეხები, ოფიციალური პირები, რომლებიც მონასტერთან სასულიერო იერარქიის არსებით იყვნენ დაკავშირებულნი, ერთი სიტყვით, ყველა, ვინც დასცქეროდა სავანეს ბორცვის თავიდან, ხედავდნენ კვადრატული ფორმის ნაგებობათა კომპლექსს, რომლის მკაცრ, გეომეტრიულ ფორმებს არღვევდა ჩრდილოეთის მხრიდან მიშენებული ეკლესია.

ის მცირეოდენი, რაც ამჟამად მონასტრისაგან დარჩა, იმაზე მეტყველებს, რომ ხუროთმოძღვარი შორს იყო ასკეტიზმისაგან. იატაკი მოკირწყლული იყო ფერადი კენჭებით კარგად შემოინახა სატრაპეზოს მოზაიკური იატაკით. „ცენტრალური არე წარმოადგენს ჩარჩოში ჩასმულ გეომეტრიული მოტივების მშვენიერ წულს. შესრულებულს სხვადასხვა ფერით: თეთრი, ვარდისფერი, შავი, ცისფერი, მწვანე კენჭებით. ფართობი შემოფარგლულია შეიღწეება ბორდიურით, რომელიც გამოჰყოფს თეთრი მოზაიკის წნულებს დიაგონალში“.

მაგრამ ჩვენთვის მთავარია ქართული წარწერები. აქ ასეთი სამია. და კიდევ ერთი რამ. უტყუარად დადასტურებულია. რომ მონასტერში (მხოლოდ ამ მონასტერში) იყო საეპისკოპოსო სათავსოები, სადაც წურავდნენ ყურძენსა და ზეთისხილს.

კორბოს ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა, აწ განსჯენებულმა მ. თარსნიშვილმა, რომელიც რომში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, სწორად ამოკითხა წარწერა და გააკეთა მისი ზუსტი თარგმანი. „დაწესებებს მოითხოვს მხოლოდ ზოგიერთი სიტყვის, კერძოდ, საკუთარი სახელის ახსნა და ინდენტიფიკაცია“. — განაცხადა გ. წერეთელმა. რაში გამოიხატა ეს „დაზუსტება?“ შეაჯერა რა მრავალრიცხოვანი ფაქტები საქართველოს ისტორიიდან. რელიგიის ისტორიიდან, პალეოგრაფიიდან და ა. შ. პეტრე იბერის ცხოვრების უკვე ცნობილ მონაცემებთან, მის მოღვაწეობასთან. როგორც ქართული მონასტრე-

ბის დამფუძნებლისა აღმოსავლეთის ქვეყნებში — ეგვიპტესა და პალესტინაში — გიორგი წერეთელმა დაასკვნა: ქართული წარწერები პეტრე იბერის მიერ აშენებულ ტაძრებში განეკუთვნება 430-455 წლებს და არა მეექვსე საუკუნის დასაწყისს, როგორც მ. თარხნიშვილი ვარაუდობდა. სწორედ ეს წარწერები შეიძლება მივიჩნიოთ ქართული დამწერლობის დოკუმენტალურად ფიქსირებულ უძველეს ნიშნულებად. ამასთან ორთოგრაფიული და ენობრივი ნორმები, წარწერების ხასიათი, ექვს არ იწვევს იმაში, რომ მეხუთე საუკუნე ქართული დამწერლობის არა დასაწყისი, არამედ პისი განვითარების ერთ-ერთი ეტაპია.

გარდა ამისა, გაკეთდა კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა, რაც მეხუთე საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსისა და საეკლესიო მოღვაწის — პეტრე იბერის პიროვნებას ესება. მას, იბერიის მეფის ვარაზბაკურის ერთადერთ ვაჟს, აგზავნიან კონსტანტინოპოლში მძევლად. ოცი წლისა იგი გარბის პალესტინაში, სადაც შემდგომ ბერად აღიკვეცება. მურვანოსს დაერქმევა პეტრე. აქ, პალესტინაში გაიშლება პეტრე იბერის ნაყოფიერი მოღვაწეობა, რომლის მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ „მან საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა ქართული ენა და ქართული კულტურა“.

ისევ ძიება

საქართველოში შემოჭრილი მონღოლი, სპარსი, თურქი დამპყრობლები ანადგურებდნენ ვენახებს, სლობდნენ მატერიალურ დოვლათს, ანგრევდნენ ტაძრებს. სწვავდნენ ხელნაწერებს და ამით ცდილობდნენ მოეშალათ ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების საფუძვლები. მხოლოდ ქართველთა მედგარმა წინააღმდეგობამ, ერთმორწმუნე და ძლიერი რუსეთის ძმურმა დახმარებამ იხსნეს ქართველი ერი ფიზიკური განადგურებისაგან, გადაარჩინეს მისი ენა და კულტურა, პირველ რიგში შოთა რუსთაველის უკედავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დღეს მსოფლიო კულტურის საგანძურს ამშვენებს, კარგად გამოხატა ეს პოეტმა მუსხრან მაჭავარიანმა:

„მრავალ კირვარამ გადანასადი
 უნატიფესი ენა ქართული,
 უველაზე კარგად. რომლის ლაზათი
 შოთას ლექსშია გამოხატული.
 ვინ იცის
 მტარვალს გადურჩა რამდენს,
 ვინ იცის
 მტერი ჰყავდა რამდენი...
 მაინც შეიძლო მოსვლა აქამდე,
 არ აღმოიფხვრა,
 არ გაცამტვერდა.
 დღეს მისი ბედი ჰყიღია ჩვენზე!
 ლარი და ხაზი ამას რათ უნდა...
 ჩვენ უნდა შევძლოთ,
 და ვინძლო შევძლებთ! —
 კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა“.

პუშკინს რომ დავესესხოთ, შეიძლება ვთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იყო ქართველობისათვის „სანუკვარი ლირა“. მიუხედავად გაუგონარი ძნელბედობისა, შოთას პოემამ მაინც მოაღწია ჩვენამდე დაახლოებით ასორმოცდაათ ხელნაწერში. უძველეს მათგანს მკვლევარები ათარიღებენ XVI-XVII საუკუნეებით. თვით პოემის პირველ გამოცემელს, საქართველოს მეფესა და ქართული კულტურის დაუღალავ მოღვაწეს ვახტანგ VI-საც კი, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში თბილისში დასტამბა „ვეფხისტყაოსანი“, არ ჰქონდა ხელთ ისეთი ნუსხა, რომელიც თამარის ეპოქაში შექმნილ ორიგინალთან უფრო ახლო იდგა. მაშ რაღა ითქმის პოემის გვიანდელ ქომაგებზე? ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მწვავედ ისახებოდა მათ წინ ნუსხების დედანთან შესატყვისობის რთული პრობლემა. ერთ-ერთი ასეთი ქომაგი გიორგი წერეთელი გახლდათ. როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სპეციალური დადგენილება მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის შესახებ და დაამტკიცა პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, მის თავმჯდომარედ დაინიშნა პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. ხოლო მთავარ რედაქტორად — გიორგი წერეთელი. კომისიისათვის გამოყვეს სათანადო საშტატო ერთეულები, შენობა, ბიბლიოთეკა-არქივი. აქ შეიქმნა მაქსიმალურად ხელშემწყობი რეჟიმი იმ მკვლევარებისათვის, რომლებიც ქართველოლოგების მრავალი თაობების

საშვილიშვილო საქმეს სასახელოდ აგრძელებდნენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წყალობით მიიღო ამ მუშაობამ კეზმარიტად სახელმწიფო ხასიათი.

ვიდრე პოემის აკადემიური გამოცემის შესახებ თხრობის გავაგრძელებთ, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე შენიშვნის გაკეთება.

დედნის ზუსტ რეპროდუქციაში გამოიხატება თანამედროვე „გაღწერლების“ — მემანქანების, ლინოტიპისტების, მბეჭდავების პროფესიის არსი, რაც თვით მათ და მთელ საზოგადოებას კარგადა აქვთ შეგნებული.

შუა საუკუნეების გადამწერს ეს სულ სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი (ამას ხელნაწერებიც მოწმობენ). არა მარტო ასოების ლამაზად გამოყენას (ეს ასოებიც ხომ ხელოვნების ნიმუშებია), არა მარტო ილუსტრაციების მაღალ დონეზე შესრულებას, არამედ თვით ტექსტზე მუშაობასაც თვლიდა ასეთი გადამწერი მისი ნიჭის, პოლიტიკური და ესთეტიკური მრწამსის გამოხატვის სფეროდ. ზოგჯერ გადამწერი უბრალოდ ცდებოდა, ვერ არჩევდა ამა თუ იმ სიტყვას და მის ნაცვლად სხვას წერდა. ზოგჯერ რედაქტორის ფუნქციებსაც კისრულობდა. ასე, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვაგვარად იკითხებოდა ესა თუ ის სიტყვები, სტრიქონები, რაც დღესაც იწვევს ფილოლოგების მწვავე კამათს. ასეთი სიტყვები და სტრიქონები შოთას პოემის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენენ.

რომ შეიძლებოდაც დედნის, იმ ფასდაუდებელი გრაგნილის აღმოჩენა. შოთას ხელით რომაა დაწერილი! განა ამ ოცნებით არ იყო განსვენებული ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გიორგი წერეთელი, როცა მოგზაურობდა შუა აზიის ქალაქებსა და ყიშღაღებში? განა ამ ოცნებით არ არიან მონუსხულნი ისინი, ვინც იკვლევენ საქართველოს ძველი მონასტრების ხელნაწერთა საცალებს? ვინ იცის, იქნებ სწორედ საქართველოსგან მოშორებით, იქ, სადაც შენდებოდა ქართული მონასტრები, სადაც სამშობლოსაგან მოწყვეტილი პატრიოტები სასოებით გადაწერდნენ ფოლიანტებს, დევს ის სანუჟვარი გრაგნილი?

ამიტომაც დაიბადა აზრი მეცნიერების იერუსალიმში გამგზავრებისა, სადაც დგას სახელგანთქმული ქართული ჯვრის მონასტერი, სადაც, ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, დაასრულა თავისი დღენი დიდმა შოთამ.

1960 წელს იერუსალიმს გაემგზავრა სწავლულთა ექსპედიცია საქართველოს პეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით.

მოწინებითა და იმედით შეაბიჯეს მათ მონასტრის თაღებქვეშ. იქ, სადაც გაღმორცხვით შოთა რუსთაველი იყო დაკრძალული. პეცნიერთა ყურადღება მიიპყრო წითელმა ანარეკლმა თეთრად შეღესილ სვეტზე. ბათქაშის გაწმენდის შემდეგ მათ დაინახეს მუხლმოდრეკილი ზოხუცის — რუსთაველის ფერწერული პორტრეტი, რომელიც, ზოგიერთი მკვლევარის თქმით, პოეტის გარდაცვალების უახლოეს მომდევნო წლებში უნდა ყოფილიყო დახატული.

ამ პორტრეტს მრავალრიცხოვანი რეპროდუქციების წყალობით დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს. ბედნიერმა აღმოჩენამ კიდევ უფრო წახალისა ქართველი მკვლევარები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ შეეღწიათ პალესტინის ხელნაწერთა საცავებში. ამ საკითხზე ისინი ესაუბრებოდნენ პეცნიერებს, სასულიერო პირებს. პოლიტიკურ მოღვაწეებს. მათ ბევრი რამ აღუთქვეს და ერთგვარი დახმარებაც გაუწიეს.

მაგრამ „ეფეზისტყაოსნის“ ავტორისეული ან სხვა უძველესი ხელნაწერის აღმოჩენის პრობლემა კვლავ მომავლის საქმედ დარჩა. იმედი მაინც არ გაქარწყლებულა, და რომ ეს იმედი მტკიცე საფუძველზეა დამყარებული. ამას მრავალი უძველესი ტექსტის აღმოჩენა და პეცნიერულ ხმარებაში მოქცევაც მოწმობს.

მაგრამ დავუშვათ, რომ რუსთაველის პოემის დედანს მიაგნეს, მაინც „ეფეზისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობა არ დაკარგავს თავის უდიდეს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

კომისია (რომელიც მონათესავე სამეცნიერო დაწესებულებების შრომებსაც იმარჯვებს) ძირითადად „ეფეზისტყაოსნისა“ და ქართული ლიტერატურის სხვა უმნიშვნელოვანესი ძეგლების (რომლებიც შეიქმნა რუსთაველის პოემაზე აღრე და მის პარალელურად) ლექსიკონ-სიმფონიებს ადგენს. ლექსიკონ-სიმფონია — ეს ფაქტურად არის ნაწარმოების თითოეულ სიტყვაზე შედგენილი „საქმე“.

კომისიის მუშაობის შედეგიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თანამშრომლებმა დაამუშავეს ქართული ლიტერატურის უძველესი ძეგლი „წამება წმინდისა ზუშანიკისაი“, „ვისრამიანი“, რუსთაველის

თანამედროვეთა — ჩახრუხადისა და შავთელის ოდები, „სიბრძნე ბალავარისა“, „ბიბლია“ (მეათე საუკუნის თარგმანი), სხვადასხვა დროს გამოცემული ძველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები. ლექსიკონ-სიმფონიების შედგენა გრძელდება. ამჟამად მუშავდება ძეგლები, რომლებიც ჯერ არაა გამოცემული.

1974 წლისათვის გამოსაცემად მომზადდა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონ-სიმფონიის სამი ტომი. გამოქვეყნებულია პირველი ტომი, რომელიც ეძღვნება პოემის შესავალს. ძნელად ასახსნელი დაყოვნებაა? არა. მკვლევარის ღრმა და მასშტაბურმა ჩანაფიქრმა შეუძლებელია ხორცი შეისხას უმოკლეს ვალებში. ეს ხომ საზიანო იქნებოდა მთელი ამ შრომის რთული კომპლექსისათვის.

ამრიგად, აკადემიური გამოცემის რვა ტომი მოიცავს „ვეფხისტყაოსნის“ კანონიზირებულ ტექსტს, დღემდე ცნობილი პოემის ყველა ვარიანტს, ტექსტში შესული ყოველი სიტყვის განმარტებას, საილუსტრაციო მასალას, მეცნიერულ კომენტარებს. ასე გვესახება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემა, რომელიც აუცილებელ წიგნად იქცევა იმათთვის, ვინც მოღვაწეობს ქართულ ფილოლოგიაში. ამ გამოცემას ელოდება მთელი ჩვენი საზოგადოება. ყოველი მისი წევრი, მხენელ-მთესველი და პედაგოგი, ინჟინერი და მუშა, სპეციალისტი-ფილოლოგი, რომელთა შეგნებული ცხოვრება განუყრელად დაკავშირებულია რუსთაველის უკვდავ ქმნილებასთან. განა მათმა წინაპრებმა მრავალგზის არ იხსნეს ქართველი ხალხის ეს უბადლო სულიერი განძი? სწორედ ამიტომ ჩვენი ხალხი უდიდეს პატივს სცემს იმ მეცნიერს, იმ ამაგდარ ადამიანს, ვინც თავისი სიცოცხლე სიტყვის შესწავლას მიუძღვნა, სიტყვისა, რომელიც ამოკრილია ქვაზე. გაზოსახულია უძველეს მანუსკრიპტზე, დაბეჭდილია სტამბური წესით. სიტყვა ხომ, როგორც ამას დიდი რუსი ფილოლოგი დალი ამბობდა, არის „ადამიანის განსაკუთრებული უნარი ხმამაღლა გამოხატოს თავის აზრები და გრძნობები“.

ბენიალური პოემის მეტრი და რიტმი

...ჩემი უკანასკნელი ხანგრძლივი საუბარი გიორგი წერეთელთან შედგა მისთვის განსაკუთრებით სასიხარულო დღეებში. როცა შევედი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში,

56

შეუნიშნე, რომ ღიმილი, რომელიც მის ასკეტურ, ოდნავ გაფითრებულ სახეზე აღიბეჭდა, რაღაც ზეიმურობის ბეჭედს ატარებდა.

უჩვეულო იყო მისთვის ის სიტყვებიც, რომლებიც მან მისაღწევის შემდეგ წარმოთქვა... თუმცა, როგორც ჩანს, ზეტად მნიშვნელოვანი იყო ის, რაც მოხდა. იქნებ გრძნობდა კიდევ მძიმე, უკუჩვენებელი სენის დასაწყისს და ამიტომაც ჩქარობდა...

— მე წილად მხვდა ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა, დაკავშირებული „ვეფხისტყაოსანთან“, რუსთველის ლექსის სტრუქტურასთან.

შემდეგ მან მომითხრო იმ შრომის შესახებ, რომელზეც შემდგომ მოხსენება გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირში და. მოგვიანებით, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების წლიურ საერთო კრებაზე.

— აღრინდელი მკვლევარები, — თქვა მან. — რუსთველის ლექსის ერთეულად მიიჩნევდნენ ტერფებს, ჭერ კიდევ ძველი ბერძნები, სათვის დამახასიათებელ ზომებს — ქორეს, დაქტილს, მეორე პეონსა და ასე შემდეგ. ამასთანავე ცდილობდნენ რუსთველის პოემის რიტმი როგორმე ბერძნული რიტმების ჩარჩოებში მოექციათ.

რას წარმოადგენს ქართული ქორე, ეგრეთწოდებული მაღალი შაირი? ეს არის ორმარცვლიანი ტერფი, სადაც მახვილი პირველ მარცვალზე მოდის.

მეორე გავრცობილი რიტმი — ეს არის ქართული დაქტილი — დაბალი შაირი. სამმარცვლიანი ზომა უკანასკნელ მარცვალზე მახვილით.

ჩემს ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ამ ზომებს არავითარი კავშირი არა აქვთ რუსთველის ლექსთან, ვინაიდან „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია არა სილაბურ-ტონური, არამედ წმინდა სილაბური პრინციპი.

თქვენ ალბათ გსმენიათ „ოქროს კვეთის“ შესახებ... ეს არის იდეალური პროპორცია: დიდი მონაკვეთი ისე შეესაბამება მთლიანს, როგორც მცირე მონაკვეთი — დიდს. ოქროს კვეთის პრინციპი, რომელიც პითაგორამ ჩამოაყალიბა, კარგად იყო ცნობილი იტალიური აღორძინების ფერმწერლებისათვის. მას წარმატებით მიმარავენდნენ სხვადასხვა დროის ხელოვნების ოსტატები. ეს პრინციპი გამოყენებულია რაფაელის „სიქსტის მაღონაში“ და ლიურერის „ავტო-

პორტრეტში“, კობუზიეს არქიტექტურულ კომპოზიციებში, ბელა ბარტოკის მუსიკაში, სერგეი ეიზენშტეინის ფილმებში.

რუსთაველის პოემაში 1587 სტროფია. უნეტესობა (863) აგებულია ოქროს კვეთის პრინციპით, 723 — ეკვივალენტური, ანუ, თანამედროვე ფრანგი მკვლევარის ე. ვეილის ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, პერალდიკური სიმეტრიის პრინციპით, ერთი და იმავე ნეტრის ფარგლებში. ერთი სტროფი დაწერილია ოცნარცვლოვანი ზომით (მკითხველის საყურადღებოდ: საუბარი ესება რუსთაველის პოემის 1966 წლის აკადემიურ გამოცემას, გიორგი წერეთლის, სარგის ცაიშვილისა და გურამ კარტოზიას რედაქციით).

— არა, — უეცრად შეწყვიტა თხრობა გ. წერეთელმა, თითქოს გამოიცნო შემხვედრი კითხვა: — ჯერ ანის შესახებ გაზეთში ცნობას ნუ გამოაქვეყნებთ. ნე უკვე შევიპირდი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორს წერილს შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ რიტმისა და მეტრის შესახებ. გამოვაქვეყნებ ამ სტატიას და მერე... სწორედ იმ ხანებში მუშაობდა გიორგი წერეთელი იმ წერილზე, რომელიც „საბჭოთა ხელოვნების“ 1973 წლის თებერვლის ნომერში დაისტამბა.

შენდეგ მან გააკეთა მოხსენება საქართველოს მწერალთა კავშირში. მწერალთა სახლში ტევა არ იყო. ყურადღებისა და გრძნობათა იადაბულობით ეს დღე 1942 წლის იმ დღეს შეედრება, როცა გიორგი წერეთელი თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე იცავდა თავის განთქმულ დისერტაციას, მიძღვნილს „არმაზის ბილინგვისადმი“. მკითხველს ახსოვს, რომ მის მიერ მაშინ გამოთქმული იდეები სპეციალისტების უმრავლესობამ გაიზიარა, მაგრამ ყველამ და მთლიანად არა.

მაგრამ აუდიტორიის ერთსულოვნება გამოიხატა ამ იდეების ორიგინალობის, სიღრმისა და სითამამის აღიარებაში.

და აი, როგორც მაშინ, ახლაც დაიპყრო აუდიტორია აზრის სიღრმემ და სისადავემ. მსჯელობის ისეთმა რკინისებურმა ლოგიკამ და თანმიმდევრულობამ, რაც ასე აძნელებს დისკუსიას და მეცნიერულ კამათს მასთან. ეს, როგორც ჩანს, აიხსნება მკვლევარის გასაოცარი ალლოთი და უნარით ყოველმხრივ ჰერეტდეს საგანს, აღმოაჩინოს ამა თუ იმ მოვლენისა და ფაქტის ისეთი დაფარული კანონ-

ზომიერებანი, რომლებიც ხშირად მიუწვდომელია თვით სპეციალისტებისათვის. გიორგი წერეთლის წარმატება განაპირობა მისმა განსაკუთრებულმა განსწავლულობამ არა მარტო ფილოლოგიასა და ლინგვისტიკაში, არამედ აგრეთვე ისტორიაში, არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში... აქედან მოდის მკვლევრის ნაშრომთა თავისებურება, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი უხვად მიმართავს მომიჯნავე დისციპლინებს, შორეულ მეცნიერულ ასოციაციებს...

1973 წლის 2 მარტს. ნახევარი წლით ადრე გარდაცვალებამდე, გიორგი წერეთელმა, როგორც უკვე იყო ნათქვამი. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების წლიურ საერთო კრებაზე გააკეთა მოხსენება თემაზე: „რუსთაველის პოემის რიტმი და მეტრი და შედარებითი ვერსიფიკაციის საკითხები“. პატივცემული გიორგი თბილისში ფრთაშესხმული ჩამოვიდა. ძნელი გადმოსაცემია მისი იმდროინდელი განწყობილება, რეშაობის ახალგაზრდული წყურვილი, გასაოცარი ოპტიმიზმი...

გამარჯვება — ადამიანის ხვედრია, განსაკუთრებით შემოქმედისა. იქნებ იმითაც აიხსნება მკვლევარის მაშინდელი განწყობილება, რომ მან ეს უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გააკეთა იმ დროს. როცა საშოკდაათს უახლოვდებოდა? როგორც ინტელიგენტი, მეცნიერი. ისტორიის ღრმა მცოდნე. ის ირონიით ეკიდებოდა იმ თვალსაზრისს, რომ შემოქმედებითი პროფესიის ადამიანი 40 წლისათვის უკვე იქლევა იმის მაქსიმუმს, რის გაკეთებაც შეუძლია საერთოდ. ხოლო მისი შემდგომი მეცადინეობა წარსულის გადამღერებაა მხოლოდ. დაიმედებული ვოლტერის სიტყვებით — „უზენოთათვის სიბერე — ტვირთია, უმეტრისათვის — ზამთარი. ხოლო მეცნიერისთვის — ოქროს შემოდგომა“ — ის მზად იყო მწიფე ნაყოფის მოსასთველად და უხაროდა, რომ საკუთარი მაგალითით ამართლებდა გამოჩნატქვანს ამ დიდი ზრძენისა, რომელმაც აზრის სიღრმე და სიმახვილე ლათინო სიცოცხლესთან ერთად, როცა 84 წლისა გარდაიცვალა.

გიორგი წერეთლის მოხსენება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შრომებში («Ученые записки АН СССР») დაისტამბა. მეცნიერის არქივში დაცულია ამ მოხსენების განხილვის სტენოგრაფია, რომელიც იმდენად საინტერესოა, რომ აუცილებლად უნდა გახდეს ცნობილი მკითხველთა ფართო წრისათვის.

უპასუხა რა აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩევს შეკითხვაზე. თუ რუსთაველის პოემის რომელი ტექსტი დაედო საფუძვლად წარმოდგენილ ანალიზს. გიორგი წერეთელმა განაცხადა:

„ტექსტი ჩვენ (რუსთაველის პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ) გამოვეცით 1966 წელს. ამ ტექსტზე ჩვენ მრავალი წელი ვიმუშავეთ, მოვიმარჯვეთ თითქმის ყველა არსებული ხელნაწერი (მიაქციეთ ყურადღება ამ „თითქმის ყველას“ — მკვლევარი არა თუ ვარაუდობს მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ხელნაწერების არსებობას, არამედ ღრმად არის ამაში დარწმუნებული), რომლებიც, ისევე როგორც ქართული ლიტერატურის სხვა მასალები, შედარებით ასპექტში შევისწავლეთ. ჩვენ შევეცადეთ ლექსწყობისაგან დაშოუკიდებლად დაგვედგინა პოემის შინაარსი, სტროფების მოცულობა და ა. შ.

ამ საფუძველზე 1966 წელს გამოიცა რუსთაველის ტექსტი.

მე მივიღე ბარათი შეკითხვით (აგრძელებს გიორგი წერეთელი):

„როგორც ჩანს, მარცვალთა დაყოფის „ოქროს კვეთის“ პრინციპის, ან ეკვივალენტური პროპორციის (დაბალი და მაღალი შაირი) პრინციპის შეგნებულად ან ინტუიტიურად გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას უნდა გავითვალისწინოთ ამ პრინციპების შენაცვლების კანონზომიერებანი. შეიმჩნევა თუ არა ასეთი კანონზომიერებანი?“

— რა თქმა უნდა. მთლიანობაში ასეთი კანონზომიერებანი შეიმჩნევა, — უპასუხებს გიორგი წერეთელი, — 800-ზე მეტი სტროფი დაწერილია ერთი რიტმით, მეორე ნახევარი — სხვა რიტმით

აქ კანონზომიერება განისაზღვრება არა იმდენად ამ სტროფების რაოდენობით, არამედ, როგორც ჩანს (ეს ვარაუდი რიგმა მკვლევარმა გამოთქვა), თვით სტროფების შინაარსით. ისევე როგორც პროტოსლავურ ლექსში გრძელი სტრიქონი ისტორიული. ეპიური თხრობისათვის გამოიყენება. ხოლო მოკლე სტრიქონი — ელეგიისათვის. ამ შემთხვევაშიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ გარკვეული ხასიათის შინაარსს გადმოსცემენ დაბალი შაირის სტრიქონები, სხვა ხასიათისა კი მაღალი შაირი.

ამას მოჰყვა აკადემიკოს ვ. ბარკოვსკის შეკითხვა: „დაცულია თუ არა რაიმე ამის მსგავსი რუსულ თარგმანში?“ და გიორგი წერეთლის მეტად საინტერესო პასუხი:

— ამასწინათ ნ. ბაქანი მეუბნებოდა, რომ ოცდაათი წლის წინ, როცა თარგმნიდა რუსთაველს უკრაინულ ენაზე, ის და ს. იორდანი-შვილი ძალიან გაწვალდნენ ტექსტზე მუშაობისას. ისინი ცდილობდნენ პროსოდული ერთეულების თანამიმდევრობის დადგენას ქორეების, დაქტრლებისა და სხვ. საშუალებით, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

ახლაც მას დაებადა სურვილი გააქეთოს თუნდაც რამდენიმე სტროფის ხელახალი თარგმანი ჩველს მიერ დადგენილი პროპორციული შეფარდების საფუძველზე.

ამას გარდა, ერთ-ერთ რუსულ თარგმანში ცდილობდნენ ორიგინალის რიტმის შენარჩუნებას. მაგრამ არ ვიცი, რამდენად რუსულად ჟღერს ეს („ჟერ არა!“ — წამოიძახა ბ. სუჩკოვმა).

შემდეგ გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორექტორები ბ. სუჩკოვი, ვ. ივანოვი, აკადემიკოსი ვ. ლიხაჩოვი. ყველა ეს გამოსვლა თვალნათლივ გვიჩვენებს თუ „ვიწრო“ პრობლემიდან როგორ წარმოდგება გლობალური პრობლემები, ამ შემთხვევაში ლიტერატურის დარგში. აი, რა თქვა ბ. სუჩკოვმა:

— ზე, როგორც ალბათ აქ დამსწრეთა უმრავლესობამ, უდიდესი ინტერესით მოვისმინე გიორგი ვასილის ძის მოხსენება. ის, რა თქმა უნდა, არ საჭიროებს ჩემს კომპლიმენტებს. მაგრამ მე ვთვლი, რომ მისი მოხსენება არის თვალსაჩინო მეცნიერული შოვნა და პირადად ჩემთვის, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსისათვის. მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. უფრო მეტიც, მიუხედავად ასეთი ეპიური, თხრობითი ტონისა, რაც დამახასიათებელი იყო გიორგი ვასილის ძის მოხსენებისათვის, — თავისი იდეებით აბსოლუტურად რევოლუციურია, და ქართული ლექსწყობის დღემდე არსებულ სქემებსა და შეფასებებს იგი მნიშვნელოვანწილად არღვევს და წინააღმდეგობრივს ხდის.

მაგრამ ამ რომენტებზე ზე არ შეეჩერდები: მინდა ვილაპარაკო ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს მეთოლოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც ისმის გ. ვ. წერეთლის მოხსენებასთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი. ჩვენ, ლიტერატურის ისტორიკოსები, გენეტიკური მეთოდის მიმდევრები, ყოველთვის ჩიხში ვემწყვდევით, როცა საქმე ეხება მხატვრულ ნაწარმოებთა კლასიფიკაციას, მის ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისათვის მიკუთვნებას. ზე როცა ვამბობ ისტორი-

ელ ეპოქას, მხედველობაში მაქვს არა „ისტორიულის“ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა, არამედ მისი სტაბილურობა.

კერძოდ, რუსთაველის პოემის გარშემო იმართებოდა ხოლმე კამათი: რა არის ეს? არის იგი შუასაუკუნეების ევროპული რომანის ტიპის კურტუაზული პოემა, თუ ეს არის პოემა, რომელსაც მხატვრული აზროვნების ახალი თვისებები აქვს? სწორედ მხატვრული აზროვნებისა?

გიორგი ვასილის ძის მოხსენების შემდეგ ჩემთვის შინაგანად ეს საკითხი აბსოლუტურად გადაწყვეტილია და ამაზე მინდა ცოტათი შევჩერდე.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მოხსენების მეთოდოლოგიური დახვეწილობა: მისი სტრუქტურულ-სტატისტიკური ანალიზი უშუალოდ ეხება იდეოლოგიას, თვით ნაწარმოების შინაარსობრივ მომენტებს, და ამ მხრივ, ექვს გარეშეა, გიორგი ვასილის ძის მოხსენება გარკვეულად ავითარებს და ავლენს ჩვენი ისტორიული მეთოდის პოტენციას და მისი გამდიდრების აუცილებლობას მხატვრული ნაწარმოების ანალიზის ახალი ხერხებით.

მაგრამ აქედან კეთდება წმინდა სტატისტიკური და ლექსთმცოდნეობითი დაკვირვებანი და წარმოიშობა ვეებერთელა მსოფლმხეველური პრობლემა: უცილობლად მტკიცდება, რომ რუსთაველის მთელ ნაწარმოებს „ოქროს კვეთი“ უდევს საფუძვლად. მაგრამ „ოქროს კვეთი“ — ეს ხომ ესთეტიკური აზროვნების კატეგორიაა, რომელიც ჩვენთან ანტიკური ხანიდან მოვიდა, მაგრამ იგი ამავე დროს რენესანსული ტიპის ცენტრალური ესთეტიკური კატეგორიაა, რომ არაფერი ვთქვათ ვიტრუვიუსისა და ლეონარდოს შესახებ, რომლებიც თავის ქმნილებებს ამ პრინციპს უდებდნენ საფუძვლად. აქ სასურველი იქნებოდა ამ თვალსაზრისით შეგვეხედა დიდი ევროპული პოემებისთვისაც. ვფიქრობ, მაშინ სრულიად მოულოდნელ დასკვნებს მივიღებდით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენების შედეგების მიხედვით მოცემულია ანტიკურ აზროვნებასთან კავშირი, რომელიც დასავლეთევროპული კომპარატივისტიკის მონაცემებით, გაწყვეტილად ითვლებოდა; არსებითად კი იგი არასდროს არ გაწყვეტილა არც ჩვენთან, არც დასავლეთ ევროპაში და არც კავკასიაში.

როცა ჩვენ საუბარი გვაქვს რენესანსული ტიპის მხატვრული აზროვნების წარმოქმნის რეალობაზე, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის როლი, რომელიც შეასრულა ისეთმა კონსერვატიულმა მოაზროვნემ, ხოლო ზოგიერთ ასპექტში აგრესიულმა კონსერვატიულმა მოაზროვნემ, როგორიც იყო პლატონი, მთელი პლატონური და ნეოპლატონური აზროვნება.

ნეოპლატონური აზროვნების ეს ხაზი, რომელიც, მაგალითად, იტალიაში პეტრარკათი და მისი მიმდევარი პოეტებით დავვირგვინდა და რომლის მწვერვალი ეს მხატვრული აზროვნება გახდა, მიმართული იყო ადამიანისაკენ, დაინტერესებული იყო ადამიანით, როგორც თვითნაღიზის ობიექტით.

არა მხოლოდ პროკლემ, არამედ პლატონმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმაში, რომ ეს ტრადიცია არ მოშლილიყო. იგი ქართულ ტრადიციაშიც არსებობს.

ეს ტრადიცია დაკავშირებულია ანტიკურ იდეალიზმთან, რომელიც მიმართულია ადამიანის განოკვლევისაკენ, მისი სულიერი წყობის შესწავლისაკენ.

ამ თვალსაზრისით, ასეთი ტიპის მხატვრული აზროვნებისაკენ სწრაფვა. — ეს აბსოლუტურად დამტკიცებულია ლექსისა და თვით პოემის სტრუქტურული ანალიზით, რაც გააკეთა აკად. გ. წერეთელმა.

ახლა დგება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხი — არის თუ არა ეს ტრადიციის შეგნებული ათვისების შედეგი, მემკვიდრეობითი აქტი, თუ სპონტანური, ე. ი. ინტუიტიური ფენომენი?

შეგნებულად ზიმართა თუ არა რუსთაველმა თავისი პოემის ასეთ ორგანიზაციას, სამყაროს ასეთ ესთეტიკურ აღქმასა და ინტერპრეტაციას?

მე ზიმაჩნია, რომ ეს საკითხი მეორეხარისხოვანია, მეცნიერების თვალსაზრისით მას გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

დამტკიცებულია, რომ რუსთაველს, თუ მხედველობაში მივიღებთ მისი ინტელექტისა და ერუდიციის დონეს, შეუძლებელია არ სცოდნოდა ნეოპლატონური ნაწარმოების შესახებ. ეს ფაქტად უნდა ჩაითვალოს. თვით პოემის შინაარსი უდავოდ ნეტყველებს იმაზე, რომ რუსთაველი მათ იცნობდა.

თუკი რუსთაველი მათ არ იცნობდა, იბადება წმინდა მეცნიერუ-

ლი კითხვა, მაშ რატომ ესთეტიკური აზროვნების სწორედ ასეთ ტიპს მიმართა მან თავის პოემაში?

ამ შემთხვევაში დგება საკითხი იმ დიად უნივერსალიებზე კაცობრიობის ნხატვრული აზროვნების განვითარებაში, რომელთა გარშემო გამართულია დისკუსია.

ისეთი კატეგორიები, როგორიცაა რენესანსული აზროვნება, წინარენესანსული აზროვნება, ჰპოვებენ თავის ბუნებრივ დასაყრდენს. მათ ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით.

აქ აგრეთვე ნაჩვენებია, რომ ჩვენ ვეზიარებით ხელოვნების რომელიღაც ძალზედ სანუკვარ საიდუმლოებას. თუ მივმართავთ ჩვენი აზროვნების ინდოევროპულ ფესვებს, დავინახავთ ისტორიის ანარეკლს, ისტორიული სიღრმეების გეგებრთელა არეალის ათინათს, რაც შეიძლება დავაკავშიროთ აღმოსავლეთთანაც და ახლოაღმოსავლეთის კომპლექსთანაც, რომელსაც ჩვენ არც თუ ისე დაწვრილებით ვსწავლობთ, საჭირო კია უკეთესად შევისწავლოთ, ყოველ შემთხვევაში, ეს კავშირი კაცობრიობის განვითარების უნივერსალურ კანონებთან გამოსკვივის მოხსენებაშიც და თვით რუსთაველის პოემაშიც.

დაბოლოს: როცა ვლაპარაკობთ ხელოვნების ნაწარმოებთან მიასხოვებაზე, სულიერი ცხოვრების განვითარების საიდუმლოებასთან, ხელოვნების ესთეტიკურ განვითარებასთან, ეფიქრობ, გვერდს ვერ ავუვლით რაღაც უფრო უნივერსალური მოვლენების ანალიზს, რაც ამჟამად ემპირიული განზოგადებების დონეზეა, მაგრამ მსოფლიო მიზიდულობის კანონიც ხომ ემპირიული განზოგადებების დონეზეა, ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, რა ძალებია ეს, საიდან მიმდინარეობენ, გალაქტიკის ცენტრიდან, თუ მეტაგალაქტიკიდან? მაგრამ მე მეჩვენება, რომ წარსულის ყოველი ეპიური ნაწარმოების კვლევას უნდა ისტორიის მასშტაბებით მივუდგეთ, კვლევა კი უნდა იყოს უფრო ღრმა. ადამიანის ყველა ფაქტორს რომ ამდიდრებდეს.

სუჩკოვის შემდეგ სიტყვა ვ. ივანოვმა აიღო:

— იმ მეტად საინტერესო მოხსენებაში, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ, წამოკრილია რიგი საკითხებისა და მათ შესახებ მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, შევჩერდები ნხოლოდ სამ პრობლემაზე, რომელთაგან თითოეული მეტად მნიშვნელოვნად მესახება.

მართლაც, ძალზე არსებით საკითხს წარმოადგენს სიმეტრიის პრობლემა. სიმეტრიის ზოგადი თეორია ამჟამად ფართოდ მუშავდება ლინგვისტიკაში, ენების შესწავლასთან, კერძოდ, ენების მათემატიკურ შესწავლასთან დაკავშირებით. ამ იდეას ახლა სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც იყენებენ, მაგალითად, პოეტიკაში, მხოლოდ ჩინური ლექსის გამოკვლევასთან დაკავშირებით. სიმეტრიის თეორიასთან შეფარდებით განხილულ იქნა ენების ზოგიერთი კლასიკური სისტემა.

აქ ძალზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ დიდი სტრუქტურების სილაბური წყობა შეგვიძლია, როგორც ამას გიორგი ვასილის ძე ამბობდა, განვიხილოთ ეიზენშტეინთან მიმართებაში, რომელიც ამ პრინციპს იყენებდა ცალკეულ კადრებში და მთელ ფილმშიც. საინტერესოა, რომ თვით ეიზენშტეინი გატაცებული იყო თავისი ფილმების მხოლოდ მაკროსტრუქტურით, და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ფრანგმა მკვლევარებმა, რომლებიც მისი ფილმების გეომეტრიულ ანალიზს ახორციელებდნენ, დაადგინეს, რომ ყოველი კადრი აგებულია „ოქროს კვეთის“ პრინციპით.

ეს იმის დამადასტურებელია, რომ „ოქროს კვეთს“ შეუძლია მოიცვას როგორც მთელი ნაწარმოების სტრუქტურა, ისე მცირე ფრაგმენტებიც.

მეორე საკითხი ეხება ისტორიულ-შედარებითი პოეტიკის პრობლემატიკას. მოხსენების დასკვნითი ნაწილი გიორგი ვასილის ძემ მიუძღვნა საკითხის იმასთან შედარებას, რაც უკანასკნელ ათწლეულშია გაკეთებული ინდოევროპულ ლექსთან დაკავშირებით.

ასეთივე სამუშაო შეიძლება ჩატარდეს ძველბერძნულ ზოგებთან მიმართებაშიც.

მოხსენებაში აღინიშნა იმ იდეების არსებითი მნიშვნელობა, რომლებიც ამ ბოლო ხანს გამოიყენეს რუსულ ლექსშიც: ესე იგი მონაცემების შეპირისპირება სტრუქტურასთან და ენასთან, კერძოდ, მოცემული ტექსტის ლექსიკურ შემადგენლობასთან, იმასთან, თუ როგორ შეეფარდება ლექსს ამგვარად აგებული სავარაუდო მოდელი.

ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ თეორიული მოდელი და შევაპოვნოთ, როგორ გამოიყენება იგი.

ეს გაკეთდა მოხსენების პირველ ნაწილში და მნიშვნელოვანია იმ მეთოდის მხრივ, რომელიც იყო გამოყენებული.

ჩვენ სპეციალობაში იქნება ის, რასაც ფიზიკოსები სტატისტიკურ ფიზიკას უწოდებენ. ხოლო ჩვენ — სტატისტიკურ ლიტერატურის-მცოდნეობას, ეს იქნება, ძირითადად, ლექსის შესწავლის დარგში.

ამიტომ უნდა დაიღვას საკითხი იმის შესახებ, რომ რუსული ლექსისა და მისი ისტორიის შესწავლას ჩვენს ორ ლიტერატურისმცოდნეობის ინსტიტუტში დიდი ყურადღება მიექცეს. ეს ეხება რუსული ლიტერატურის ინსტიტუტსაც, სადაც ლექსმცოდნეობის ჯგუფი არსებობს საზოგადოებრივ საწყისებზე და მასში ჩაბმულია სხვადასხვა დარგის სპეციალისტი.

ახლა კიდევ ასეთი საკითხი. ვფიქრობ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, იცნობდა თუ არა რუსთაველი პროკლე დიადოხოსის თხზულებებს, წაკითხული ჰქონდა თუ არა ისინი, თუ უბრალოდ იმდროინდელი კულტურული ატმოსფეროს გეშეგობით იცნობდა მათ? ჩემი აზრით, სრულიადაც არაა აუცილებელი მოვთხოვოთ პოეტს, რომ იგი გაეცნოს ამა თუ იმ ფილოსოფიურ თხზულებებს უშუალოდ, იმისათვის, რომ მისი იდეოლოგია დაეშთხვეს ამ ფილოსოფიას. ეს კარგადაა ნაჩვენები ჩვენი ხელოვნებათმცოდნეების შრომებში. ზოგიერთი ჩვენი ხელოვნებათმცოდნე შეეცადა ანდრეი რუბლიოვის, თეოფანე ბერძენის ნაწარმოებების შესწავლისას ზუსტად მიეთითებინა — რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება ეს ორივე მხატვარი და კონკრეტულად როგორ ასახავს მათ თავის შემოქმედებაში ეს დებულებები, ესა თუ ის ლეთისმეტყველური ან ფილოსოფიური იდეები. ერთიკი და მეორეც ხომ ისეთ ატმოსფეროში ცხოვრობდნენ, სადაც ეს იდეები თანამედროვეთა შორის იყო გავრცელებული. იგივე ითქმის რუსთაველის შესახებაც. ვფიქრობ, „ოქროს კვეთი“ პრინციპს ის ყოველთვის შეგნებულად როდი იცავდა. ეს იყო უფრო ინტუიტური მოთხოვნა, რომელიც იმ დროის მოთხოვნებს ემთხვეოდა.

ვფიქრობ, ეს საკითხი პრინციპულია.

რაც შეეხება ლექსმცოდნეობის მნიშვნელობას სარეკონსტრუქციო სამუშაოსათვის, მე ღინდა ზიგანიშნოთ ერთ საშიშროებაზე: ჩვენ შეიძლება ზოგჯერ მოვექცეთ მანკიერ წრეში. ტექსტის რეკონსტრუქცია რომ განვახორციელოთ, ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ლექსმცოდნეობის იმ პრინციპებს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ პო-

ეტები, მაგრამ ეს ლექსთმცოდნეობის პრინციპები კი გამოაყავთ რეკონსტრუქციიდან.

ამან გამოიწვია ჩემი შეკითხვა: რაზეა დამყარებული შოთა რუსთაველის ლექსის შესწავლა?

არ შეიძლება აქ გამოვიდეთ მხოლოდ რეკონსტრუქციიდან, უნდა გავითვალისწინოთ ყველა ნუსხა, ყველა ტექსტი, მით უმეტეს, რომ ტექსტების უმეტესობა სრულია.

რუსთაველის ლექსის სისტემის ეს რეკონსტრუქცია წარმოებს მაქსიმალურად. უხვი და ვრცელი მასალის საფუძველზე, და მი სი-აზოვნებით მოვისწინე ვიორგი ვასილის ძისაგან, რომ ტექსტის რეკონსტრუქცია ლექსის სტრუქტურას არ ემყარებოდა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ვიორგი წერეთელმა:

— მაღლობა უნდა მოვხსენო აქ გამოხულ სპეციალისტებს, რომლებმაც მოხსენებას მაღალი შეფასება მისცეს და მთელ რიგ საკითხებზე მნიშვნელოვანი, საინტერესო მოსაზრებანი გამოთქვეს.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა აქ წამოჭრილი საკითხების გარშემო.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ რუსთაველის ლექსნი პროპორციული შეფარდებების დადგენას არავითარა დაშოკიდებულება არა აქვს პოემის რეკონსტრუქციასთან. უნდა გავიმეორო, რომ ტექსტი გამოიცა 1966 წელს, ხოლო სამუშაო რუსთაველის ლექსის წყობაზე ჩატარდა ახლახანს.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ რაც დადგინდება გარკვეული წესები, შეფარდებები და ა. შ., ეს ყველაფერი შეიძლება ჩვენ გამოვიყენოთ ტექსტის აღდგენისას. როცა ზუსტად გვეცოდინება, რომ შეფარდება 2 4 2 მაღალ შაირში არ შეიძლება იყოს. ჩვენ უკუვაგდებთ ნებისმიერ შეთავაზებულ კონიუნქტურას. რომელიც ამ რითმს არღვევს.

ახლა მე მინდა შევეხო საკითხს იმის თაობაზე, იცოდა თუ არა რუსთაველმა „ოქროს კვეთის“ პროპორციების შესახებ.

მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ვიცით ათასობით ზემოთხევა, როცა პოეტები იმპლიციტურად გამოხატავენ იმ ეპოქის შეხედულებებს, რომელშიც ცხოვრობენ, და სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ ისინი უშუალოდ იცნობდნენ ამ ეპოქის თეორიულ მიმდინარეობებს. ასეთი მაგალითები, როგორც ამაზე სრულიად სამარ-

შემდეგ გამოვიდა დ. ლიხაჩოვი:

— მე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა გიორგი ვასილის ძის მოხსენების მნიშვნელობის შესახებ.

გიორგი ვასილის ძემ თავის მოხსენებაში ბრწყინვალედ გვიჩვენა, როგორ უკავშირდება ლექსის შესწავლა არაპარტო უფართოეს ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს, არამედ ისტორიულ-კულტურულ პრობლემებსაც.

მართლაც, ლექსის შესწავლა, ლექსის ისტორიის შესწავლა — ეს არ არის კერძო, ფორმალური პრობლემა, რომელსაც სპეციალისტთა მხოლოდ ვიწრო წრე შეუძლია დააინტერესოს. ლექსის ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ტექსტოლოგიის მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა, კერძოდ, პოეტური ნაწარმოებების ტექსტების აღდგენა.

ლექსის ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია კულტურულ ურთიერთობებში და ურთიერთგავლენაში გარკვევა: ეს განსაკუთრებით ეხება ადრეულ რუსულ ლექსს.

ის ვრცელი ატმოსფერო, რომელშიც გიორგი ვასილის ძემ ჩაატარა რუსთაყვლეს ლექსის გამოკვლევა, ჩინებულად ამტკიცებს ლექსის სერიოზული შესწავლის აუცილებლობას.

ამასთან, მე უნდა ვთქვა, რომ ლექსის შესწავლა ჩვენში რჩება ლიტერატურისმცოდნეობის ორი ძირითადი ინსტიტუტის ყურადღების ზილბა. კერძოდ, მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა ლექსმცოდნეობის ჯგუფი რალაც უგეგმო, მოხალისებრივ სწყისებზე. იქ, როგორც ვიცი, არ არის თანანშრომლების მუდმივი შტატი (შეიძლება მე არ ვარ საქმის კურსში). ლექსმცოდნეობის დარგში ჩვენ ასპირანტურაც არ მოგვეპოვება. ასეთი ასპირანტურა რუსული ენის ინსტიტუტშიც არ არის.

ყოველ შემთხვევაში, ლექსის შესწავლა არ შეიძლება იყოს თანანშრომლების სამოხალისო თუ კერძო ინტერესების ობიექტი, ვინაიდან ეს სპეციალობა უკიდურესად რთულია, იგი მოითხოვს სერიოზულ მონზადებას. ასპირანტურა ლექსმცოდნეობაში, შესაძლოა, უფრო საჭიროა, ვიდრე ლიტერატურის ისტორიაში. ეს დარგი ყველაზე უფრო საჭიროებს კოლექტიურ მუშაობას, კოლექტიურ შესწავლას, იმიტომ, რომ იგი დაკავშირებულია გამოთვლებთან, სტატისტიკურ მონაცემებთან, მასობრივ შესწავლასთან. თუ ოდესმე

თლიანად მიუთითა აკადემიკოსმა დ. ს. ლიხაჩოვმა, უხვად მოიპოვება.

მაგრამ, ზეორე მხრივ, სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ ისეთი მასშტაბის პოეტისა და მოაზროვნეს, როგორიც იყო რუსთაველი, არ სცოდნოდა ყოველივე ის, რაც მისი ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი. და თითქოს ის ქმნიდა მხოლოდ საკუთარი ინტუიციით, შემოქმედების პროცესში გაუცნობიერებლად იყენებდა ამა თუ იმ პრინციპებს, რომლებსაც მისი ეპოქის მთელი სულიერი ცხოვრება ეყრდნობოდა. ასეთ რამეს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხალხურ პოეზიაში, თვითნასწავლ მხატვართა წრეში, მაგრამ არა ისეთი გაქანების შემოქმედთა და მოაზროვნეთა შორის, როგორებიც იყვნენ გოეთე და შექსპირი, ლეონარდო და ვინჩი და რუსთაველი.

რაც შეეხება რუსთაველს, ჯერ კიდევ 1910 წელს ნ. ი. მარი მიუთითებდა, რომ ქართველი პოეტის განსწავლულობას პროკლე დიადოხოსისა და იოანე პეტრიწის ნეოპლატონურ ფილოსოფიაში მოწივობს 864,4 ლექსის მთელი ფრაზეოლოგია, სადაც ქართული პოემის ავტორს მომარჯვებული აქვს პროკლეს ბერძნული ფილოსოფიური ტერმინები, როცა ის პოეზიას იხილავს, როგორც „სიბრძნის დარგს“, ესე იგი როგორც ფილოსოფიას. ახლა ჩვენ ვიცით, რომ მთელი დასავლეთი ევროპა გაეცნო ეგკლიდეს თეორიას მონაცემთის საშუალო და კიდურა წევრებად დაყოფის შესახებ სწორედ პროკლეს მეშვეობით, რომელსაც საქართველოში თარგმნიდნენ და კარგად იცნობდნენ XI-XII საუკუნეებში. ამიტომ არავეითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ გამოვრიცხვით რუსთაველის მიერ ამ პროპორციის ცოდნა.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა ვ. ვ. ივანოვის შენიშვნების შესახებ.

სწორია ის, რომ, როცა ჩვენ გვაქვს მონტაჟი რიცხვებისა 4 5 3, — ეს, რა თქმა უნდა, არ არის „ოქროს კვეთი“, მაგრამ სადაც არის შეფარდება 3 5 8 ან 8 5 3 — ეს უკვე „ოქროს კვეთია“.

მოხსენებაში ნათქვამი იყო სწორედ იმ პროპორციების შესახებ, რომლებიც ფიბონაჩის მწკრივებს შეესატყვისება.

ნება მომეცით ამით დავამთავროთ ჩემი მოსაზრებანი აქ გამოთქმულ შენიშვნებზე.

მიხეილ ხრამჩენკო:

— დასასრულ, რამდენიმე სიტყვა. უპირველეს ყოვლისა, მინდა მივესალმო ჩვენი გამოჩენილი ლინგვისტის მოსვლას ლიტერატურათმცოდნეობაში. ვინდოვნებ, რომ ეს მოსვლა შემთხვევითი არ არის და ჩვენ ამის გამო დიდ სიხარულს გამოვთქვამთ.

ჩვენ დიდი ინტერესით მოვისმინეთ გიორგი ვასილის ძის მოხსენება და მე ისლა დანრჩენია, რომ შაღლობა გადავუხადო მას საინტერესო და საყურადღებო განოვლოისთვის, რომელიც, რა თქმა უნდა, ლექსთმცოდნეობის მეცნიერებაზე გავლენას მოახდენს.

„საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებულ წერილს გიორგი წერეთელი ასე ამთავრებს:

„პოეზიაში რუსთაველმა მოგვცა სრულყოფილი სიმეტრია, იმის მსგავსი, რაც სახვით ხელოვნებაში, და, საერთოდ, ხელოვნებაში გააქეთეს რაფაელმა, ტიციანმა, ლეონარდო და ვინჩიმ, და ახლა, როცა ეს მთლიანად გამოვლენილია, ქართველი პოეტის ადგილი მსოფლიო პოეზიის ისტორიაში სრულიად ჯანსაყუთიერებულად გვესახება“.

წიგნი „მეტრი და რიტმი „ვეფხისტყაოსანში“ გამოვიდა გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ.

— მისი თეორია რუსთაველის ლექსზე ჩვენს თვალწინ იქმნებოდა. — მითხრა მოგვიანებით თამაზ გამყრელიძემ, — ინსტიტუტში რომ მოვიდოდა, ბატონი გიორგი წინაღობით მიღებულ შედეგებზე მოგვითხრობდა ხოლმე. როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, ის ინტერესით ისწენდა თავისი კოლეგების აზრს, მათ შორის იმათ აზრსაც, ვინც მასზე ბევრად უმცროსი იყო. ითვალისწინებდა თანამშრომლების ეჭვებს, წინადადებებს, თანდათანობით მისი შეხედულებები ამ დარგში ჩამოყალიბდა როგორც მწყობრი, მეცნიერული თეორია, რომელსაც დიდი ენიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული, არამედ ზოგადი ლექსთმცოდნეობისათვისაც.

ქართული ლექსის წყობის შედარებამ ინდოევროპულთან მიიყვანა მკვლევარი იმ აზრამდე, რომ ქართველურ და ინდოევროპულ კულტურებს შორის ძველთაგანვე კავშირი არსებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ლექსის წერეთლისეული თეორია თავიდან სხვაგვარად გამოიყურებოდა, მას საფუძვლად სხვა პრინციპები ჰქონდა. მაშინ ბატონი გიორგი თვლიდა, რომ რუსთაველის ლექსის სტრუქტურა შეიძლება გაირკვეს რითმის სტრუქტურის მიხედვით.

შემდგომში მან შესცვალა ეს პრინციპი. მეცნიერი საკითხს სხვა მხრიდან მიუდგა, სტრიქონის სილაბური სტრუქტურიდან გამომდინარე, მან გამოიწვევა საკუთარი თეორია.

შემდეგში განიხილავთ, რომ თვით რითმაც აგებულია სტრიქონის სილაბური სტრუქტურისაგან გამომდინარე, და არა პირაქით.

ჩვენ შენთხვევით არ მოვიყვანეთ თამაშ გამყრელიძის ეს საუბარი ამის შემდეგ, რაც მკითხველი მთლიანად გაეცნო იმ შეფასებებს, რომლებიც გიორგი წერეთლის ნაშრომმა საბჭოური ფილოლოგიის „ეპიდელს ჩრეებში“ მიიღო. კიდევ და კიდევ დასტურდება თითქოსდა უზრალო ქეშმარიტება: ნაშრომი ტალანტი იცავს მეცნიერს ვიწროდგომიანი შეხედულებებისაგან ამა თუ იმ საგანზე, შესაძლებლობას აძლევს შეხედოს მას ახალი პოზიციიდან, ახალი პერსპექტივიით. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამას ელოდება მკვლევარისათვის საზოგადოება.

შპანასკნელი ინტერვიუ

საკმაოდ დიდი დროის მანძილზე მოსკოვის „ლიტერატურაია გაზეთი“ ბეჭდავდა საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა პასუხებს ანკეტურ შეკითხვებზე, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში მეცნიერების როლს ეხებოდნენ.

გიორგი წერეთლის პასუხებს ამ შეკითხვებზე, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ინტერესი უნდა გამოეწვიათ. ამის თაობაზე საუბარი გვქონდა პატივცემულ გიორგისთან. მან ეს აზრი მოიწონა, მით უმეტეს, რომ თვითონ ყურადღებით ადევნებდა თვალს ანკეტას და პასუხებში ზოგჯერ თავისი აზრების ანარეკლსაც აწყობდა. გარდა ამისა, პასუხებში გამოიკვეთებოდა ხოლმე იმ მეცნიერთა პიროვნული მხარეები, რომლებსაც პატივცემული გიორგი პირადად იცნობდა.

რაც შეეხება გიორგი წერეთლის პასუხებს ანკეტაში დასმულ კითხვებზე, უნდა ითქვას, რომ მათში თავისებურად გამოჟღავნდა მისი დაინტერესებულობა, მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა მეცნიერისა, რომელსაც აწუხებს კაცობრიობის აწმყო და მომავალი, რომელიც ღრმად არის დარწმუნებული, რომ მიუხედავად ათასგვა-

არი უკანდახვეისა, შეფერხებისა, საზოგადოების განვითარების არათანაბარწოდირებისა ცხოვრების გზა მაინც პროგრესის გზაა. მეცნიერის ისტორიულ ოპტიმიზმს მისივე სამეცნიერო საქმიანობა კვებავდა.

ფუტუროლოგიისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ უკარანხა მეცნიერს გამოეთქვა აზრი იმის შესახებ, რომ სრულიადაც არ არის აუცილებელი იწინასწარმეტყველო დღეს ის აღმოჩენებიც კი, რომლებიც უახლოეს ხანს შეიძლება განხორციელდეს. აქედან გამომდინარეობდა მისი საკმაოდ უჩვეულო პასუხი ანკეტის ერთ-ერთ შეკითხვაზე (მაშინ ის არ იყო განკუთვნილი „ლიტერატურნაია გაზეტასთვის“).

პატივცემული გიორგი აყალიბებდა თავის აზრებს ზედმიწევნით ზუსტად და მარტივად. ასე მოიქცა ამჯერადაც. მან თქვა:

— მე მიმაჩნია, რომ მეცნიერებაში მნიშვნელოვანია ნებისმიერი აღმოჩენა, და არა მარტო ის, რომელიც დღეს გვესახება ასეთად. მეცნიერების ყველა დარგი თანაბრად უნდა ვითარდებოდეს — საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, ჰუმანიტარული, და კაცობრიობას დიდ სარგებლობას არ მოუტანს ის, თუ მხოლოდ რომელიმე მათგანი გაუსწრებს დანარჩენებს. დიად, თანაბრად უნდა ვითარდებოდეს, — გაიმეორა მან, — ასე აჯობებს კაცობრიობისათვის.

— ნებისმიერი მეცნიერული და ტექნიკური აღმოჩენა, — განაგრძობდა პატივცემული გიორგი, — შეიძლება გამოყენებულ იქნეს და გამოიყენება კიდევ როგორც კაცობრიობის ინტერესებისათვის, ისე მათ საზიანოდაც. მოვიმარჯვოთ უმარტივესი მავალითი. ავტომატქანა. გასაგებია, რომ მან არავითარი ზიანი არ უნდა მოგვაყენოს. იგი ჩაფიქრებულია ადამიანის სასარგებლოდ. მაგრამ მანქანას შეუძლია გასრისოს ადამიანი, მოწამლოს გამოყოფილი მავნე გამონახოლქვით. ამ შემთხვევაში მანქანა — მხოლოდ სიმბოლოა. ამრიგად, დგინდება პირდაპირი დამოკიდებულება მანქანასა და მის მფლობელს შორის. საქმე ადამიანშია. რას წარმოადგენს მძღოლი? მკვლელია თუ კეთილი ადამიანი? აი, ამაშია საკითხის არსი. განა იგივე პრობლემა არ დგას ბირთვული ენერგიის ბიოლოგიაში გამოყენებისას? იცით რაშია მთავარი სირთულე? იმაში, რომ ძალზე ძნელი, პრაქტიკულად შეუძლებელია დაადგინო მომავალი აღმოჩენის ბატონ-პატრონი. კაცობრიობის ამოცანა ის არის, რომ „მკვლელ მძღოლს“ არ

ჩაუვარდეს ხელთ ის აღმოჩენა, რომელსაც იგი თვით კაცობრიობის საწინააღმდეგოდ მიმართავს.

ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს. ამა თუ იმ აღმოჩენის ფასეულობა — ხშირად არამყარი სიდიდეა. დრო ცვლის ხოლმე თვით მის მიერ დასმულ განმსაზღვრელ ნიშნებს: პლიუსს მინუსზე ან მინუსს პლიუსზე. მაგრამ მე სრულებითაც არ ვთვლი, რომ „მკვლელი მძღოლის“ პრობლემა გადაუჭრელია, ხოლო საფრთხის თავიდან აცილება — შეუძლებელი. თუ იქნა კეთილი ნების გამოვლენის ხელშეწყობი ვითარება, საქმეს ეშველება უდავოდ. აღმოჩენა კეთილგონიერად უნდა იქნეს გამოყენებული.

საზოგადოებამ აუცილებლად უნდა შექმნას ისეთი პირობები. რომლებიც გამოირიცხავენ მეცნიერების უახლესი აღმოჩენების გამოყენებას კაცობრიობის საზიანოდ.

შესაძლებელია სამი სიტუაცია:

1. საშუალება შეგნებულადაა მიმართული ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

2. საპირისპირო შემთხვევა. როცა პირველადმოჩენი ქმნის საშუალებას იმისათვის, რომ კაცობრიობას ბედნიერება მოუტანოს.

3. მეცნიერს მხოლოდ თავისი აღმოჩენა აინტერესებს. ხოლო ვინაა როგორ გამოიყენებს მას, ეს სრულიადაც არ ენაღვლება.

თავისთავად ცხადია: აუცილებელია საზოგადოების კონტროლი. სახელმწიფოს კონტროლი.

გარკვეული წერეთელი ჩაფიქრდა, ფერფლი ჩამოფერთხა სიგარეტს, ურომლისოდაც მისი წარმოდგენა ძნელია და ანკეტის კითხვებზე პასუხის გაცემა განაგრძო:

— საზოგადოების დანტერესება მეცნიერებისათვის სასარგებლოა. მკვლევლობაში მაქვს ჰუმანიტარული მეცნიერებებიც. ეს დანტერესება ავითარებს მეცნიერებას. მაგრამ ამ საქმეს კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა მოჰკიდონ ხელი. კომპეტენტურობის ეტალონი ადამიანის საქმიანობის ყოველ სფეროში არსებობს — მეცნიერებაში. ტექნიკაში, ყოველდღიურ საქმიანობაში. წარმოიდგინეთ უბრალო სამუშაო — ქუჩის ბორდიურების გამართვა. დაავიროდით. როგორ აკეთებს ამას ოსტატი, და როგორ აკეთებს ამას შემოხვევილი პირი. არაკომპეტენტურობა პროგრესის მთავარი მტერია. ქეშმარიტად „პურს შეპურე უნდა აცხობდეს“. ზოგჯერ ამას იფიწყებენ.

ილიალში მე მივისწრაფი იქითკენ, რომ საზოგადოებაში ისეთივე პარზონია და სიმეტრია სუფევდეს, როგორც ბუნებაში. ჩამორჩენილ საზოგადოებაში მეცნიერებაც ჩამორჩება. განვითარებულ საზოგადოებაში მეცნიერებაც ვითარდება. აი, ამის დამადასტურებელი მაგალითი. ამიერკავკასიისაგან მოშორებით მდებარე ფინეთსა და ნორვეგიაშიც კი შეისწავლიან ქართულ, სომხურ და ოსურ ენებს, ხოლო ჩამორჩენილ ქვეყნებში საკუთარ ენებსაც კი არ სწავლობენ მეცნიერულად.

ენების შესწავლა... ამ თემამ კვლავ ეგნატე კრაჩკოვსკი გაახსენა პატივცემულ გიორგის.

— მე ვთვლი, რომ ის უდიდესი მეცნიერი იყო. მიმაჩნია, რომ მას არ ხვდა მისი შესაფერისი აღიარება არც ჩვენში და არც დასავლეთში, თუმცაღა მან თავის დარგში ისეთივე მწვერვალებს მიაღწია, როგორსაც ჩვენს დროში ფიზიკაში მიაღწიეს რეზერფორდმა და ბორმა.

ანატოლის შეკითხვები რომ აღიწერა: მე შევეცდებოდი გიორგი წერეთელს: რომელი თვისებაა მეცნიერისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი?

პასუხი ასეთი გახლდათ:

— ყოველი მეცნიერისათვის უმნიშვნელოვანესია — ტალანტი, შრომისუნარიანობა, მიზანსწრაფვა და, რაც მთავარია, მეცნიერული კეთილსინდისიერება. აქ მე მხედველობაში მაქვს კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ფაქტებთან, რომლებსაც ვსწავლობთ. თუკი ფაქტები არ ადასტურებენ მეცნიერის შეხედულებებს, მან არ უნდა მოახდინოს მათი გადასხვაფერება, გაყალბება. მათი მორგება წინასწარ გამომუშავებული სქემებისათვის. ესე იგი ჭეშმარიტი მეცნიერი პირველყოვლისა გამოდის ფაქტებიდან და არ ახვევს ფაქტებს თავის დასკვნებს.

— მეცნიერი შეიძლება შეცდეს. ანაში არაფერია უჩვეულო, მაგრამ არ უნდა ჩაიდინოს ეს წინასწარი განზრახვით... ცოცხალი... მორალი... — მძიმედ წარმოთქვა გიორგი წერეთელმა, — მათზე უნდა იყოს დაფუძნებული მთელი მეცნიერება.

ძნელა რაიმე დაუმატო ამ გამონათქვამს, იქნებ მაინც ის, რაც მისმა ერთმა ახლობელმა აღამიანმა მითხრა მოგვიანებით, მისი. როგორც მეცნიერის, დახასიათებისად.

— გიორგი წერეთელი რთული პიროვნება გახლდათ. მის ხასიათში შეინიშნებოდა წინააღმდეგობები. ერთი მხრივ, მაშისაგან დამკვიდრებული, ბავშვურ გულუბრყვილობამდე მისული მიმდინარეობა, რომელიც მიამიტობასა და ბავშვურობას ესაზღვრებოდა, ხოლო მეორე მხრივ, იკვნიულობა. ჩვეულებრივ შშვიდი და დარბაისელი. ის შეიძლება მოულოდნელად აფეთქებულიყო, როცა რაიმე ეარეზოება ღრმად აღელვებდა, განსაკუთრებით თუ ეს მის თავმოყვარეობას ეხებოდა. ყველაზე უფრო ვერ იტანდა სიცრუეს, სიყალბეს, არაგულწრფელობას. თვითონ ფაქტების გადმოცემის დროს იყო ზედმიწევნით ზუსტი და დიდ ნაკლად მიაჩნდა ის, რომ ზოგიერთს არ შეეძლო წაკითხულის, გაგონილისა და ნანახის სწორად გადმოცემა.

გიორგი წერეთლის მეორე თავისებურება ის იყო, რომ მას შეეძლო ისეთი საკითხებით ღრმად გატაცება, რომლებიც მის სპეციალობასთან არ იყვნენ უშუალოდ დაკავშირებულნი.

ის, მაგალითად, დიდ ყურადღებას იჩენდა სამართლის საკითხებისადმი და, როგორც ამას ბევრი იურიისტი ადასტურებდა, კარგადაც ერკვეოდა მათში.

— ვფიქრობ, — მოგვითხრობს ვლადიმერ მაყაშვილი. — მისი ინტერესი იურიდიულ მეცნიერებისადმი, ქართული სამართლის განვითარებისადმი წინაშეწევლოვანწილად გაპირობებული იყო იმით, რომ იგი ხშირად იყო ჩვენთან (კვირაში რამდენიმე საღამოს ჩვენს ოჯახს უთმობდა). ამიტომაც გიორგის გულთან ახლოს მიჰქონდა ჩვენი პროფესიული ინტერესები. მეორე მხრივ, მას, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს. უხდებოდა რთული საქმეების გარჩევა. საქმე ზოგჯერ სიკვდილმისცხილი პიროვნების პატიებას ეხებოდა. ეს საკითხები ძალზე აღელვებდნენ გიორგის თავისი ტრავიკული შინაარსით, მსჯავრის სიმკაცრით. მაგრამ ამავე დროს იზიდავდნენ თავისი იურიდიული თვალსაზრისითაც. მისი მსჯელობა ამ საკითხებზე, გონებამახვილური კონსტრუქციები მაღალი კვალიფიკაციის ნებისმიერ პროფესიონალ-იურისტს შეშურებოდა. ამ მიმართულებით დიდ ინტერესს იწვევს გიორგი წერეთლის მოღვაწეობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო კომისიაში. სხვათა შორის, მის შენიშვნებსა და წინადადებებზე სახალხო განათლების საფუძვლებს რომ შეეხებოდა, საბჭოთა

კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ილაპარაკა მაშინდელმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გიორგი ძოწენიძემ.

იხარებს ნერბი

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტიდან (პრონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან) შიო ჩიტაძის ქუჩის აღმართს თუ შეიყვებით მთაწმინდის ძირისაკენ, პროსპექტის ორი პარალელური ქუჩის გადასაკვეთზე აღმოჩნდებით დიდ შენობასთან, ორიგინალური წყობის ყავისფერი აგურით რომაა აგებული. ძველად აქ კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი იყო მოთავსებული, ხოლო მის პირდაპირ, სადაც ახლა საშუალო სკოლაა — წმინდა ნინოს სასწავლებელი. 1960 წლის ივლისში ამ შენობის მარჯვენა ფრთა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა დაიკავა. ინსტიტუტის შექმნით დაგვირგვინდა ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების დაუღალავი მეცადინეობა, რომელიც ფაქტიურად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო და გაიშალა: პირველ რიგში თბილისის უნივერსიტეტის კათედრებზე, ხოლო შემდეგ მათგან გაზოგოფილ სამეცნიერო დაწესებულებებში. ამჟამად ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა მრავალი ცნობილი სახელითაა წარმოდგენილი. მხოლოდ 1936 წელს საქართველოს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში შეიქმნა აღმოსავლური ენების განყოფილება, რომელიც 1942 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ფუნქციონირდება, როგორც ახლო აღმოსავლეთის ენების განყოფილება. მას გიორგი წერეთელი მეთაურობდა. 1945 წელს მეცნიერის თაოსნობით უნივერსიტეტში გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ისტორიისა და ფილოლოგიის განყოფილებებით. რაც შეეხება შუა და ახლო აღმოსავლეთის ხალხების ისტორიისა და ეკონომიკის პრობლემებს, მათი დამუშავება ფართო პლანით იკისრა იმ ხანად შექმნილმა თბილისის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ვალერიან გაბაშვილი.

ამრიგად, აღმოსავლეთმცოდნეობა საქართველოში სულ უფრო და უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ფართოდებოდა საკვლევ და პედაგოგიური თემატიკის არე, რაც იზიდავდა ნიჭიერ ასალგაზრდა მკვლევრებს. რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი მასწავლებლების ლხინი და ჭირი გაეზიარებინათ.

ამეამად საქართველოში საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი უძლიერესი სკოლა მოქმედებს. იკვლევენ აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას, ლიტერატურას, ენებს. ადგენენ ლექსიკონებს, თარგმნიან. ინსტიტუტის ათ განყოფილებაში (1975 წელს ინსტიტუტი ახალ შენობაში გადავიდა) ორასამდე მეცნიერთანამშრომელი მოღვაწეობს. რა პრობლემებს იხილავენ ამ განყოფილებებში? რაშია მათი მუშაობის სპეციფიკა?

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებაში, რომელსაც დოცენტი ოთარ გიგინეიშვილი ხელმძღვანელობს, შეისწავლება ამ ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, აგრარული ურთიერთობანი, პროლეტარიატის ბრძოლა, კაპიტალიზმის გენეზისი და განვითარება.

ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილება, რომელსაც ვალერიან გაბაშვილი ხელმძღვანელობს, სწავლობს შუა საუკუნეების აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებს. ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების განვითარებასა და ქალაქის ცხოვრებას ფეოდალიზმის ეპოქაში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოს შორის არსებულ ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობას.

ენები და ლიტერატურა შეისწავლება ექვს განყოფილებაში. უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ გავერკვეთ იმაში, რომ სამუშაოს მოცულობა მეტად დიდია, კვლევის საგანი — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. აი, ეს განყოფილებები: ძველი აღმოსავლეთის ენებისა (ხელმძღვანელი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე). ინდო-ირანული ენებისა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემშიდ გიუნაშვილი), სპარსული ფილოლოგიისა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაგალი თოდუა). თურქოლოგიისა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სერგი ჯიქია), ბიზანტიოლოგიისა (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ნოდარ

ლომოური). დაგვრჩა დასასახელებელი კიდევ ერთი განყოფილება — სემიტოლოგიისა, რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კონსტანტინე წერეთელი ხელმძღვანელობს. სწორედ ამ განყოფილებაში, სადაც სემიტური ენების სტრუქტურასა და ისტორიას და ამ ენებზე არსებულ ლიტერატურულ ძეგლებს რომ იკვლევენ, ინსტიტუტის დირექტორი წარმართავდა მთელ მუშაობას; გიორგი წერეთელი მრავალი წლის მანძილზე უშუალოდ ხელმძღვანელობდა დიდი არაბულ-ქართული ლექსიკონის მომზადებას; რომელიც გათვალისწინებულია სპეციალისტთა ფართო წრისა და მოსწავლეთათვის (სწორედ მან შეადგინა პირველი არაბულ-ქართული ლექსიკონი).

ლექსიკონების შედგენა — რთული და შრომატევადი სამუშაოა. აქ, გარდა არაბულ-ქართული ლექსიკონისა, მომზადდა „ურარტული ენის ლექსიკონი-სიმფონია“ (ვაჟა გვახარია), ხურიტული ენის ლექსიკონი (ნანა ნოზაძე), ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონები (სერგი ჭიქია), ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი (სიმონ ყაუხჩიშვილი), ასურულ-ქართული და ასურულ-არუსული ლექსიკონები (კონსტანტინე წერეთელი, ანა გაბრიელოვა).

ინტენსიური მუშაობა წარმოებს ინსტიტუტის ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის ლაბორატორიაში (გამგე-პროფესორი ვლადიმერ ახვლედიანი).

1969 წლის გაზაფხულზე გაიმართა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების საერთო კრება, რომელზეც საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად ახლად არჩეულმა გიორგი წერეთელმა მოხსენება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ. სპეციალისტებმა მას მაღალი შეფასება მისცეს. მოვეუსმინოთ მათ.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. კ. ბელოდელი: „მინდა ვაღიარო აკადემიკოს წერეთლის მოხსენების მნიშვნელობა და აღტაცება გამოვთქვა ქართულ ინსტიტუტში აღმოსავლური ენების ასე ფართო მასშტაბით შესწავლით“.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. ნ. ბერკოვი: „მე აღმაფრთოვანა აკადემიკოს წერეთლის

მოხსენებამ. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ შესაძლებელია ასეთი მიზანდასახული, ყოველმხრივი, ღრმა და განსაკუთრებით შედეგიანი შესწავლა“.

აკადემიკოსი ვ. მ. ჟირმუნსკი: „აკადემიკოსმა წერეთელმა აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში მუშაობის ისეთი სურათი გადაგვიშალა, რომ უბრალოდ შეგშურდება“.

რასია ამ წარმატების საიდუმლო? იგი მარტივია და მისი გახსნაში უთუოდ დაგვეხმარება ერთი გონებამახვილური და ბრძნული სენტენცია, რომელიც ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში წამოაყენა ლიხტენბერგმა: „ნეტავი ყველა იმას აკეთებდეს, რაც შეუძლია, თავისი ცოდნის იმ ნაწილს ავითარებდეს, რომელშიც ის უფრო ძლიერია და უფრო გამჭრიახად ხედავს, ვიდრე ათასი სხვა. ეს არის თავი და თავი“.

ჯერ კიდევ მეცნიერის სიცოცხლეში, ერთ-ერთმა მისმა უმცროსმა კოლეგამ, რომელმაც ჩინებულად იცოდა გიორგი წერეთლის მრავალრიცხოვან ზოვალეობათა შესახებ (ამ ზოვალეობებს გიორგი წერეთელი წარმატებით ართმევდა თავს ახალგაზრდობაშივე გამომუშავებული ორგანიზებულობის წყალობით), მითხრა:

— იცით, თუ არა თქვენ, რომ მას შინ შესანიშნავი ნაშრომები უდევს. ის მათ არ ბეჭდავს, მოხსენებით გამოვა, უკეთეს შემთხვევაში თეზისებს გამოაქვეყნებს, რომელთა მიხედვით, სხვათა შორის, არა ერთი დისერტაციაა დაცული. რატომ არ ბეჭდავს? მეტის მეტი წესიერებით ზოსდის. — ჩემი თანამოსაუბრის ხმაში მეცნიერისადმი უდიდესი პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობა გამოსჴვივის. — არ ჩქარობს. კიდევ და კიდევ უბრუნდება პრობლემას. ზოგჯერ ასე ათეული წლები გადის.

— იქნებ სწორედ ასე მიაღწევენ იმ შედეგებს, რომლებიც საკუთრივ მეცნიერის სიამაყის საგნიდან მთელი საზოგადოების სიამაყედ იქცევიან? — გავიფიქრე მაშინ. — იქნებ მეცნიერის ჭეშმარიტი ვაჟკაცობა სწორედ ის არის, რომ არ აჩქარდეს დასკვნების გაკეთებისას, მოითმინო, დაიტოვო დრო დამატებითი ანალიზისათვის, დამატებითი შემოწმებისათვის. და თუ შინაგანი ხმა (მეცნიერული კეთილსინდისიერება) გიკარნახებს, გადადო რამდენიმე წლით ის შრომა, რომელსაც ავტორის გარდა ყველა დასრულებულად მიიჩნევს. გადადო მაშინ, როცა ნაშრომის იდეები გამოთქმულია, მეც-

წიერულ მიმოქცევაშია, მომარჩევებულია სხვების მიერ. ვინ უნდა მოიმკას მოსავალი, თუ არა შენ? მაგრამ მან იცოდა, რომ მოსავალი მით უფრო ბარაქიანია, რაც უფრო საფუძვლიანადაა დამუშავებული ნიადაგი, და სრულყოფასაც ხომ საზღვარი არ გააჩნია...

გიორგი წერეთლის ამ თავისებურების შესახებ მოგვიანებით თამაზ გამყრელიძემაც (აქამად ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორია) გამოთქვა აზრი ჩემთან საუბარში.

თამაზ გამყრელიძემ, თუ შეიძლება ასე ითქვას, დასძრა ადგილიდან ის მძიმე გრანიტის ფილა, რომელიც წერეთლის ზოგიერთ ნაშრომსა და მკითხველს შორის იყო ჩაწოლილი მისი მომეტებული წომთხოვნელობით თავის თავის მიმართ. თვით მათი უბრალო აღრიცხვაც კი წარმოდგენას იძლევა იმ სულიერ საგანძურთა რაოდენობისა და მნიშვნელობის შესახებ, რომელნიც გიორგი წერეთელმა არ წარუდგინა საზოგადოებას.

ერთ-ერთი ასეთი ნაშრომი „ივერია ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ირანულ წყაროებში“ საინტერესოა უპირველესად ყოვლისა იმით, რომ მასში მოცემულია მანიქეური დოკუმენტების ფრაგმენტები, რომლებიც გირკანიის ქვეყანაში მისიონერების საქმიანობას შეეხება. ეს ფრაგმენტები გადათარგმნა და გამოაქვეყნა ინგლისელმა მეცნიერმა ჰენინგმა, რომელიც გირკანიას მიაკუთვნებდა კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მიწებს, ესე იგი შუა აზიას. ამ ფრაგმენტებში ასახულია მოღვაწეობა იმ მისიონერებისა, რომლებიც მანის მოძღვრებას — მანიქეიზმს ავრცელებენ. ამ ჩანაწერებიდან შეიძლება ამოვკრიფოთ, გარდა წმინდა რელიგიური მოტივებისა, საინტერესო ისტორიული და პოლიტიკური ინფორმაცია.

გიორგი წერეთელი თავის ნაშრომში ადგენს: მანიქეური ფრაგმენტების მიხედვით გირკანია — ეს არის მესამე საუკუნის ივერია. მანიქეური ფრაგმენტების ასეთმა ინტერპრეტაციამ; რაც მათმა გამოცემელმა ჰენინგმა სავსებით გაიზიარა, გადააქცია ისინი საქართველოს ისტორიის ფასდაუდებელ, უნიკალურ დოკუმენტებად, მეცნიერებამ კი მიიღო სრულიად ახალი ცნობები იმდროინდელი საქართველოს შესახებ. გიორგი წერეთლის ნაშრომი „ივერია ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ირანულ წყაროებში“ გამოქვეყნებულია მისი თხზულებების ერთ ერთ ტომში, რომელიც მზადდება სა-

ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, დღეს თავისი დამაარსებლის სახელს რომ ატარებს.

თუ ზემოდასახელებული ნაშრომი, მიუხედავად იმისა, რომ ის რედაქტირებული და დასასტამბავად გამზადებული იყო, ავტორს ოფიციალურად არსად წარუდგენია, გიორგი წერეთლის ნაშრომი ურარტული ენის შესახებ (სპეციალისტების აზრით — მეტად საინტერესო) მოხსენების სახით წაკითხულ იქნა მაღალ ფორუმზე — საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესიაზე. რასიხსნეა ამ ნაშრომში? მასში მოცემულია ურარტული ენის სტრუქტურის ორიგინალური დახასიათება, მისი შეპირისპირება ზოგიერთ კავკასიურ ენებთან. ზმნის დაბოლოებებს ეძლევა სრულიად ახალი ინტერპრეტაცია.

დღეები და ღამე

მძიმე იყო მისი უკანასკნელი დღეები... ფილტვის კიბომ, ავადმყოფობამ. რომელსაც ის წინასწარ გრძნობდა. გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე ხელი ააღებინა თამბაქოს წვევან. ის ხომ გამუდმებით წევდა. მხოლოდ კათედრაზე ასვლისას თმობდა ხოლმე სიგარეტს დროებით, რომ ჩამოსვლისთანავე კვლავ მოეწია. ეწეოდა ჭადრაკის თამაშის დროს, რაც მისთვის დასვენება და სასურველი დროსტარება იყო, მაშინაც კი. როცა დურგლობდა (უყვარდა მაგიდის, სკამების გაკეთება, კარების შეღებვა). საუბრის დროსაც სიგარეტი ხელთ ჰქონდა; მის მაგიდაზე. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლირექტორის კაბინეტში, გამუდმებით იდო საფერფლე, რომელშიც იგი თავისი გრძელი, წვრილი თითების ზუსტი, ნატიფი მოძრაობით სიგარეტის ფერფლს ფერთხავდა ხოლმე. მას სჯეროდა, სიგარეტის მოწვეას თავს ვერასოდეს დაანებებდა.

გიორგი წერეთელი საავადმყოფოში ყოფნისას მიხედა, რომ განწირულია. გარეგნული სიმშვიდით უსმენდა ექიმებს. ახლობლები კი ბოლომდე არ კარგავდნენ იმედს, ელოდნენ სასწაულს. წერეთლების ოჯახის ძველმა ლენინგრადელმა ნაცნობმა, ონკოლოგიის

ერთ-ერთმა აღიარებულმა ქურუმმა გასინჯა იგი მეგობრული მონახულების საბაბით. შველა უკვე აღარსად იყო.

ახლობლებს, რომლებიც მის სარეცელს არ შორდებოდნენ, მეუღლეს, დას. სიძეს, მოწაფეებს გულახდილად უთხრა, განკურნების იმედი არა მაქვსო. მაგრამ სიკვდილთან ჰიდილში მაინც არ ივიწყებდა თავის ნაშრომს „მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“. 1973 წლის ზაფხულში, თითქოს გრძნობდა ნოახლოებულ დასასრულს, დაჟინებით აჩქარებდა წიგნის გამოცემას. ტკივილისაგან ღონემიხდილი იჭდა სტამბაში და ასწორებდა კორექტურას. 14 აგვისტოს შეიტანა უკანასკნელი შესწორებანი, ხოლო 15 აგვისტოს კი დაწვა საავადმყოფოში გამოსაკვლევად. სულ რაღღნამე დღის შემდეგ წამოდგომასაც ვერ ახერხებდა და რენტგენზე საკაცით მიჰყავდათ. როცა მომაკვდავს ნაშრომის დაბეჭდილი ეგზემპლარი მოუტანეს (ყველა ჩქარობდა, რომ მას ამ უკანასკნელი სიხარულის განცდა მოესწრო), ბატონმა გიორგიმ გაიღიმა და თქვა: „კარგია, რომ დაბეჭდვა მოვასწარი“.

გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე მოულოდნელად გაიხსენა მშობლიური სოფლის ცხრუკვეთის წყარო. მისი მძღოლი კონსტანტინე ვავილოვი, რომელმაც მასთან თითქმის ოცდაათი წელი იმუშავა და ბატონი გიორგი მამასავით უყვარდა, მის ორ მოწაფესთან ერთად სოფელში გაემგზავრა და იმ წყაროს წყალი ჩამოუტანა ლეინოსთან და მის საყვარელ ნიყვთან ერთად. ბავშვივით გაიხარა ბატონმა გიორგიმ.

გიორგი წერეთლის ნათესავები გააკვირვა მისდამი დამოკიდებულებამ. როგორც უფროსი კოლეგებისა (სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ამირანაშვილი. სერგი ჯიქია და სხვები ყოველდღე ნახულობდნენ ავადმყოფს), ისე მოწაფეებისა, რომლებმაც მის საწოლთან სადღელამისო მორიგეობა დააწესეს და ერთი წუთითაც არ ტოვებდნენ.

— თანამშრომლები შეძრწუნებულნი იყვნენ ამ უბედურებით და მის ავადმყოფობას ჩვენზე ნაკლებად როდი განიცდიდნენ, — იგონებს თინათინ წერეთელი, — რაიმე სურვილი თუ წამოცდებოდა, ყველა მზად იყო მის შესასრულებლად. თანამშრომლების მოსვლა ძალზე უხაროდა. ზოგჯერ ჩვენ, ახლობლები, ვერ ვაძიებდით ექვამ რამე, თანამშრომლებს კი ხატრს ვერ უტეხავდა და ემორჩილებოდა. ჩვენთვის თანამშრომლების მისადმი ასეთი დამოკიდე-

ბულება მაინც ახალი იყო. ასე ძლიერ თუ უყვარდათ, არ გვეგონა. ბაქოდან მისი ორი ყოფილი ასპირანტი ჩამოვიდა. ერთი — მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო მეორე — კანდიდატი. ავადმყოფის საწოლთან მორიგეობის ნება გვთხოვეს და იყვნენ მასთან გამუდმებით ბოლო ორი დღე და ორი ღამე. სიკვდილის წინაღამეს ერთ-ერთმა მათგანმა ჰკითხა, ყურანის ლექსის მოსმენა თუ გწადიათო. გიორგიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ბაქოელმა სტუმარმა გრძნობით წაუკითხა ტექსტი თითქმის გალობით, ბატონი გიორგი, რომელიც მანამდე აღგზნებული იყო, თანდათან დამშვიდდა და თვალები მილულა...

მისი მოწაფეები მოგვიანებით ამბობდნენ, რომ მის მიმართ თავისი გრძნობების გამოხატულებისა მათ ერიდებოდათ და სინანულს გამოთქვამდნენ, ბატონმა გიორგიმ არც კი იცოდა, როგორ გვიყვარდა, მისთვის ყველაფერზე შზად ვიყავითო. ეს არ იყო სწორი: გიორგი წერეთელმა შესანიშნავად იცოდა ეს და ძალიანაც უყვარდა თავისი მოწაფეები, მაგრამ ბუნებით თავდაპირილს არ ეხერხებოდა გრძნობების გამოხატვა.

9 სექტემბერს გიორგი წერეთელი გარდაიცვალა...

დაკრძალეს თბილისის უნივერსიტეტის ბაღში, იქ. სადაც საბოლოო განსასვენებელი პოვეს ქართული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებმა. ამ საფლავებთან აზიდულან ტანშალალი ხეები, ბიბინებს ბალახი და მათთან მოკრძალებით მოდიან ახალგაზრდები, რომელთა ზვედრია სიციცხლე, ბრძოლა და გამარჯვება.

მას დარჩა ოჯახი. დარჩა ქალიშვილი მაია — მომავალი აღმოსავლეთმცოდნე. მისი საუკეთესო ფოტოსურათები სწორედ მაიასთანაა გადაღებული. დარჩა ინსტიტუტი, რომელიც აგრძელებს მის მიერ წამოწყებულ საქმეს.

...1974 წელს გამოვიდა წიგნი „სსრკ მეცნიერებათა აკადემია და ქართული მეცნიერების განვითარება“. აქ მოყვანილია ციტატი მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის მსტისლავ კელდიშის ერთ-ერთი სიტყვიდან:

„მე უნდა ვთქვა, რომ საქართველოს რესპუბლიკის აკადემია ძალიან დიდი მეცნიერული დაწესებულება გახდა. ამასთან ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ იგი მოიცავს სკოლებს, რომელთაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ და მსოფლიო აღიარებაც. ეს არის მათემატი-

კური სკოლა, სათავეს აკადემიკოს მუსხელიშვილისაგან რომ იღებს, ბერიტაშვილის სახელთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური სკოლა და აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა, რომელსაც მეთაურობს აკადემიის წევრი გ. წერეთელი“.

ვაკე-საბურთალოს გადაკვეთაზე. ქუჩაზე, რომელიც გიორგი წერეთლის სახელს ატარებს, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გვერდით აღმართულა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შთამბეჭდავი სამკუთხედი. გიორგი წერეთელი ასე ვარაუდობდა: პირველ სართულს დაიკავენ, ძირითადად. პეტროგრაფიული ძეგლები: სტელა არმაზული ბილინგვით და სხვა წარწერები ქვაზე — ურარტული, ქართული, არამეული... წარწერა პინაკზე სოფელ ბორიდან.

ინსტიტუტის კედლებში კი მუდამ იხარებს ძველთა-ძველი, მაგრამ მარად უქცნობი ხე სიცოცხლისა და მეცნიერებისა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გიორგი წერეთელსა და წიგნზე მის შესახებ (დ. სტურუა)	(წინასიტყვაობის მაგიერ)	3
არ დადუმდება ეს სამრეკლო გრძნეულ სიტყვათა მამა		6
მე გამიტაცა ბგერებისა და ხმების სამყარომ		7
პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში		13
მიღება ეგსატე კრაიკოვსკისთან		14
აღმოჩენა ხელნაწერის ძიებისას		22
ქვის ფურცლები		30
ისევე ძიება		42
უკანასკნელი ინტერვიუ		52
იხარებს ნერგი		71
დღეები და ღამე		76
		81

რედაქტორი ნ. ჟავენიშვილი
მხატვრული რედაქტორი თ. გელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მ. ოსიტაშვილი
უფროსი კორექტორი ი. დონაძე
კორექტორი ქ. ხაეტაძე
გამომცემი დ. ხუციშვილი

გადაეცა წარმოებას 22/X-83. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.09.84
ქალაქის ზომა 60X84^{1/16}. საბეჭდი ქალაქი № 2. ნაბეჭდი თაბახი 5,5,
პირობ. ნაბ. თაბახი 5,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,23.

ტირაჟი 2 000

შეკვეთა 1732

ფასი — 15 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50
Издательство «Ганатлсба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.
1984

საქართველოს სსრ გამომცემლობათა პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
თბილისის სტამბა № 11. უზანგი ჩხეიძის ქ. № 19

Тбилисская типография № 11 Государственного
Комитета по делам издательств, полиграфии и книжной
торговли Груз. ССР ул. Ушанги Чхендзе № 19.

Гველესიანი Софья Ираклиевна
ВОСТОКОВЕД ГЕОРГИЙ ЦЕРЕТЕЛИ
(На грузинском языке)

